



ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილი

მეთოდოლოგიური მასალა მასწავლებლებისთვის



ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილი

მეთოდოლოგიური მასალა მასწავლებლებისთვის

თბილისი

2009

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „განათლება – ადგილობრივი განვითარების ინსტრუმენტი“. განათლების დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა შიდა ქართლის რეგიონში“ ფარგლებში. პროექტი სორციელდება პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონური დაბამარების 2009 წლის პროგრამის დაფინანსებით.



პოლონეთის დაბამარება

პუბლიკაცია წარმოადგენს მნილოდ და მნილოდ მისი ავტორების აზრს და არ გამოსატავს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ მოსაზრებას.

პროექტის შემსრულებლები / Project Implementers:



The publication was made in frames of the project "Education – Local Development Tool. Supporting Education Decentralization in Shida Kartli Region", financed by the Polish aid Programme 2009 of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland.

The publication expresses exclusively the views of its authors and cannot be identified with the official stance of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland

Tbilisi, December 2009

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილი	5
ექსპერიმენტული გაკვეთილი, ანუ რატომ არის კარგი ცდების ჩატარება	7
ვიწყებთ ექსპერიმენტს	14
როგორ ჩავატაროთ წარმატებული ექსპერიმენტული გაკვეთილი	18

პირლოგის ემსახურიმენტები

„სახვიდან დნმ-ის გამოყოფა“	24
„რეაქციის დრო“	30
„საღებავები ფოთლებში“	34
„ვაგებთ გულმკერდის მოდელს“	39
„გაღივებული მარცვლების გეოტროპიზმი“	43
„ობის გამოზრდა“	47
„რისთვის არის საჭირო ორი თვალი“	50
„როგორ გაძოვთ ბრმა ლაქა“	54
„საფუარის სიცოცხლისუნარიანობა“	56
„რბილი კვერცხი“	60
„თვალის ბროლი, როგორც ლუპა“	62
„თვალის გუგის რეაქცია სინათლეზე“	64
„წყლის წვეთი მოქმედებს როგორც ლინზა“	67

პიმიდის ემსახურიმენტები

„ძმრიანი რაკეტა“	69
„ალუმინის ფოლგის რეაქციის აირული პროდუქტის კვლევა“	71
„ჩაი როგორც pH-ინდიკატორი“	74
„ჩაიდნის გაწმენდა“	76

„ცეცხლმოკიდებული ბანქოტი“	78
„დაჩქარებული ჟანგვა“	80
„გლიცერინის თვითააღება“	83
„KMnO ₄ და H ₂ O ₂ “	85
„კრასმალის აღმოჩენა კვების პროდუქტებში“	88
„ორთქლმაგალი“	91
„ქიმიური იო-იო“	94
„რბილი კვერცხი“	97
„საპაერო ბუშტი CO ₂ -ით“	99
„ვერცხლის ელექტროქიმიური გასუფთავება“	102

ჭიზიპის ემსამრიმენტები

„ხილის ბატარეა“	105
„ამომგდები ძალა – მოცულობა“	110
„ამომგდები ძალა“	112
„დეპარტეს მყვინთავი“	114
„გაჭყლეტილი ქილა“	116
„ჰაერში ლივლივი“	120
„ინერციის მომენტი“	123
„ინერციის მომენტი 2“	125
„ჯიუტი ბურთულა“	128
„ლინზა“	130
„ობსკურის კამერა“	132
„წონასწორობა“	135
„წყალი პირვეუ“	137
„წყლის რაკეტა“	143
„წყლის შეწოვა“	147

ბუნებრივად

სამოტივისო

გაკვეთილი

რობერტ შჩესნი,

„პარტნიორები –
პოლონეთის ფონდი“

კოოგრამა „ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილი“, რომლის ფარგლებშიც გამოიცა ეს პუბლიკცია, არ არის ჩვეულებრივი პროგრამა. ის წარმოადგენს იდეას, რომლის სორცშესხმაც სდება სხვადასხვა ღონისძიებებით და პროექტებით. იდეა გამომდინარებს იმ მოსაზრებიდან, რომ ჩვენი ქვეყნების სწავლი განვითარება არ იქნება შესაძლებელი მეცნიერების განვითარებისათვის შესაბამისი ძალისხმეულის გარეშე. ეს განსაკუთრებით ეხება მეცნიერების იმ დარგებს, რომლებიც ასალ ტექნოლოგიებს უკავშირდება. ასეთი ღონისძიებების განუყოფელი ნაწილი მოზარდების მოზადება უნდა იყოს, რომლებიც შემდგომში სწავლას ტექნიკურ, სამედიცინო და საბუნებისმეტყველო უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებენ.

გავრცელებული მოსაზრების მიუსედავად, ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის სწავლების სარისხის ძირეული შესაძლებელია დიდი ფინანსური სასსრების გარეშეც. წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი ექსპერიმენტალური გაკვეთილების ჩატარების მეთოდები, ჩვენი აზრით, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს და შეზღუდვებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში გვხვდება. იაფი და ადვილად მოსაძიებელი მასალების გამოყენების, ასევე მასწავლებლის გამომგონებლობის წყალობით შესაძლებელია მათი დანერგვა ყველა – თვით ულარიბეს სკოლაშიც კა. თუმცა ერთი პირობის შესრულება აუცილებელია: უნდა მოგვეპოვებოდეს ენთუზიაზმით სავსე ადამიანების ჯგუფი. რომელიც შეძლებს დაანახოს სკოლის მოსწავლეებს, რომ მეცნიერება არის მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში – და არა მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოს ფურცლებზე.

წინამდებარე გამოცემის მიზანი იყო გაგვიცნო ქართველი მასწავლებლებისთვის ექსპერიმენტალური გაკვეთილების ჩატარების

მეთოდი. პირველ სამ სტატიაში წარმოგადგენთ ექსპერიმენტების სასწავლო პროცესში ჩართვის მნიშვნელობას და საერთო პრინციპებს. დრ. ილონა ილოვიცკა-ტანსკა საკუთარ სტატიას უთმობს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართვის მნიშვნელობას, რომლის დროსაც მოწაფეები მასწავლებლის პარტნიორები სდებიან. პაველ ვურციკი, მეცნიერების დემონსტრატორის პერსპექტივიდან გვიზიარებს პრაქტიკულ რჩევებს, რომლებიც შეიძლება გამოადგეს ყველა იმ მასწავლებლს, რომელსაც სურს დამოუკიდებლად ჩატარებული პირველი ექსპერიმენტალური გაკვეთილების დროს ასალი მეთოდების დანერგვისას თავდაჯერებულად იგრძნოს თავი. პროფესორი ლექს მანკევიჩი, რომელსაც სკოლებთან და მასწავლებლებთან მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვს, გადმოგვცემს საკუთარ შენიშვნებს მასწავლებლის როლის და სკოლის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ. ამ გამოცემის პრაქტიკული ნაწილი მოიცავს ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ექსპერიმენტების აღწერას, რომელიც მომზადებულია სამეცნიერო ცენტრი „კოპერნიკის“ მიერ, ისე რომ მაქსიმალურად მარტივი იყოს გაკვეთილზე გამოყენებისთვის. იმედი გვაქვს, რომ ეს გახდება თქვენთვის როგორც პრაქტიკული მეთოდოლოგიური მასალა. ასევე საკუთარი ექსპერიმენტების და საგანმანათლებლო იდეების შთაგონების წყარო. სტატიების შემავსებელ ნაწილს წარმოადგენს DVD დისკი, საინსტრუქციო ფილმებით, სადაც ვაჩვენებთ თუ როგორ უნდა მოგემზადოთ და ჩაგატაროთ მოცემული ექსპერიმენტები, და ასევე სამეცნიერო პრეზენტაციები მოზარდებისთვის.

გრძელებები სიაშოთნებით კითხვას!

გაკვეთილი,

ანუ

რატომ

არის

პარგი

ცდების

ჩატარება

დოქტ. ილია
ილოზიშვილი-ტანსკა,
„პარტნიორები –
პოლონეთის ფონდი“

Qოსწავლებს ყოველდღე აქვთ შესება მეცნიერების მიღწევებთან, თუმცა უმეტესი მათგანი იშვიათად ფიქრობს ფიზიკის, ქიმიისა თუ ბიოლოგის გაკვეთილებსა და ყოველდღიური მოსმარების იხეთ საგნებს შორის კავშირზე, როგორიცაა მობილური ტელეფონი, სხანადი ყავა თუ ანტიბაქტერიული ლოსიონი. გასაკვირი არცაა – სკოლაში სასწავლო ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერება იშვიათადაა მოზარდის გულთან ახლოს. დასამალი არაა რომ მოსწავლეები ამ საგნებს უყურებენ როგორც აუცილებელ საგნებს მსოლოდ იმიტომ, რომ ვიდაცამ მოათავსა ისინი სასკოლო პროგრამაში. ამავე დროს, ელექტრონსაქონელი და კოსმეტიკა მოსწავლეებისათვის უფრო მაღაზიების ვიტრინებთან ასოცირდება ვიდრე მეცნიერების შრომის შედეგთან. ფიზიკის, ქიმიის თუ ბიოლოგიის საინტერესო გაკვეთილის ამოცანაა გამოავლინოს უმეტესობა მოსწავლეებისათვის მეცნიერების უცნობი და ამავე დროს მიმზიდველი სახე, რომელშიც ზოგ მათგანს შეძლია მომავალში იპოვოს სასიამოვნო და შემოქმედებითი სამსახური. ჩვენს მიერ შემოთავაზებული გაკვეთილების მიზანი არა მსოლოდ საინტერესო საექსპერიმენტო გაკვეთილების ჩატარებაა, ჩვენ ასევე გვსურს, რომ მათი წყალობით:

დავანახოთ მოსწავლეებს ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია როგორც მეცნიერების ის სფეროები, რომელთა განვითარება უშუალო გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე;

მოვუწოდოთ მოსწავლეებს იმსჯელონ მეცნიერის მუშაობის შესახებ და დაინახონ მეცნიერება როგორც პროფესიული კარიერის ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტი.

ესაკმიმნოთელი გაკვთილი.

ანუ რატომ არის პარგმი ცდების ჩატარება

სანამ გადავალთ თვითონ გაკვეთილის წარმართვის საკითხებზე, გავიხსენოთ რამდენიმე დასკვნა, რომელიც ოსლოს უნივერსიტეტის მიერ 24 ევროპული ქვეყნის 15 წლის ასაკის გოგონების და ბიჭების კვლევის შედეგად დადგინდა. კვლევიდან აშკარად გამოჩნდა, რომ ზუსტი მეცნიერების საგნები ძალიან ნაკლებად პოპულარულია სკოლაში, სოლო მოსწავლეებს უარყოფითი წარმოდგენა აქვთ მეცნიერებაზე და თვითონ მეცნიერებზე. ეს გასაკვირია იმდენად, რომ ამ ქვეყნების ახალგაზრდების უმეტესობა აღიარებს, რომ მეცნიერებას და ტექნოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის!

თუმცა გასაკვირიც არაა, აღბათ, რადგანაც მათი მშობლების აზროვნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია სტერეოტიპები, რომელიც წარსულში იყო გახატონებული: მეცნიერი – ეს არის იდეის მიმდევარი, რომელიც მძიმედ მუშაობს პატარა ანაზღაურებაზე და რომელიც ცხოვრებისეულ შანსებს წყალში ყრის და ამავე დროს ოჯახს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მოქმედებები, რომელმაც შეიძლება შეცვალოს ესოდენ უარყოფითი მიღეომა, უნდა იყოს მიმართული სამეცნიერო კარიერისა და მეცნიერთა ცხოვრების მრავალფეროვნების ასახვაზე.

საჭაოდ ცოტა ახალგაზრდა ოცნებობს სამეცნიერო კარიერაზე, თუმცა აქაც შეგვიძლია შევამჩნიოთ განსხვავება ბიჭებსა და გოგონებს შორის, რომელთა ტექნოლოგიებით დაინტერესება (ბიჭებთან შედარებით) არის ძალიან დაბალი. საინტერესოა, რომ ბიჭებს შორის დაინტერესების დონეც ზოგადად დაბალია.

პოლონეთში გოგონების და ბიჭების ხმები სამეცნიერო კარიერასთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად ემთხვევა, თუმცა ასევე დაბალია ინტერესთა მთლიან სპექტრთან შედარებით. სხვადასხვა კვლევის ფარგლებში მოზარდებს დაუსვეს შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი მომავალ სამსახურში. აღმოჩნდა, რომ ყველას სურს, სამსახური შეესაბამებოდეს მათ მსოფლმსედველობას და ღირებულებებს. გოგონებისთვის, წარმოშობის ქვეყნისდა

განურჩევლად, მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა ადამიანებთან და ადამიანებისთვის მუშაობა, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია დასმარებასთან, მოვლასთან და მზრუნველობასთან. ბიჭებისთვის პრიორიტეტს ნივთებთან, მოწყობილობებთან და ხელსაწყოებთან მუშაობა წარმოადგენდა. ადამიანებთან მუშაობა მათ ნაკლებად ან საერთოდ არ აინტერესებდათ.

დასკვნები:

- როდესაც გვსურს წავასალისოთ გოგონები ზუსტი მეცნიერების საგნებით დაინტერესებისაკენ, კარგი იქნება თუ გავაცნობთ მეცნიერებას როგორც გუნდურ მუშაობას, რომლის შედეგებიც პრაქტიკულ გავლენას აძლენს ადამიანების ცხოვრების სარისხზე.
- როდესაც გვსურს წავასალისოთ ბიჭები, კარგი იქნება თუ გავაცნობთ ფიზიკას, ქიმიას თუ მათემატიკას იმ ხელსაწყოებისა და მოწყობილობების მეშვეობით, რომლებსაც ყოველდღიურად იყენებენ მეცნიერები.
- კარგია თუ მოსწავლეებს გავაცნობთ მეცნიერის ცხოვრებას, როგორც ადამიანის ცხოვრების გარკვეულ სტილს – თანამედროვე დროში მეცნიერები მოგზაურობენ, ეცნობიან ადამიანებს, მუდმივად განავითარებენ საკუთარ თავს და შემოქმედებითად შრომობენ.

ზუსტი მეცნიერების მიმართ მოზარდების უარყოფითი დამოკიდებულება ერთნაირად გამოვლინდება ევროპის ქვეყნებში. ევროპის უმეტეს ქვეყნებში როგორც მოზარდი ბიჭების, ასევე მოზარდი გოგონების დაინტერესება ზუსტი და ტექნიკური მეცნიერებით საკმაოდ დაბალია. ყველაზე დაბალია ინტერესი ინგლისში, გერმანიასა და ნორვეგიაში – აյ გოგონები აშკარა ანთიპატიას გამოხატავენ! ჩატარებული კვლევიდან ჩანს, რომ ზუსტი მეცნიერების საგნების

ანუ რატომ არის ქარგი ცდების ჩატარება

ესპერიმენტები გავვითავი,

სწავლებისას ბავშვებს არ მიეწოდება ინფორმაცია მეცნიერებაში შესაძლო დასაქმების და ზოგადად მეცნიერის ცნოვრების სტილის შესახებ. მოზარდებს არ მიაჩნიათ მეცნიერება პროფესიული კარიერის განვითარების აღტერნატივად.

დასკვნა:

○ როდესაც გვიურს დავაინტერესოთ მოსწავლეები მეცნიერებით, უნდა წარვუდგინოთ მათ გამორჩეული თანამდეროვე, წარმატებულ მეცნიერთა მუშაობის შედეგები. ავუსსნათ მოწაფეებს სად და როგორ მუშაობენ ისინი ყოველდღიურად!

მეცნიერებით დაინტერესება და სქესი

რაც შეეხება ცოდნის სასურველ სფეროებს, გამოკითხულ მოზარდთა პასუხები – წარმოშობის ქვეყნისდა განურჩევლად, გამოხატავენ არსებულ სტერეოტიპებს.

გ რ გ რ ხ ე ბ ი

გოგონები, როგორც წესი, ირჩევენ ბიოლოგიას და ადამიანის ჯანმრთელობის საკითხებს. მათ ასევე აინტერესებთ მეცნიერების ისეთი ასპექტები, როგორიცაა ეთიკა, ესთეტიკა, ფილოსოფია, სხვებზე მზრუნველობა. ამიტომაც სიმოვნებით დაეუფლებოდნენ ცოდნას სწორი კვების და ჯანმრთელობის და ასევე კვების დარღვევების (ისეთი როგორიცაა ანორექსია და ბულიმია) და სოლარიუმის გამოსხივების კანზე ტემოქმედების შესახებ.

ბ ი ჭ ე ბ ი

ბიჭებს, როგორც წესი, აინტერესებთ ცოდნის ის ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ძრავებთან. მანქანებთან, ფეთქებად ნივთიერებებთან – ყველაფერი რაც ელექტრო და მექანიკურია. უყვართ ძლიერი ეფექტები, ამიტომ აინტერესებთ ელექტროგენერის

წარმოშობა, ფეთქებადი ნივთიერებების მოქმედება თუ ატომური ბომბის აგებულება.

როგორც ბიჭებს, ასევე გოგონებს სურვილი აქვთ ისწავლოს სკოლაში ის, რაც არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო, მაგრამ ამავე დროს შეესაბამება მათ ღირებულებებს, მსოფლმსედველობას და სასიათს. ამავდროულად ისინი არ ფიქრობენ, რომ მეცნიერის პროფესიულ კარიერას შეუძლია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილებები. როგორც ჩანს, პრობლემას წარმოადგენს არსებული შეუსაბამობა ასალებაზრდულ კულტურასა და მეცნიერების ბუნებას შორის, ასევე მის შესახებ წარმოდგენას შორის. კვლევიდან ჩანს, რომ:

- ყველაზე მთავარი სფერო, რომელშიც შესაძლებელია ვიმუშაოთ მოზარდის ქცევის და დამოკიდებულების შეცვლაზე, არის განათლება, რომელსაც აწვდის მოზარდს სკოლა და რომელიც სშირად ზუსტი მეცნიერების შესწავლის სურვილს უკარგავს მოწაფეებს. ძალიან სშირად მასწავლებლები, თუ აქვთ ამისი საშუალება, ზრუნავენ გამორჩეული ნიჭიერი მოსწავლეების – როგორც წესი ბიჭების, განვითარებაზე. გოგონები მიაჩინათ „გულმოდგინე, მაგრამ არც თუ ისე ნიჭიერ“ მოსწავლეებად.
- კარგი იქნება თუ წარმოვაჩენთ მეცნიერების ფართო კონტექსტს. ზუსტი მეცნიერება სშირად მოიაზრება საზოგადოებრივ კონტექსტს მოწყვეტილად – მოსწავლეები ვერ ხედავენ თუ როგორ იქმნება თანამედროვე მეცნიერება. რა კავშირია თეორიას, კვლევებსა და მათ ტექნილოგიურ პროცესებში გამოყენებას შორის. წარმოდგენა არ აქვთ თუ როგორ მუშაობენ თანამედროვე მეცნიერები და მკვლევარები.

ასე რომ, თუ გვხურს გავაღვივოთ დაინტერესება ისეთი საგნებით, როგორიცაა ქიმია, ფიზიკა თუ ბიოლოგია, კარგი იქნება თუ:

ანუ რატომ არის პარგი ცდების ჩატარება
ექსერისენტელი გავვითავი,

ესაკიმიონტელი გაკვთილი.

ანუ რატომ არის პარგმი ცდების ჩატარება

1. თითოეულ გაკვეთილს დავიწყებთ მოკლე შესავლით, სადაც შეგეხებით გაკვეთილის თემის ძლიერი კოველდღიურ ცხოვრებაზე გავლენის.
2. რაც შეიძლება ხშირად წარმოვადგენთ განსილულ კანონებსა და მოგლენებს თუნდაც ყველაზე მარტივი ექსპერიმენტის სახით. ეს ააღვილებს დახსომების და მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირებას. ექსპერიმენტების ჩატარების შესახებ წერს პაველ გუიცივი თავის სტატიაში, ხოლო ამ გამოცემაში მოთავსებული სცენარები პრაქტიკული ექსპერიმენტების ყოველ დღე ჩატარების გზამკვლევს წარმოადგენს.
3. ყველა მოსწავლეს მიეცემთ რაც შეიძლება მეტ შესაძლებლობას ექსპერიმენტში მონაწილეობისა ანდა მისი დამოუკიდებლად წარმართვისა. არაფერი ისე არ აღვიძებს შემეცნების სურვილს როგორც ემოცია, რომელიც თან ახლავს დამოუკიდებლად ჩატარებულ ექსპერიმენტს. ასე რომ თუ გვაქეს არჩევანი როცელ, და ამიტომ მნილოდ მასწავლებლის მიერ შესასრულებელ ექსპერიმენტსა და უფრო მარტივს შორის, რომლის შესრულებაც მოსწავლესაც შეუძლია, – ავირჩიოთ მარტივი ექსპერიმენტი. მოსწავლეებისთვის ეს ნამდვილად გაცილებით უკეთესი იქნება.
4. არ დაგვეხნანება დრო ექსპერიმენტებისთვის. ვიცით, სასკოლო პროგრამა არის ძალიან მჭიდრო და არ არის ბევრი დრო ცდების ჩატარებისთვის. თუმცა შეეცადეთ შეარჩიოთ ის ექსპერიმენტები, რომლებიც ბევრ დროს არ მოითხოვნ, მაგრამ საშუალებას მისცემენ მოწაფეებს დაინახონ განსილული მოვლენები თუ პროცესები პრაქტიკაში.
5. შეეცდებით ექსპერიმენტში ჩართოთ ყველაზე მოუსვენარი მოსწავლეები. ისინი აქამდე გაკვეთილზე ცუდად იქცეოდნენ, იმიტომ... ის არ აინტერესებდათ! სიამოვნებით დაინახავთ თუ როგორი ენთუზიაზმით ემზადებიან ექსპერიმენტის ჩასატარებლად და რაოდენ ბევრი დაისხომეს მოცემული გაკვეთილიდან!

6. შეეცდებით გაკვეთილზე თანაბარი ყურადღება მიაქციოთ გოგონებს და ბიჭებს. გაგიკვირდებათ, თუ რამდენ მოსწავლეს აქვს მანუალური ნიჭი, რომელსაც როგორც წესი გოგონებს მიაწერენ ხოლმე, და რამდენი მათგანი შესანიშნავად ფლობს რთულ თეორიულ მასალას!
7. ნუ შეგეძინდებათ წარუმატებლობის! ჩაშლილი ექსპერიმენტიც კი ასევე წარმატებული გაკვეთილია. ნუ აღელდებით, უბრალოდ მოსწავლეებთან ერთად განისილეთ ექსპერიმენტი და ერთად დაფაქრდით – რამ გამოიწვია ის, რომ ამჯერად ექსპერიმენტი არ გამოვიდა.
8. გაკვეთილებზე ჩატარებული ექსპერიმენტები თქვენთვისაც სიამოქნების მომგვრელი იქნება! ისევ გაგახსენდებთ, თუ წლების წინ რატომ ამოირჩიეთ მეცნიერების ამ სფეროს შესწავლა!

თუ ამ გამოცემაში წარმოდგენილი რომელიმე ცდა იქნება გაუგებარი, გაეცნით დივიდი დასკა. რომელიც წიგნთან ერთად მიიღეთ, დაგვიკავშირდით ან ისილეთ ფილმები ჩვენს ვებ-გვერდზე www.lesson.org.pl.

გისურვებთ წარმატებას!

ანუ რატომ არის პარგი ცდების ჩატარება
ექსპერიმენტები გავვითავი,

ვიზუალი

ექსპერიმენტები...

პროფ.

ლეხ განძვირი

პოლონეთის

მეცნიერებათა

აკადემიის

თეორიული ფიზიკის

ცენტრი

კოლა – საინტერესო და წინააღმდეგობებით საგსე ადგილია. ერთის მსრივ, ის დამუხტულია მოსწავლეების დადგებითი ენერგიით, რომლებსაც მოქარბებული ემოციები აქვთ, სოლომეორებს მსრივ – საპატივსაცემო, კონსერვატიული დაწესებულებაა, რომელიც იცავს საყოველთაო ღირებულებებს. ასეთ სიტუაციაში მასწავლებლებსაც უჭირთ მორგება. მაგალითისთვის შევხედოთ ბავშვების შემოქმედებითი უნარების განვითარების პრობლემას. სულ გვესმის, რომ იმაზე თუ რამდენად ისწავლიან ბავშვები საკუთარი გონების ძალის კრეატიულად გამოყენებას, დამოკიდებულია მათი მომავალი, თუმცა როგორ შევუსაბამოთ ეს ყოველწლიურად ერთი და იგივე სასკოლო პროგრამის გავლას, რაც შემოქმედებითად მოაზროვნე მასწავლებელების ვალდებულებაა? და თუ მასწავლებლები ვერ იქნებან კრეატიულები, როგორ შეიძლება ასწავლონ მოწაფეებს კრეატიულად აზროვნება? და პირიქით – რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბავშვებმა დაინახონ თავიანთი ბუნებისმცდნეობის მასწავლებელი როგორც ოსტატი, რომელიც ჯადოსნური გასაღებით აღებს ბუნების საოცარ სამყაროსთან მიმავალ კარიბჭეს?

რატომ უნდა იყოს მასწავლებელი ოსტატი? დღევანდელი ცვალებადი სამყარო მოითხოვს ჩვენი ბავშვებისგან გატაცებას, ცოდნის მოპოვებაში გამძლეობას და საკუთარ ძალებში რწმენას. ეს ყველაფერი უნდა ისწავლონ ოჯახში და სკოლაში, საკუთარი მშობლებისა და მასწავლებლების სელმძღვანელობით. თუმცა როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა გატაცებით, თუ კი მისთვის უკვე ყველაფერი სულ ერთია? როგორ შეიძლება ის გახდეს ენთუზიაზმის და თვითდაჯერებულობის მაგალითი, თუ კი მას ეშინია ახალი

მეთოდების და გამოწვევების? კარგ მასწავლებელს სხვა გამოსავალი არ აქვს – ის ოსტატი უნდა გახდეს, ანუ დამოუკიდებელი ძალისხმევით უნდა შეძლოს გააღვიძოს საკუთარ თავში შემოქმედებითობა და საკუთარი ძალებში რწმენა.

საბეჭნიეროდ სამყარო იცვლება. ის, რაც ჯერ კიდევ ათი წლის წინ იყო მართლაც რთული, მოითხოვდა ბევრ დროს და დიდ ფულად სახსრებს, დღეგანდელ დღეს გახდა შესაძლებელი და საკმაოდ ადვილიც. დავიწყოთ სასკოლო ექსპერიმენტებით. ჯარ კიდევ ჩემს თაობას ახსოვს მტვრით დაფარული ფზიკის კაბინეტები, ელექტროსტატიკური მოწყობილობები თაროებზე, რომლებიც ან გამოსული იყო მწყობრიდან ან, თუ მუშაობდნენ, იმდენად მძიმე იყო რომ ყველას ეზარქოდა მათი გამოტანა გაკვეთილზე. ის დრო ჟამში წარსულს ჩაბარდა. დღეს მარტივი ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება ყველას შეუძლია. „საექსპერიმენტო კომპლექტი“ ჯობეში ეტევა და არც თუ ისე ძვირია. მართალია, რომ ასეთი მარტივი ცდების ამოცანა მოვლენის ჩვენება და არა ზუსტი მონაცემების დადგენა. თუმცა სანამ ვასწავლით ბავშვებს ზუსტ აზომვებსა და გაზომილ მონაცემებს შორის მათემატიკური დამოკიდებულებების აღმოჩენას, ჯერ სომ უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენს ირგვლივ არსებული სამყარო და ბუნება საოცარ სიურპრიზებს და საიდუმლო მოვლენებს გვთავაზობს. ამიტომ კარგია თუ ასეთ ექსპერიმენტებს ადრევე დაგნერგავთ სასწავლო პროცესში, დაწყებითი სკოლის პირველივე კლასებში, სანამ სკოლის პროგრამაში საბუნებისმეტყველო საგნები გამოჩენდება, თუნდაც საბავშვო ბაზშიც კი, სადაც ბავშვებს უყვართ კარგად გართობა და ძალიან აინტერესებთ სამყარო.

ამავე დროს, დღეგანდელ დღეს ცოდნის ღირებულება იზრდება. უფრო და უფრო სწრაფად ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, ჩნდება ახალი პროფესიები. ბევრ ბავშვს, რომელიც დღეს მეორე თუ მესამე კლასში დაიძის, მომავალში ისეთი პროფესიები ექნება, რომელთა დასახელებაც ჯერ კიდევ არ მოუგონიათ და ისეთ პრობ-

ლემებთან ექნებათ შეხება სამსახურში, რომელთა არსებობასაც კა არ ვაცნობიერებთ დღეს! რა თქმა უნდა ეს ყოველივე მოხდება იმ პირობით, თუ არ შეწყვეტენ სწავლას საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თუ გააგრძელებენ განათლების მიღებას უმაღლეს სასწავლებლებში, თუ ვინმე გააღვიძებს მათში სამყაროს შეცნობის სურვილს, ასწავლის რომ სწავლა სასარგებლობა და აჩვენებს თუ როგორ ისწავლოს ეფექტურად. იმაზე თუ როგორ იქნება გამოყენებული დრო, რომელსაც ბავშვი ატარებს სკოლაში, დამოკიდებულია მათი მომავალი.

თუ ინტერნეტთან მიგვიწვდებათ სელი, არ არის აუცილებელი მსოლოდ საკუთარ ფანტაზიის უნარს დაგეყრდნოთ. რაც დრო გადის მთე უფრო მეტი მასწავლებელი აღმოაჩენს იაფი და მარტივი ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობას და საკუთარ იდეებს განათავსებს ინტერნეტში. ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ვებ-გვერდი არვინდა გუპტას კუთვნის: <http://www.arvindguptatoys.com/toys.html>. დარწმუნებული ვარ, რომ დროთა განმავლობაში მეტ კარგ მისაბაძ იდეებს ვიპოვთ მსოფლიო ქსელში.

ამგვარი ექსპერიმენტების მომზადებით არა მსოლოდ მრავალფეროვებას შევძენთ გაკეთილს, არამედ ჩვენც ვიწყებთ მეცნიერებივით მოქმედებას და აზროვნებას. ექსპერიმენტი შეიძლება კარგად გამოგვივიდეს ან საერთოდ ჩაიშალოს, მაგრამ ჩვენ თვითონაც კა გერ შეგამჩნევთ თუ როდის დავიწყეთ ფიქრი მის გაუმჯობესებაზე. მართალია საექსპერიმენტო საზები, რომელთანაც აქ გვაქვს შეხება, არის მარტივი, მაგრამ ფიზიკის კანონები იგივეა. რაც დიდ სამეცნიერო ლაბორატორიებში, და ზოგჯერ არ არის მარტივი მათი მოწერივება – ისევე, როგორც ნამდვილი სამეცნიერო ექსპერიმენტების შემთხვევაშია. ამგვარად შეგვიძლია თვითონ შევქმნათ მდიდარი სასკოლო ლაბორატორია, სადაც მოუნედავად იმისა, რომ არ იქნება დიდი და ძვირადღირებული მოწყობილობები, მაინც შეიძლება ბევ-

რის ჩვენება მოხწავლეებისთვის და, რაც მთავარია, ცდების მათთან ერთად ჩატარება!

და ბოლოს, მინდა გაგიზიაროთ რამდენიმე ინტერნეტ-რესურსი. მე სშირად ვსარგებლობ ჩემი მეგობრის, მარევ პავლოვსკის ვებ-გვერდით: <http://www.totylkofizyka.pl>, სადაც მნიარული საცემოები მენტო ფილმებია. ასევე რამდენიმე საინტერესო ექსპერიმენტი აღწერილია "Hands-On Universe"-ის ვებ-გვერდზე <http://www.pl.euhou.net>.

ვიცყვით ექსპერიმენტები...

როგორ

ჩავატაროთ

წარმატებული

ექსპერიმენტული

გაკვეთილი

პაველ გუბიძი,
სამეცნიერო ცენტრი
კომერციი

ცამყაროს შეცნობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მეთოდი ექსპერიმენტია. მოვლენები, რომლებიც ჩვენთვის უწვევულოა, ჩვენს დაინტერესების იწვევს და შეკითხვების – როგორ მუშაობს ეს, ეს როგორ არის შესაძლებელი – დასმისკენ და მათზე პასუხის ძიებისაკენ გვიბიძებს.

ასევე საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისას ექსპერიმენტი უნდა წარმოადგენდეს საფუძველს, მამოძრავებელ ძალას, რომელიც უბიძებს მოსწავლეებს ჩაუდრმავდნენ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და მათემატიკის მეცნიერების პრინციპებს, მოუწოდებს შეკითხვების დასმისა და მათზე პასუხის გაცემისაკენ.

თუმცა იმისათვის, რომ გაკვეთილის დროს ექსპერიმენტმა თავისი საკუთარი როლი შეასრულოს, გააღვიფოს ინტერესი და წარმოაჩინოს მოვლენები, რომელთა განსილვასაც ვაპირებთ, ის კარგად უნდა იყოს მომზადებული და გააზრებულად გამოყენებული. ყველაზე საინტერესო ცდაც კი, რომელიც შეუსაბამოდაა ჩატარებული, მოსწავლეებს უფრო დაუკარგავს შემდგომი სწავლის ინტერესს, ვიდრე პირიქით.

წინამდებარე სტატიაში მინდა წარმოვადგინო რამდენიმე მითითება (რჩევა) იმაზე თუ როგორ უნდა მოვემზადოთ საექსპერიმენტო გაკვეთილისთვის ისე. რომ იგი იყოს მოსწავლეებისათვის როგორც საინტერესო, ასევე შემცნებით.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს გაკვეთილებზე შეგვიძლია ჩავატაროთ ექსპერიმენტი ორი ფორმით: პირველი – ეს არის სადემონსტრაციო ცდების ჩატარება, რაც იმ მოვლენების და კანონების თვალსაჩინო წარმოჩენას ემსახურება, რომელთა განსილვასაც ვაპირებთ გაკვეთილზე. იგი ასევე წარმოადგენს ამოსავალ

გავავითი

წერტილს გარკვეული მოვლენების ანალიზის დროს. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტს როგორც წესი, თვითონ მასწავლებელი ან შერჩეული მოსწავლე ატარებს, ხოლო დანარჩენი მოწაფეები თვალს ადევნებენ ექსპერიმენტის შედეგებს.

საექსპერიმენტო გაკვეთილის მეორე სახეობას წარმოადგენს გაკვეთილი, რომლის დროსაც მოსწავლეები ინდივიდუალურად ატარებენ ექსპერიმენტებს. ასეთი გაკვეთილების მიზანია უპირველეს ყოვლისა მოსწავლეების მიერ ბუნების კანონების დამოუკიდებლად აღმოჩენა და მათში სამყაროს აღმოჩენის სურვილის აღძვრა.

სამეცნიერო დემონსტრირება

პირველ რიგში განვისილავთ სამეცნიერო დემონსტრირებას, თუმცა ამ ნაწილში მითითებული რჩებების დიდი ნაწილი შექმნა ასევე ინდივიდუალური ცდების გაკვეთილებსაც.

უსაფრთხოება

უნდა გვასწოვდეს ის, რომ ცდების ჩატარების დროს ყველაზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ბევრ ექსპერიმენტში ვიყენებთ საშიშ, ადვილადაალებად და სასიფათო ნივთიერებებს, ასევე ელექტროენერგიას ან ღია ცეცხლს. მასწავლებლებმა ყოველთვის უნდა შევაფასოთ თუ რამდენად საშიშია მოცემული ექსპერიმენტი, მივიღოთ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები იმისთვის, რომ ჩატარებულმა ცდებმა არ გამოიწვიოს მაგალითად შემთხვევითი სანძარი ან არ მოხდეს – არანაირი სახით – მოსწავლეების საშიშ სუბსტანციებთან კონტაქტი.

ექსპერიმენტის გაფარჯიშება

შემდეგი, რაც უნდა გავითვალისწინოთ – ეს ექსპერიმენტის შესაბამისად მომზადებაა. სანამ მოსწავლეებს წარვუდგენდეთ მას, უნდა დავრწმუნდეთ რომ ჩვენ თვითონ ვიცით მისი ჩატარება და

გარემოებების მიუხედავად ექსპერიმენტი წარმატებულია ჩატარდება გაკვეთილზე. მიუხედავად იმისა, გვინდა ექსპერიმენტის მოშენება იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენს მიერ განსილული კანონები მოქმედებენ, თუ ის წარმოადგენს ამოსავალ წერტილს გარკვეული მოვლენის ანალიზისთვის, არ შეიძლება დავუშვათ სიტუაცია, როდესაც ექსპერიმენტი არ გამოგდის და ჩვენ ვუყვებით მოსწავლეებს რისი დანახვა შეეძლოთ ექსპერიმენტი რომ კარგად გამოსულიყო. ასე რომ გვასწოვდებ: სანამ ჩავატარებთ ცდას საჯაროდ, გავივარჯიშოთ ის მაყურებლების გარეშე რათა დავრწმუნდეთ, რომ ის გამოგვივა გაკვეთილზე.

სელსაწყოების მომზადება

შემდეგი პუნქტი, რომელსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, ეს არის ექსპერიმენტისთვის აუცილებელი სელსაწყოების წინასწარ მომზადება. გაკვეთილის წინ უნდა დავრწმუნდეთ, რომ გვაქვს ყველა ნივთი, რომელიც მოცემული ექსპერიმენტის ჩატარებისთვისაა საჭირო. კარგი იქნება კუთხით მათ ერთ ადგილას მოვუყრით თავს, რომ თავიდან ავიცილოთ უსერტული სიტუაცია – როდესაც გავაცნობიერებთ, რომ გვაკლია ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. ან იძულებული ვხდებით ვეძებოთ შემთხვევით დაკარგული ასანთი, რომელიც გვჭირდება გაზტურის ასანთებად.

შედარებით უფრო რთული ექსპერიმენტების შემთხვევაში, რომლებიც მოითხოვენ საექსპერიმენტო მაგიდის მოწყობას, ასევე მნიშვნელოვანია მისი წინასწარ მომზადება იმისათვის, რომ დრო არ დაიკარგოს გაკვეთილის მსვლელობისას და მოსწავლეებმაც არ მოიწყინონ ექსპერიმენტის სანგრძლივ მოლოდინში.

ექსპერიმენტის პრეზენტაცია

შემდეგი ელემენტია ექსპერიმენტის სწორად ჩატარება – ისე, რომ მისი შინაარსი და შედეგები იყოს მოსწავლეებისათვის მკაფიო.

გაპეიილი

ამისთვის საექსპერიმენტო მაგიდა უნდა იყოს ათვისებული ისე, რომ ყველა მოსწავლე კარგად სედავდეს ექსპერიმენტის მსვლელობას.

იმისათვის, რომ მოწაფეებმა შეძლონ დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები ექსპერიმენტიდან, კარგია თუ მას შემდეგი სქემის მიხედვით ჩავატარებთ:

1. იმ მოწყობილობების პრეზენტაცია, რომელსაც ცდისთვის გამოვიყენებთ, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გაიგონ რას და რისთვის ვიყენებთ ექსპერიმენტის დროს.
2. ექსპერიმენტის ჩატარება.
3. მოსწავლეების დაკვირვებები.

კარგია თუ ვთხოვთ მოსწავლეებს თვითონ გვიამბონ თუ რა შეამჩნიეს ექსპერიმენტის დროს. უნდა გვასსოვდეს რომ ის, რაც ჩვენთვის, როგორც იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც იციან რას ენება ექსპერიმენტი, არის თავისთვად ცხადი, შეიძლება არ იყოს ცხადი მოსწავლეებისთვის. შეიძლება მათ გამორჩათ რომელიმე დეტალი, წერილმანი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერიმენტის არსის ჩაწვდომისთვის.

დაკვირვებების ერთად შეჯამება საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ ყველამ დაინახა ერთი და იგივე. რაც გააძლიერებს შედეგების შემდგომ ანალიზს.

4. დასკვნები

ბოლოს საშუალება უნდა მივცეთ მოსწავლეებს დაკვირვების შედეგიდ დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მივუთითოთ მსჯელობის სწორი მიმართულება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილზე ექსპერიმენტის ჩატარების დროს საჭიროა:

- დავრწმუნდეთ, რომ ექსპერიმენტი უსაფრთხოა.
- გავიგარვიშოთ ექსპერიმენტი მაყურებლების გარეშე.
- გიკვეთილის დაწყების წინ შევამოწმოთ, გვაქვს თუ არა ყველა საჭირო ნივთი.
- ჩავტაროთ ექსპერიმენტი.

ინდივიდუალური ცდების გაკვეთილი

პრაქტიკული გაკვეთილის ჩატარების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველა იმ ელემენტს, რომელიც ჩამოთვლილია სამეცნიერო დემონსტრირების შემთხვევაში. ასე რომ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ცდების ჩატარება არის უსაფრთხო, ხოლო თუ რომელიმე ელემენტი საშიშია – ინფორმაციას გაწვდით მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რაში ძლიერობს საფრთხე და როგორ შეგვიძლია თავი ავარიდოთ მას. შემდგომ ამისა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ თვითონ შეგვიძლია ექსპერიმენტის სწორად ჩატარება, ასევე გვაქვს თუ არა მისთვის საჭირო ყველა ნივთი და მოწყობილობა.

გაკვეთილის დაწყების წინ უნდა მოგამზადოთ თითოეული მონაწილისათვის მოწყობილობების კომპლექტები, ისე რომ ცალკეულ მოსწავლეს ჰქონდეს ყველა საჭირო ნივთი.

რადგან ამ შემთხვევაში მოსწავლეები დამოუკიდებლად ჩატარებენ ექსპერიმენტს, უნდა მივცეთ მათ მკაფიო და მარტივი ინსტრუქცია იმის შესახებ თუ რა ნაბიჯები უნდა გაიარონ თანმიმდევრულად ექსპერიმენტის ჩატარებისას. ასევე უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა დააკვირდნენ, რას მიაწიონ ყურადღება.

ამგვარი ინსტრუქციის მომზადება და მიწოდება შეიძლება ე.წ. სამუშაო ბარათის სახით, რომელსაც მიიღებს ყველა მოსწავლე და რომელიც მოიცავს:

- თანმიმდევრულად შესასრულებელი ნაბიჯების აღწერას;

გაკვეთი

- დაკვირვების შედეგების ჩაწერისათვის განკუთვნილ ადგილს, სადაც დაწერილია სათანადო შეკითხვები, რომელიც მიუთითებენ რას უნდა დააკვირდეს მოსწავლი;
- ექსპერიმენტიდან გამომდინარე დასკვნების ჩაწერისთვის განკუთვნილი ადგილი.

იმედი მაქვს. რომ ეს რამდენიმე რჩევა დაგეხმარებათ ისეთი გაკვეთილების მომზადებაში, რომელიც იქნება მოსწავლეებისათვის როგორც საინტერესო და შთაგონების წყარო. ასევე განათლების მიღებისა და სამყაროს უკეთ შემეცნების საშუალება. დასასრულს დაგამატებდი, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილებზე ცდების ჩასატარებლად საჭიროა სათანადო მომზადება, არ უნდა შეგვე-შინდეს ექსპერიმენტებისა და იმ ანალი იდეების ტესტირების გან-სორციელებისა, რომელიც შეიძლება დაგვებადოს ჩვენ ან ჩვენს მოსწავლეებს ცდების მიმდინარეობისას გაკვეთილებზე.

ექსპერიმენტები გაკვეთილზე არა მხოლოდ ასასავენ ბუნების კონცეპს, არამედ ასევე აღვიძებენ მოწაფეებში შემეცნების ინტერესს. ექსპერიმენტის სიზუსტეზე და შესრულების სისწორეზე ზრუნვისას არ უნდა შევზღუდოთ მოსწავლეების შემეცნების სურვილი.

ყველას ვუსურვებ სასიამოვნო და ნაყოფიერი ექსპერიმენტების ჩატარებას!

პიოლოგის
ექსპერიმენტები

„ხახვიდან
დნმ-ის

გამოყოფა“

ექსპერიმენტის არსი

ნუკლეიინური მჟავების (სიმარტივისთვის – დნმ) დალექვის მარტივი და სწრაფი მეთოდი, რომელიც შეუძლია დაგენერიკული თვალით დნმ-ის დანახვის საშუალებას გვაძლევს.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
გენეტიკა, დნმ, რნმ, ნუკლეიინური მჟავები, გამოყოფა, სახვი.

საჭირო მასალა

ნახევარი სახვის თავი,
სუფრის მარილი (ერთი კოვზი),
სპირტი (95%-ზე მეტი ეთანოლი) ან იზოპროპანოლი (რამდენიმე მილილიტრი, უკეთესია თუ გაყინულია ან დაფარულია ყინულით),
ჭურჭლის სარეცხი საშუალება,
ქვასანაყი,
პატარა ძაბრი,
ყავის ფილტრი ან ქაღალდის სელსანცი,
კბილების საწმენდი ნის ან ქაღალდისგან დამზადებული ჩსირი,
წყალი,
ჭურჭლი – ჭიქა ან ქილა, პატარა ჭიქა, ან პატარა ქილა, სინჯარა ან არყის მაღალი ჭიქა (სირჩა),
ყინული,
დანა,
საჭრელი დაფა,
პატარა ჯამი ან მომცრო ქოთანი,

ჩვარი,
ჩაქუჩი ან სანაყი ქვა.

უსაფრთხოება

ექსპერიმენტი უსაფრთხოა, მაგრამ წერ ჩაისუნთქავთ ალკოჰოლის
ორთქლს, განსაკუთრებით იზოპროპანოლის.

განსაკუთრებული პირობები

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სელმისაწვდომი იყოს მაცივარი
– ექსპერიმენტი ოპტიმალურად წარიმართება, თუ სპირტი კარგად
არის გაციებული. საჭიროა აგრეთვე ყინულიც.

განსორციელება

1. მომზადება:

ერთი კოგზი სუფრის მარილი (სასურველია არაიოდიზირებული)
გახსენით 100 მლ (დაახლოებით ნახევარი ჭიქა) წყალში.

ყინულის რამდენიმე კუბიკი გაასვიეთ ჩვარში. წვრილად დაჩეჩ-
ქვეთ ჩაქუჩით და ჩაყარეთ პატარა ჯამში ან ქოთანში.

2. პროცედურა:

ნახევარი სასვის თავის შუაგულიდან ამოჭერით დაახლოებით 3
სმ ზომის ნაწილი, ოღონდ წერ მიაყოლებთ იმ ნაწილს საიდანაც
ფესვები იზრდება. ამოდებული ნაწილი წვრილად დაჭრით და
ჩადეთ ქვასანაყში, დაამატეთ ორი კოგზი მარილიანი წყალი და
ერთგვაროვანი მასის მიღებამდე ენერგიულად აზილეთ.

მიღებული მასა გადაიტანეთ პატარა ჭიქაში და დაამატეთ მა-
რილიანი წყალი ისე, რომ მოცულობა 2-3-ჯერ გაიზარდოს. დაამა-
ტეთ ჭურჭლის სარეცხი საშუალების ერთი დიდი წვეთი და კარგად
მოურიეთ. ჭიქა ჩადეთ ყინულიან ჯამში ისე, რომ ყინულის დონე
უტოლდებოდეს ჭიქაში არსბულ სითხის დონეს. დაიცადეთ 5 წუთი.

„ნახვიდან დნე-ის გამოყოფა“

პირლოგის ექსპერიმენტები

სანდახან მოურიეთ. ცოტა სანში თუ მასაში ჩაუშვებთ კბილების საწმენდ ჩსირს შეატყობთ, რომ სითხე წებოვანი ხდება.

სინჯარაში ჩადეთ პატარა ძაბრი (სინჯარა მოათავსეთ მინის ქილაში ან დაამაგრეთ შტატივში). ძაბრის შიდა ნაწილში ჩააფინეთ ქალალდის სელსახოცი და ფრთხილად დაატენიანეთ. ჩაასხით ძაბრში ყინულის ჯამიდან ამოღებული სითხე. დაელოდეთ სანამ ფილტრატი სინჯარაში დაახლოებით 4-5 სმ-ის სიმაღლეზე დაგროვდება. ამის შემდეგ ფრთხილად ამოიღეთ სინჯარიდან ძაბრი, სინჯარა ოდნავ დასარეთ და მისი კედელის გაყოლებით ძალიან ფრთხილად დაიწყეთ გაციებული სპირტის ჩამატება. ისე რომ სპირტის სვეტმა იგივე სიმაღლე დაიკავოს, რაც ფილტრატის სვეტს უკავია. დადგით სინჯარა და აცადეთ 2-3 წუთი. სპირტი დარჩება ზედა ნაწილში – ფაზების ზღვარზე შეიძლება დაინახოთ დნმ-ის დალექვის პროცესი. შეგიძლიათ ცოტათი დასაროთ სინჯარა და ატრიალოთ ვერტიკალური ღერძის გარშემო. დნმ-ი ქმნის თეთრი ფერის, ძაფისებრი სტრუქტურის ფიფქებს. მათი დახვევა კბილების საწმენდ ჩსირზეც არის შესაძლებელი. ამოიღეთ ჩსირი ხსნარიდან და გაშრობის შედეგ დნმ-ი უსილავი განდება. იგი კარგად ისხნება წყალში.

განმარტება

RNA – რიბონუცლებულ აციდ, რიბონუკლეინის მჟავა

DNA – დეოქსყრიბონუცლებულ აციდ, დეოქსირიბონუკლეინის მჟავა

ცოცხალი ორგანიზმების უჯრედებში არის უჯრედული ბირთვი, მასში კი ნუკლეინური მჟავებია, რნმ-ი და დნმ-ი. ქიმიურად ეს ორი ნივთიერება მხოლოდ შაქარში (რიბოზაში) უანგბადის შემცველობით განსხვავდება (დნმ-ში რიბოზას ფანგბადი არ გააჩნია და ამიტომ უწოდებენ „დეოქსირიბოზას“ და ამას გამოსახავს მის დასახე-

ლებაში ასო „დ“). მოუხედავად ქიმიური მსგავსებისა რნმ-ი და დნმ-ი უჯრედში სხვადასხვა როლს ასრულებს.

ჩვენ მიერ აღწერილი გამოყოფის მეთოდი ამ ნაერთების ქიმიურ თვისებებს ეფუძნება, სინამდვილეში სდება რნმ-ის და დნმ-ის გამოყოფა, მაგრამ გამარტივების მიზნით პროცედურას დნმ-ის გამოყოფას უწოდებენ.

ნუკლეინური მჟავების გამოყოფა საკმარისად იოლია და ჩამოგაფს იმ პროცედურას, რომელსაც ლაბორატორიებში იყენებენ. აგხსნათ პროცედურის ცალკეული ეტაპების არსი:

1. ქსოვილის გასრუება – ქსოვილი უნდა დანაწევრდეს უჯრედების დონეზე, სოლო თვით უჯრედები კი (დნმ-ის ამოდების მიზნით), უნდა დაიშალოს. ამისთვის ყველაზე კარგია ქსოვილზე ინტენსიური მექანიკური ჭემოქედება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარეული უჯრედების შემთხვევაში, რომლებიც გარემოცულია სქელი უჯრედული კედლით და მათი სტრუქტურის დარღვევა მექანიკური ჭემოქედებით არის შესაძლებელი.

2. სარეცხი საშუალების დამატება სელს უწყობს ლიპიდებისგან შემდგარი უჯრედული კედლების დაშლის, უჯრედის შიგთავსი კი გადადის სხნარში.

3. უჯრედის დაშლის შემდეგ მოსალოდნელია დნმ-ის დეგრადაცია (შემადგენელ ნაწილებად დაშლა და ფრაგმენტაცია). ამის პრეცენციის მიზნით საჭიროა დაბალი ტემპერატურა, რომელიც თრგუნავს დნმ-ის მადეგრადირებელი ცილების (ფერმენტების) აქტივობას. მარილის არსებობა სხნარში იწვევს ამ ცილების დალექვას.

4. ქაღალდის ხელსახლცვზე რჩება ქსოვილის ბევრი არასაჭირო ელექტროტი – დნმ-ის ძირითადი რაოდენობა გადასულია ფილტრატში.

5. დნმ-ი მუაფაა, რომლის ნალექს უარყოფითი მუხტი აქვს. ამის გამო სუფრის მარილიდან გამოყოფილი ნატრიუმის იონები გროვდება დნმ-ის მოლეკულების გარშემო. გაჯერებულ მარილსხნარში თუ მასში აგრეთვე ეთანოლიც (ალკოჰოლი) არის, დნმ-ი იცვლის თავის

„სანიდან დნმ-ის გამოყოფა“

პიროვნების ექსპერიმენტები

სივრცით სტრუქტურას, ქმნის აგრეგატებს (დიდ მოუწესრიგებელ კომპლექსებს) და გამოყოფა ნალექის სახით. ამ აგრეგატებს ჩვენ მოგრძო ძაფების ფორმით ვხედავთ. თუ ალკოჰოლი კარგად არის გაციებული, პროცესი უაღრესად ეფექტურად წარიმართება.

შენიშვნა – გრძელი ძაფები არ წარმოადგენს დნმ-ის ცალკეულ მოლექულებს. მოლექულები უაღრესად პატარა ზომისაა და მათი დანახვა ძლიერი მიკროსკოპის გარეშე ადამიანის თვალს არ შეუძლია.

დნმ-ი არის ნაერთი, რომლის სტრუქტურაში გენეტიკური ინფორმაცია ჩაწერილი. ამ ინფორმაციის წასაკითხად რნმ-ის მოლექულებია საჭირო. დნმ-ში ინახება ინფორმაცია ყველა უჯრედული ცილების შესახებ (დნმ-ის ასეთ ნაწილებს გენებს უწოდებენ). გენები დნმ-ის მსოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს (ძუძუმწოვართა უჯრედებში – მხოლოდ 3%-ს), დანარჩენის ფენქციას წარმოადგენს ინფორმაციის წაკითხვა, დნმ-ის სტრუქტურის უზრუნველყოფა, გენეტიკური მასალის მულტიპლიკაცია და მისი გადაცემა დადისეულ უჯრედებში და ა.შ. ნუკლეინის მჟავები ჩართულია უჯრედების და, შესაბამისად – ქსოვილების და ორგანიზმების ყველა სასიცოცხლო პროცესის რეგულაციაში

ალტერნატიული ვარიანტები

დნმ-ის გამოყოფისთვის შესაძლებელია სხვა მცენარეების გამოყენებაც, მაგალითად ხორბლის მარცვალი, მარწყვა, კიფი. ეს უკანასკნელი კარგია იმ მხრივ, რომ მის წვენში დიდი რაოდენობით არის ცილების გადამამუშავებელი ფერმენტები, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც დალექვის პროცესში შეუძლიათ დნმ-ის დეგრადირება.

გასათვალისწინებელი მომენტები

პროცედურა მარტივია, მაგრამ თუ გვინდა, რომ ექსპერიმენტი გარანტირებულად გამოვიდეს, მისი რამდენჯერმე გამეორებად საჭირო.

შენიშვნა – ეფექტი უაღრესად ფაქტია. რის დანახვასაც ჩვენ ვაპირებთ ფრიად ნატიფ სტრუქტურის წარმოადგენს. ამიტომ სინჯარის დათვალიერება შესაბამისი განათების ქვეშ უნდა ხდებოდეს.

რა შეცდომებს უნდა ვერიდოთ?

ნე გამოიყენებთ მასალის დიდ რაოდენობას, რადგან რაც უფრო დიდია მოცულობა, გაციების პროცესი მით უფრო ნელი ტემპით წარიმართება. სახვის შემთხვევაში საკმარისია ქსოვილის დაახლოებით 1 სმ³.

ქაღალდის სელსასოცის ფილტრი შეიძლება გაიბიდნოს – უნდა შევცვალოთ ის ახლით. უვარგისი ფილტრი ძაბრიდან ფაქტიად უნდა ამოვრიდოთ, არ გავხით, რის შედეგად ფილტრატში ჩავარდება გაუფილტრავი მასა.

ქვასანაყში ქსოვილის ამოლესვის ეტაპს პრინციპული მნიშვნელობა აქვს – სწორედ მაშინ სდება უჯრედული კედლის სტრუქტურის დარღვევა. რაც უფრო ძლიერად ჩავატარებთ ამ პროცესს – მით უკეთესია, ქსოვილიდან უფრო მეტი დნმ-ი გამონთავისუფლდება.

საჭიროა ყინულში ჩაშვებული ნიმუშის რეალური გაციება – ყინულის დონე აუცილებლად უნდა უტოლდებოდეს ჭიქაში არსებული სითხის დონეს. კარგ შედეგს იძლევა ყინულიანი წყალი, რომელიც სისტემატურ მორევას საჭიროებს.

სპირტი მაქსიმალურად ცივი უნდა იყოს, თბილი ალკოჰოლი ეფექტურად არ დალექავს დნმ-ს. ამიტომ მისი წინასწარი გაციება ყინულში აუცილებელია.

დნმ-ის დალექავა ფაქტიად უნდა წარიმართოს, რათა შემთხვევით არ მოხდეს მისი დეფრაგმენტაცია.

ზოგადად, მთელი პროცედურა საკმარისად სწორაფად უნდა ჩატარდეს, რადგან დროში გაწელვა გამოიწვევს დნმ-ის დეგრადაციას, რომლის შემჩენევას ვერ მოვასერხებთ.

„სანიდან დნმ-ის გამოყევა“

პოლონეთის ეკავშირნები

პიოლოგის
ექსპერიმენტები

„რეაქციის
დრო“

ექსპერიმენტის არსი
ვამოწმებთ რეაქციას მსედველობით სტიმულზე – ვიჭროთ სახა-
ზავს.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ფიზიოლოგია, სტიმულზე რეაქციის სიჩქარე.
ნერვული სისტემა. სტიმული.


საჭირო მასალა
სახაზავი (სასურველია 50სმ სიგრძის)

უსაფრთხოება
ექსპერიმენტი უსაფრთხოა

განსაკუთრებული პირობები
საჭიროა სკამი და მაგიდა ან სხვა საგანი, რაზეც შეიძლება ხე-
ლით დაყრდნობა.

განსორციელება
ცდის ჩატარებისთვის ორი ადამიანია საჭირო. ერთს (ცდის პირს),
სელი მაგიდაზე აქვს დადებული ისე, რომ სელის მტევანი მაგიდის
გარეთაც, ცერა თითხა და სხვა თითებს შორის თავისუფალი სივ-
რცეა, იმდენად, რომ სახაზავი სიბრტყით თავისუფლად მოთავსდეს
– სელი მზადყოფნაში უნდა იყოს სახაზავის დასაჭერად.

მეორე მონაწილეს სახაზავის ზედა ბოლო თითებით უჭირავს. სახაზავის ქვედა ბოლო ცდის პირის ცერა თითის დონეზეა, მაგრამ მას არ ეხება. ცდის მეორე მონაწილე სახაზავს გაფრთხილების გარეშე უშვებს სელს. ცდის პირის მიზანია – სახაზავი რაც შეიძლება სწრაფად დაიჭიროს. სახაზავის ის ადგილი (რიცხვი სმ-ში), რომლითაც ცდის პირი მას დაიჭირს შეგვაქვს ცხრილში. ამ რიცხვის მიხედვით შემდეგ შეიძლება გავთვალოთ რეაქციის სიჩქარე. ექსპერიმენტში მონაწილეობა შეუძლია კლასის ყველა მოსწავლეს. შედეგები შევადაროთ ერთმანეთს. თუ კლასში სხვადასხვა ასაკის მოსწავლეა, შეიძლება ვნახოთ თუ რა გავლენას ახდენს ასაკის ფაქტორი რეაქციის სისწრაფეზე.



განმარტება

ექსპერიმენტი სტიმულზე ადამიანის რეაგირებას აჩვენებს. ნერვული იმპულსების გადაცემა დიდი სისწრაფით ხდება. ძუძუმწოვრებში ეს სიჩქარე შეადგენს 2-100გ წამში. პროცესი სწრაფია, მაგრამ მაინც საჭიროებს გარკვეულ დროს. სელი იჭერს სახაზავს მას შემდეგ, რაც ინფორმაცია სახაზავის ვარდნის შესახებ მიაღწევს თავის ტვინს, იქ გადამუშავდება და გაიცემა ბრძანება, რომ სელის კუნთებმა სათანადო მოძრაობა შეასრულოს. აღწერილი გზა რამდენიმე კომპონენტს შეიცავს: სტიმული – რეცეპტორი (თვალი) – ანალიზატორული ცენტრი (თავის ტვინი) – ეფექტორი (სელის გულის კუნთები). განხორციელებული რეაქცია არ არის უპირობო და რეაქცია სტიმულზე ავტო-

პოლურის ექსპერიმენტი

„რეაქციის დრო“

მატურად არ ხდება. ყურადღება – არსებობს რეაქციის განსორცი-
ელების მინიმალურ თეორიული დრო, რომელიც გამომდინარეობს
ნერვული იმპულსების გადაცემის სანგრძლივობიდან. თუ ვინმე უკე-
თეს შედეგს მიიღებს – ე.ი. ტყუის.

ალტერანტული ვარიანტები

ცდის პირი, რომელმაც სასაზავი უნდა დაიჭიროს თვალებს ხუ-
ჭავს. სასაზავი ოდნავ, ნაზად ეხება მის თითებს. ამ შემთხვევაშიც
მან რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიჭიროს სასაზავი, ოღონდ
არა მსედველობითი, არამედ შეგრძებითი სტიმულის შემდეგ. ის
გერ სედავს, მაგრამ გრძნობს სასაზავის მოძრაობას. ასეთი ვარი-
ანტი სხვადასხვა სასის სტიმულზე რეაქციის სხვაობის გამოვლენის
საშუალებას გვაძლევს.

გასათვალისწინებელი მომენტები

- უნდა გვასოვდეს, რომ ყველა ცდის პირს თანაბარი პირობები
უნდა შეგუქმნათ. რაც იმას ნიშნავს, რომ ხელის გული
და თითები ყველას იდენტურ მდგომარეობაში უნდა ჰქონდეს,
სასაზავიც ერთიდამავე დონეზე უნდა იყო ჩაშვებული თითებს
შორის.
- კარგი იქნება თუ თითოეულ ცდის პირზე სამ მცდელობას ჩაა-
ტარებთ და შემდეგ გათვლით საშუალო შედეგს.

**დანართი – მანძილის და რეაქციის დროის
თანაფარდობის ცხრილი**

მანძილი სმ-ში	დრო წამებში	მანძილი სმ-ში	დრო წამებში
1	0.045	21	0.207
2	0.064	22	0.212
3	0.078	23	0.217
4	0.090	24	0.221
5	0.102	25	0.226
6	0.111	26	0.230
7	0.120	27	0.235
8	0.128	28	0.239
9	0.136	29	0.243
10	0.143	30	0.247
11	0.150	31	0.252
12	0.156	32	0.256
13	0.163	33	0.260
14	0.169	34	0.263
15	0.175	35	0.267
16	0.181	36	0.271
17	0.186	37	0.275
18	0.192	38	0.278
19	0.197	39	0.282
20	0.202	40	0.286

პირველი ექსპერიმენტები

„რეაქციების დრო“

პიოლოგის
ექსპერიმენტები

„საღებავები
ფოთლებში“

ექსპერიმენტის არსი

ფოთლებიდან საღებავების სწრაფი გამოყოფის მეთოდი, რომლის შემდეგ თვითნაკეთი ქრომატოგრაფის გამოყენებით ხდება საღებავების განცალკევება ქაღალდის ზოლზე.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
მცენარეთა ფიზიოლოგია, ქლოროფილი, კაროტინიდი,
ფოტოსინთეზი, მცენარეული საღებავები, ქლოროპლასტები

საჭირო მასალა

5-10 ცალი მუქი მწვანე ფერის ფოთოლი
(მაგალითად ვარდის)

ეთანოლი (95%) ან აცეტონი

ქვასანაყი

მინის პატარა ქილა ჰერმეტული სასურა-

ვით

პატარა ფუნჯი

ქაღალდის (სასურველია ცარცის) ფურცელი

სინჯარა ან პატარა სირჩა


მინის ქილა

წვრილი ჭოხი

სკრება

მაკრატელი

ლუმელი, გასათბობი ბატარეა ან ცხელი მშრალი ჰაერი (მაგრამ არა მზის სხივები).



უსაფრთხოება

ნუ ჩაისუნთქავთ აცეტონის და ეთანოლის ორთქლს.

განსაკუთრებული პირობები

პროცედურა საქმარისად სანცრიძლივია!

წინასწარი ეტაპი – ფოთლების გამოშრობა შეიძლება ღუმელში, ბატარეაზე ან ჰაერზე ცხელი დღეების განმავლობაში, მაგრამ არ შეიძლება მზის სხივების პირდაპირი მოქმედების პირობებში.

საღებავების გაყოფის ეტაპი შეიძლება რამდენიმე საათს გაგრძელდეს, რაც დამოკიდებულია გამსხნელზე და ქაღალდის სისქეზე.

განსორციელება

ფოთლებს ვაცლით ყუნწებს, კარგია აგრეთვე თუ ფოთლის ფირფიტას მოვაცილებთ ძარღვებს. დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ფოთლები ღუმელში გამოვაშროთ 110°C ტემპერატურაზე (მყიფე მდგომარეობის მიღწევამდე). ფოთლები ქვასანაყში წროილი ფსვნილის სასით „დავჭევათ“. ფსვნილი პატარა ქილაში ჩაგყაროთ, დაგასხათ მინიმალური რაოდენობის ეთანოლი ან აცეტონი, მაგრამ იმდენი, რომ სუსპენზია წარმოიქმნას. ქილა მოვჭუფოთ და რამდენიმე წუთის განმავლობაში ვანჯღრიოთ. ქილაში მიღებული მწვანე ფერის სითხე სინჯარაში გადავასხათ, ისე, რომ ფოთლების ნარჩენები არ მივაყოლოთ, დავტოვოთ ასე, დაახლოებით 20 წუთი, რათა ძირზე დაიღექოს გაყოლილი ფოთლის მცირე ზომის ნაგლეჯები. შემდეგ, სინჯარიდან სითხე ფაქიზად (ნალექის გარეშე) გადავასხათ სხვა ჭურჭელში.

გამოვჭრათ ქაღალდის ზოლი (სიგანე 2 სმ და სიგრძე – 9სმ). სიგრძე დამოკიდებულია მომდევნო ეტაპებზე გამოყენებული ქილის

„საღებავები ვრცელებენ“

პირველი ექსპერიმენტები

სიმაღლეზე. ქაღალდის ქვედა ბოლოდან 1-2 სმ-ის დაცილებით გასხვილი საღებავის თხელი ფენა ფუნჯით დავიტანოთ პორიზონტალური საზის სახით. საშუალო ზომის (250-300 მლ მოცულობის) ქილაში 1 სმ სიმაღლეზე ჩავასხათ ეთანოლი ან აცეტონი. საღებავწამული ქაღალდის ზოლის სუფთა ბოლოზე დავამაგროთ სკრეპი და სის ჯოხით ჩამოვყიდოთ ეთანოლიანი ქილის ძგიდეზე. ისე, რომ ქაღალდის მეორე ბოლო ქილაში იყოს ჩაშვებული და მინიმალურად იყოს ჩასული სითხეში. აუცილებელია, რომ ქაღალდზე დატანილ საღებავის ზოლს არ ესებოდეს ქილაში არსებული სითხე. რამდენიმე საათის განმავლობაში დაგტოვოთ ყველაფერი ასეთ მდგომარეობაში და პერიოდულად დაგაკვირდეთ პროცესების განვითარებას.

როდესაც გამსხველი (ეთანოლი ან აცეტონი) იწყებს ასვლას ქაღალდის ზოლზე, მას თან მიჰყვება ფოთლებიდან გამოყოფილი საღებავები. გარკვეული დროის შემდეგ საღებავები იყოფა – ჩნდება დამასასიათებული ზოლები, ერთ-ერთი მათგანი ყვითელი ფერისაა.

განმარტება

ფოთლებში სხვადასხვა საღებავია. პირველ რიგში ეს ქლოროფილია, რომელიც ფოტოსინთეზის პროცესში მონაწილეობს. ქლოროფილი ქლოროპლასტების შიდა კედლებშია განთავსებული. იგი უპირველესად სინათლის შემადგენელ წითელ და ლურჯ ფერს შთანთქავს, სოლო მწვანეს აირევლავს – ამიტომ ჩვენ ამ ფერს გწედავთ. ქლოროფილის გარდა (რომელიც უმაღლეს მცენარეებში ორი სახისაა – „ა“ და „ბ“) არის კიდევ სხვა საღებავებიც – კაროტინიდები: ნარინჯისფერი და წითელი კაროტინები, აგრეთვე ყვითელი და ყავისფერი ქსანტოფილები. ფოტოსინთეზის პროცესში კაროტინიდები დამსმარე ფუნქციას ასრულებს.

ჩვენ ექსპერიმენტში ვნახეთ, რომ მწვანე საღებავი მხოლოდ „მასკირებას“ უკეთებს სხვა საღებავების არსობობას – ქაღალდის

ზოლზე მწვანე ფერის გვერდით გარკვეული დაყოვნებით ყვითელიც გამოჩნდა.

სხვა საღებავების არსებობა ფოთლებში უკეთესად ჩანს იმ რევი-ონებში სადაც შემოდგომის დროს ზომიერი კლიმატური პირობებია – ქლოროფილი. როგორც ყველაზე ფასეული საღებავი ჩამოსაც-ვენად მომზადებული ფოთლებიდან გადადის სის ღეროსა და ფეს-ვებში. სხენებული საღებავები სუსტად ისხნება წყალში და ამიტომ მათ გამოსაყოფად ქსოვილებიდან საჭიროა სპირტი ან აცეტონი.

გაყოფის აღწერილი მეთოდი საფხებით შეესაბამება იმ კლასიკურ მეთოდს, რომელიც ხმარებაშია სამეცნიერო კვლევებში და ცნობი-ლია ქრომატოგრაფის დასახელებით. ამ მეთოდის მიხედვით ნივ-თიერების გაყოფის მიზნით ორი ფაზა გამოიყენება – მოძრავი და უძრავი. მოძრავ ფაზას მიეკუთვნება სხვადასხვა ქიმიური ფუნქციის მატარებელი სითხეები (გამსსნელები, რომლებსაც ელუენტებს უწ-დებენ) ან აირები, ხოლო უძრავ ფაზას – მაგალითად ქალალდი ან გრანულარული სტრუქტურის მქონე ნივთიერების თხელი ფენა.

გაყოფის არსი შემდეგშია, გამსსნელს, რომელიც მოძრაობს უძ-რავ ფაზაზე, გადააქვს ნივთიერება – ჩვენს ცდაში ეთანოლი მასში გახსნილი საღებავებით გადაადგილდება ქალალდის ზოლზე (მიე-მართება ქვევიდან ზევით). გასაყოფ ნაერთთა მოლეკულები გან-სხვავდება ზომით რაც უძრავ ფაზაზე მათ სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობას განაპირობებს – პატარა ზომის მოლეკულები გადაად-გილდება სწრაფად, უფრო დიდები – ნელა. ამის შედეგად ხდება გაყოფა, რასაც ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა ფერის ზოლების სასით.

ალტერნატიული გარიანტები

აზრი აქვს სხვადასხვა სასის გამსსნელების ტესტირებას (მაგალი-თად, ფანჯრის საწმენდი სითხის რამდენიმე წვეთის დამატებაა შე-საძლებელი). აგრეთვე სხვადასხვა სასის ქალალდების გამოყენებას.

„საღებავები ვრცელებები“

პილუმის ექსპრესნობი

გასათვალისწინებელი მომენტები

ექსპერიმენტის წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია ქალადის სახეობაზე. მას უნდა ჰქონდეს მაქსიმალურად მოწესრიგებული, „შემჭიდროებული“ სტრუქტურა. სხვაგვარად გაყოფა არ განსორციელდება. უკეთესია, ჩვეულებრივზე უფრო სქელი ქალადის გამოყენება.

ზოგჯერ ზოლები დანაოჭებული გამოდის. ამის შესაძლო მიზეზი ან ქაღალდის არაერთგვაროვანი სტრუქტურად ან გაყოფის ძალიან მცირე დრო.

საღებავის სსნარი არ უნდა იყოს ძალიან განხავებული. მისი გასქელება შესაძლებელია ან დალოდებით, ან სინჯარას შეთბობით – ეთანოლის აორთქლება გამოიწვევს ექსპერიმენტული მასალის გასქელებას. ფუნჯით დადებული პირველი ზოლი არ უნდა იყოს ძალიან ფართო.

„ვაგებთ

გულმაკერძის

ერდეულს“

ექსპერიმენტის არსი

ფილტვების ვენტილაციის ძირითადი პრინციპების პრეზენტაციის მარტივი მეთოდი ბოთლის და გასაბერი ბუშტის გამოყენებით.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
ადამიანის ფიზიოლოგია, სუნთქვა, ვენტილაცია,
დიაფრაგმა, მოდელი

საჭირო მასალა

გაზირებული სახმელის 1,5 ლ მოცულობის ცარიელი პლასტმა-
სის ბოთლი

პლასტილინი

კოქტეილის საწრუპავი მილაკი

მაკრატელი

ორი გასაბერი ბუშტი ან ერთი ბუშტი და ერთი რეზინის სელ-
თათმანი

რეზინის ორი რკალი

თოკი

განსორციელება


პლასტმასის ბოთლი მაკრატელით გადაფქრათ (დაახლოებით სი-
მაღლის ნახევარზე) და დაფიტოვოთ ბოთლის ზედა ნაწილი. ჩა-
მოვქრათ საწრუპავი მილაკიდან დაასლოებით 6-7 სმ სიგრძის ნა-
ჭერი. მილაკის ერთი ბოლო ჩავუშვათ გასაბერი ბუშტის ყელში
და ჰერმეტულად დაფამავროთ რეზინის რკალის მრავალჯერადი

შემოხვევით. ეს არის ფილტვები და ტრაქეა. მიღავინი ბუშტი მოვათავსოთ გადაჭრილ ბოთლში ისე, რომ მიღავის თავისუფალი ბოლო ბოთლის ყელიდან ზევით ამოდიოდეს და პლასტილინით ჰერმეტულად გადავლესოთ ბოთლის ყელი. გაჭრათ სელთათმანი და შევეცადოთ გამოგჭრათ მისგან მაქსიმალურად დიდი წრე. ამოვადოთ ეს წრე გადაჭრილი ბოთლის ქვედა მხარეს და დავამაგროთ ის რეზინის რკალით – ჩვენ მოდელში ეს რეზინის ძირი (მებრანა) იქნება დიაფრაგმა. მოვქაჩოთ სელით „დიაფრაგმა“ და დავაკვირდით ბუშტს.

შედეგი – ბუშტი შეივსება ჰაერით. გაუშვით სელი რეზინის მემ-ბრანს – ის გასწორდება და ჰაერი გამოვა ბუშტიდან.

განმარტება

მოდელი გვიჩვენებს თუ როგორ სდება ფილტვების ვენტილაცია. ფაქტურად ფილტვები კი არ იკუმშება და ფართოვდება, არამედ



ყველაფერი სირციელდება სისტემით, რომელიც და-კავშირებულია წნევათა სხვაობასთან გულმკერდის შიდა ნაწილსა და მის გარემომცველ არეს შორის. სხეულის სიმაღლის დაასლოებით შუაგულის დო-ნეზე გარდიგარდოდ მოთავსებულია დიდი სასუნ-თქი კუნთი – დიაფრაგმა. იგი გულმკერდს მუცლის ლრუსგან ყოფს, დიაფრაგმა ოდნავ შეზნექილია ზე-ვით, რის გამოც მისი შეკუმშვა იწვევს მას დაქვეი-თებას (როგორც ეს მოხდა, როდესაც ჩვენ მოვქაჩეთ რეზინის ძირი).

გარდა დიაფრაგმისა სუნთქვის პროცესში მონა-წილეობს აგრეთვე ნეკნების კუნთები, რომლებიც აფართოებს და ავიწროებს გულმკერდის ლრუს. დი-აფრაგმის და ნეკნების კუნთების მოძრაობის შედე-

გად გულმერდის ღრუში წნევა ატმოსფერულზე დაბალი ხდება და ჰაერი შეიწოვება შეგნით (ჩასუნთქვა) ხოლო შემდეგ განიდევნება გარეთ (ამოსუნთქვა). უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი სისტემის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ფილტვების გარშემო არის ე.წ. პლეგრა. მისი გახვრეტა უაღრესად სასიფათოა – არა იმიტომ, რომ აზიანებს ფილტვებს, არამედ იმიტომ, სუნთქვის სისტემა კარგავს ჰერმეტულობას და ადამიანი ვეღარ სუნთქავს.

ფილტვების სრული მოცულობა არის ჰაერის ის სრული მოცულობა, რომელიც თავსდება ფილტვებში. სრული ამოსუნთქვის შემდეგაც კი ფილტვებში მაინც რჩება ცოტა ჰაერი – ე.წ. ფილტვების ნარჩენი მოცულობა. სასიცოცხლო მოცულობას უწოდებენ ჰაერის იმ რაოდენობას, რომელიც შეიძლება შეყვანილ იქნას ფილტვებში მაქსიმალური ამოსუნთქვის შემდეგ. ის შეადგენს დაახლოებით 3500 სმ³. მაგაკუებში ის დაახლოებით 1200სმ³-ით აღემატება ქალების სასიცოცხლო მოცულობას.

უნდა მიგაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენი მოდელი გამარტივებულია – ის არ ითვალისწინებს ნებნების კუნთების მოძრაობას.

ალტერნატიული გარიანტები

რეზინის სელთათმანის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ მეორე გასაბერი ბუშტი, მაგრამ ის საკმარისად დიდი უნდა იყოს.

შეიძლება მოსწავლეებს დაგავალოთ მოიფიქონ მოძრავი გულმერდის მოდელი. მაგალითად, ბოთლის ვერტიკალურად ჩაჭრა და ორი ნახევრის ერთმანეთზე რეზინით ან რაიმე ელასტიკური მასალით დამაგრება.

„ვაგები გელექტრის კოდერს“

პირლომის ექსპერიმენტები

გასათვალისწინებელი მომენტები

ბოთლში მოთავსებული ბუშტი ვერ გაიწელება თავის საწყის ზომამდე, ამიტომ სასურველია რაც შეიძლება დიდი ზომის ბუშტის გამოყენება.

სისტემა ცუდად მუშაობს, თუ ის არ არის პერმეტიული.

თუ უგაზო სასმელის ბოთლს გამოვიყენებთ ცდა უარესად წარიმართება, რაღაც ასეთი ბოთლი საკმარისად რბილია და იოლად დეფორმირდება. ასეთ შემთხვევაში „დიაფრაგმის“ დამაგრებაც გართულებულია – საჭიროებს რეზინის ძლიერ გაჭიმვას, ამის შედეგად პლასტმასი დაიბრიცება და სისტემა დაკარგავს პერმეტიულობას.

„გაღივებული
მარცვლების
გეოტროპიზმი“

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ბოტანიკა, ზრდა, გეოტროპიზმი. ტროპიზმი,
მცენარეთა მოძრაობა, მარცვალი

საჭირო მასალა

ლობითს ან ცერცეის, ხორბლის ან სხვა სახის მარცვლები
კომპაქტ-დისკის ცარიელი კოლოფი
თხელი პენოპოლისტიროლის ნაჭერი ან პლასტილინი
ქაღალდის სელსასოცი, ბამბა ან ტუალეტის ქაღალდი
ქინძისთავები
კომპაქტ-დისკის კოლოფზე უფრო დიდი ზომის მინის ან პლას-
ტმასის ბრტყელძირა ჭურჭელი
თოკი ან რეზინის 2 რკალი
ორი ჯამი – ერთი დიდი ზომის და გაუმჭვირვალე. მეორე კი
პატარა ზომის


განსაკუთრებული პირობები

ექსპერიმენტი გრძელდება რამდენიმე დღეს (ლობითს მარცვლუ-
ბის შემთხვევაში – 1 კვირის განმავლობაში).

განხორციელება

- მომზადება:** დაასწორებით ერთ მუქად მარცვლეულს დავასხათ წყალი და მთელი დამის განმავლობაში დავტოვოთ. დიღით, გაბერილი მარცვლები გადავიტანოთ ტენიან ბამბაზე ან ხელსასოცზე და დავასუროთ ზემოდან გადმობრუნებული ჯამი ისე. რომ სინათლე მარცვლებამდე ვერ აღწევდეს, მაგრამ პარა მოძრაობდეს. ჯამი პერიოდულად ავრით და შევამოწმოთ – სომ არ გამოშრა ბამბა ან ხელსასოცი. დაველოდოთ სანამ მარცვლებიდან არ ამოვა ღივები (ლობითს შემთხვევაში საჭიროა 2 დღე).
- გაფსნათ კომპაქტ-დისკის კოლოფი და მოვაცილოთ მას ინ ნაწილი, რომელზეც თვით დისკი მავრდება. თხელი პენოპოლისტიროლი გამოვჭრათ კოლოფზე თღნავ პატარა ზომით, შემოვაწვიოთ მას ხელსასოცი და მოვათავსოთ კოლოფის ქვედა ნახევარში ისე. რომ ხელსასოცის ძგიდე რჩებოდეს კოლოფის ქვედა და ზედა მხარის გარეთ. ავიღოთ ცრდადაწყებული სამი მარცვალი და ისინი ქინძისთავებით მივამაგროთ კოლოფის დაასწორებით შუასაზის დონეზე (თამამად შეგიძლიათ მარცვლებში ქინძისთავის ჩარჭობა, ოღონდ არა იქ საიდანაც ღივი ამოვიდა). მარცვლები ისე დავამაგროთ, რომ ამოზნექილი მხარით ერთი მათვანი მიმართული იყოს ზევით, მეორე – ქვევით. სოლო მესამე – გვერდით. მარცვლები, და საერთოდ კოლოფი, დავფაროთ დანამული ხელსასოცის ორი ფენით. ყველაფერი ეს დავამაგროთ რეზინის ორი რკალით. ასეთი სასით მომზადებული ჩარჩო გერტიკალურად ჩავდგათ ბრტყელძირა ჭურჭელში. კოლოფის შეღებული სახურავი საყრდენი ფენის როლს შეასრულებს და სისტემა არ წაიქცევა (იხ. ნახატი). ჭურჭლის ძირზე დავასხათ წყალი. დავტოვოთ ორი დღით და ყურადღება მივაწიოთ, რომ ხელსასოცი არ გაშრეს. ორი დღის შემდეგ ჩავისედოთ კოლოფში და აღვრიცხოთ შედეგები. თუ ფესვებმა ქვევით

სვლა დაიწყო მოგატრიალოთ ჩარჩო (კოლოფი) და დავდოთ თავდაყირა, დავტოვოთ ისე კიდევ 2-3 დღის განმავლობაში. დაგაკვირდეთ ცდის შედეგებს.



განმარტება

მზარდი მარცვლები ავლენს ე.წ. გეოტროპიზმს – მოძრაობას, რომელსაც გრაფიტაციის ძალა იწვევს. ფესვების შემთხვევაში ეს დადებითი ტროპიზმია. რაც ნიშნავს, რომ ფესვი ყოველთვის გრავიტაციის ძალის მიმართულებით იზრდება. მაგრამ ღივის შემთხვევაში უარყოფითი გეოტროპიზმია – ის იზრდება საპირისპირო მიმართულებით. მზარდი მარცვლების ეს საკვირველი თვისება აძლევს მათ განვითარების და მცენარედ გადაქცევის საშუალებას.

ღივი, რომელიც დედამიწის მოპირდაპირე მიმართულებით იზრდება, გარკვეული დროის შემდეგ ამოდის ნიადაგიდან და არღვევს ნიადაგის ზედაპირს. ამის შემდეგ მცენარე იწყებს კვებას. უსინათლო პირობებში, როდესაც მარცვალი ნიადაგშია, ღივის განვითარების საჭირო ენერგია თვით მარცვალშია ლოკალიზებული, თუ ამ ენერგიის ამოწურვამდე ღივმა არ გაარღვია ნიადაგის ზედაპირი – მცენარე დაიღუპება.

„გალივებული ქარცვების გეოტროპიზმი“

პოლონეთი ექსპერიმენტები

ტროპიზმი არის მცენარის მოძრაობა, დაკავშირებული მისი ნაწილების არაერთგაროვან ზრდასთან. ტროპიზმის ცნობილი ფორმა – ფოტოტროპიზმი, ანუ ზრდა სინათლის მიმართულებით. ასეთი მოძრაობა შესაძლებელია, რადგან ერთ მსარეს ზრდის დამაჩქარებელი პორმონების (აუქსინების) მაღალი კონცენტრაციის გამო უჯრედების დაყოფა მიმდინარეობს უფრო სწრაფად, ხოლო მეორე მსარეს – უჯრედების დაყოფა უფრო ნელი ტემპით მიდის.

გეოტროპიზმი ხორციელდება უჯრედში არსებული ე.წ. სტატოლიტების, კრახმალის მარცვლების მეშვეობით, რომლებსაც გააჩნიათ რიგი რეაქციების გამოწვევის უნარი, რის შედეგად ხდება პორმონების არათანაბარი განაწილება.

ალტერნატიული ვარიანტები

პენოპოლისტიოლის ნაცვლად შესაძლებელია ბოსტანიდან აღებული მიწის გამოყენება.

გასათვალისწინებელი მომენტები

ზოგ მარცვლიდან ღიგი არ აღმოცენდება, ასეთი მარცვლები რამდენიმე დღის შემდეგ წყალში ყოფნის შედეგად იწყებს ლპობას.

ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ხელსახლცი არ დაიჭმუქნოს და არც გამოშრეს, რაც ხელს შეუშლის ღივის ზრდას.

ლობის მარცვლიდან წამოსული ფესვი 24 საათის განმავლობაში 1 სმ-ით იზრდება.

ყურადღება – სიტყვა „ტენიანი“ არ ნიშნავს, რომ მარცვლები წყალში უნდა იყოს ჩაყრილი, რადგან წყალი ზღუდავს უანგბადის მიწოდებას - შედეგად მარცალი და ჩანასახი იღუპება!

„ობის

გამოზრდა“

**გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
ბიოლოგია, ობი**

საჭირო მასალა

კვების სხვადასხვა პროცესები (ნორცის გამოკლებით), მაგალითად:

პურის ყუა
ლიმნის ნაჭერი
ორცხობილა
ვაშლი
კარტოფილი
სალათა

ნებისმიერი ზომის სუფიანი ქილა ყველა ცალკეული სახის კვების
პროცესებისთვის

ბამბის ან ტუალეტის ქაღალდის ნაჭერი

უსაფრთხოება

ობიანი პროცესების შექმა დაუშვებელია (მისი გაწმენდის შემდეგ გაც კი). იმ ნიადაგზე, რომელზეც იზრდება, ობი გამოპყოფს ტოქსინებს (შესაძლო კონკურენტების შესაჩერებლად). ხშირად ეს ტოქსინები დიდ ზიანს აყენებს ადამიანს. ნე შეეცდებით ქილის დაყნოსვას

— პარტან ერთად შეიძლება ობიც ჩაისუნთქოთ. თუ ობს ხელით შეეხეთ აუცილებლად საპნით უნდა დაიბანოთ. არც ქილების განსაა რეკომენდებული, რადგან ობი ითლად გაფანტვად ჩანასახების დიდ რაოდენობას აწარმოებს.

განსაკუთრებული პირობები

ექსპერიმენტი დიდხანს გრძელდება. მისი მომზადება გაკვეთილის ჩაატარებამდე ერთი კვირით ადრე მაინც არის საჭირო.

განსორციელებები

კვების პროდუქტებს ცალცალკე ვდებთ ქილებში და წყალს ვასკურებთ. შეიძლება თითოეულ ქილაში აგრეთვე ჩავდოთ ტენიანი ბამბის ან ტუალეტის ქაღალდის ნაგლეჯი. ყველა ქილის გამზადების შემდეგ დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში მათ თავანდილ მდგომარეობაში ვტოვებთ. შემდეგ ვხუფავთ და ვათავსებთ სითბოში. რამდენიმე დღის შემდეგ ვაკვირდებით — რომელ ქილებში გაიზარდა ობი და როგორ გამოიყურება.

განმარტება

ექსპერიმენტი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ობს. შევადაროთ მისი რაოდენობა იმ საკვები ნივთიერებების მიხედვით. რომელზეც ობი გაიზარდა. ზოგჯერ შეიძლება ობის მთელი კოლონიებიც ვისილოთ (ისინი შესაძლოა განსხვავდებოდეს ფერით, ზომით, ფორმით). ცვლილებებს ყოველდღე უნდა დავაკვირდეთ. ობის სოკოები მრავლდება სპორების მეშვეობით. ისინი ფრიად გამძლენი და მსუბუქები არის, ამიტომ ითლად შეუძლიათ საკვებზე ობის გავრცელება. სპორები პარტით ვრცელდება და თუ სელსაყრელ პირობებში მოხვდნენ, სწრაფად იწყებენ ზრდას და გამრავლებას კოლონიების სახით.

ობის ტიპური ფერი (ნაცრისფერი, შავი, მწვანე) დამოკიდებულია სპორების ფერზე. ყურადღება უნდა მიექცეს თუ როგორ გამოიყერება სოკოს ნაგლეჯი. გასათვალისწინებელია, რომ ტოქსინების გამოყოფით სოკო აფერსებს სხვა თრგანიზმების ზრდას იგივე ნიადაგზე. ამიტომ არის, რომ საკვების ერთ ნაჭერზე ჩვენ ჩვეულებრივ სოკოს მნილოდ ერთ სახეობას ვწვდებით.

ეს ექსპერიმენტი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სოკოს თემის განსილვის შესავალი.

ალტერნატიული ვარიანტები

ექსპერიმენტი უნდა გვაჩვენოს თუ რა გავლენას ახდენს განსხვავებული პირობები ობის განვითარებაზე. ჩვენ გვჭირდება მნილოდ ჟურის ყუა, თან სასურველია, რომ ის დაფარული იყოს მტვერით. ყუას ვჭრით ოთხ ნაწილად და თითოეულ ნაწილს ვდებთ ქილაში. ერთ ქილას ვტოვებთ თავასდილ მდგომარეობაში და ვათავსებთ სითბოში, მეორეში პურის ნაჭერს ვასტელებთ, ვწუფავთ და მასაც სითბოში ვტოვებთ. მესამე ქილაშიც პურის ნაჭერს ვნამავთ, ქილას ვწუფავთ და ვდგამთ მას მაცივარში. მეოთხე ქილაშიც ვნამავთ პურის ნაჭერს, ქილას ვწუფავთ და ვინახავთ მას ბნელ კარადაში ან კოლოფში.

ეს გვაძლევს საშუალებას დავაკვირდეთ ვარემო პირობების გაცლენას ობის განვითარებაზე.

„(ის გამოყენები

პილურის ექსპერიმენტი

გასათვალისწინებელი მომენტები

საჭიროა ექსპერიმენტული მასალის ტენიანობის უზრუნველყოფა. ობის სოკოს უყვარს თბილი და ტენიანი პირობები.

პიოლოგის
ექსპერიმენტები

„რისტვის

არის

საჭირო

ორი

თვალი“

ექსპერიმენტის არსი

მანძილის სწორად განსაზღვრის უნარს ვაფასებთ იმს მიხედვით ერთი თვალით იყურება ადამიანი, თუ ორით.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
შეგრძნება, თვალი, მხედველობა, მანძილი,
სივრცითი მხედველობა

საჭირო მასალა

ქაღალდის უჯრედებიანი ფურცელი

წებო

ფერადთავიანი ქინძისთავები, ან ჩვეულებრივი ქინძისთავები და ფერადი პლასტილინი

სახაზავი

ფანქარი

მაკრატელი

განსაკუთრებული პირობები

საჭიროა ერთი წამყვანი და ერთი ცდის პირი.

განხორციელება


თანდართული სქემის მიხედვით ქაღალდისგან გააკეთეთ კოლოფი, და მის ზედა გვერდზე დახატეთ ურთიერთგადამკვეთრი საზების ბადე. დაამავრეთ ქინძისთავები საზების გადაკვეთის წერტილებში ისე, რომ წინიდან შეხედვისას ისინი არ იყოს განთავსებული

„რისოფას არის საჭირო რაზე იყალი“


„რისოფას არის საჭირო რაზე იყალი“

ერთ საზოგადო შეცადეთ ქინძისთავები განათავსოთ შემთხვევითობის პრინციპით – ყოველგვარი ლოგიკური სქემის გარეშე. ცდის პირს კოლოფი არ აჩვენოთ, სთხოვეთ მას, რომ დახუჭოს ერთი თვალი და მსოლოდ ამის შემდეგ კოლოფი აჩვენეთ ისე, რომ მან გერ დაინახოს გადაჭვეთილი საზები. კოლოფი ცდის პირისგან დაახლოებით 30 სმ დაშორებით დადეთ და სთხოვეთ, რომ ჩამოთვალის სხვადასხვა ფერის ქინძისთავები რიგრიგობით – ყველაზე ახლო მდებარედან ყველაზე დაშორებულად ცდეთ შედეგები. ესლა სთხოვეთ ცდის პირს გაახილოს მეორე თვალიც და კვლავ შეასრულოს იგივე ტესტი. ისევ ჩაიწერეთ შედეგები და ორივე შემთხვევაში გვერდით მიუწერეთ სწორი პასუხები. ამის შემდეგ ორჯერ შეცვალეთ ქინძისთავების განლაგება და ორივე შემთხვევაში გაიმეორეთ ექსპერიმენტი. შემდეგ შეცვალეთ როლები. შეადარეთ, ქინძისთავების განთავსების რომელი წესის შემთხვევაში იყო რეალურთან ყველაზე მიახლოებული შედეგი.

შედეგი – ცალი თვალით შეუძლებელია მანძილის ზუსტი განსაზღვრა.



ასე უნდა ხდეავდეს
კოლოფს ცდის პირი



განმარტება

როდესაც ცდის პირის ერთი თვალი დასუჭულია, მისთვის ერთადერთი ორიენტირი არის ქინძისთავების შედარებითი ზომა. ჩვენს ცდაში საქმე გვაქვს ისეთი ზომის და ფორმის საგნებთან და მათ შორის ისე მცირე მანძილებთან, რომ ეს კრიტერიუმი არ შეიძლება საიმედო იყოს და დამკვირვებელი წშირად ცდება. როდესაც საგანს ორივე თვალით ვაკვირდებით, ყველაზე მნიშვნელოვანი სიგნალი, რომელიც თვალებიდან თავის ტვინში მიდის არის თვალების წედვის ღერძთაშორისი კუთხე, რაც უაღრესად კონკრეტული მაჩვენებელია. სიგნალი მიდის რეცეპტორებიდან, რომლებიც აღიქვამენ თვალის კაკლის მამოძრავებელი კუნთების დაბაბულობის ცვლილებას. საგნების შედარებითი ზომა ამ შემთხვევაში მხოლოდ დამატებითი ინფორმაციაა, რომლის შედეგად თავის ტვინში იქმნება რეალობის მოცულობითი წარმოსახვა.

მანძილის განსაზღვრის ამ მეთოდის მოქმედების რადიუსი დაასლოებით 10 მეტრს უდრის. უფრო მეტად დაშორებულ საგნებს თავის ტვინი განსაზღვრავს პერსპექტივის კანონების საფუძველზე (დაშორებული საგნები უფრო მცირე ზომისაა).

ალტერნატიული გარიანტები

ქაღალდის კოლოფის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ პენოპტლისტიოლი. გადაკვეთილი ხაზების დაწებებული ან დახატული ბადით.

თუ ფერადთავიანი ქინძისთავები არ გაგვაჩნია, მაშინ შესაძლებელია ჩვეულებრივი ქინძისთავების გამოყენება და მათზე სხვადასხვა ფერის პლასტილინის ბურთულების წამოცმა.

საინტერესოა აგრეთვე თუ რა გავლენას მოახდენს ცდის შედეგებზე ცდის პირსა და კოლოფს შორის მანძილის ცვლილება.

გასათვალისწინებელი მომენტები

აუცილებელია კარგი განათების უზრუნველყოფა. სინათლე გაფანტული უნდა იყოს (სახურველია ცდის ჩატარება დღისით, კოლოფი არ უნდა დავდოთ სინათლის წყაროს ქვეშ ან მის გვერდით). არათანაბარი განათების შემთხვევაში თვალი დამატებით ინფორმაციას იღებს ჩრდილების სახით და ექსპერიმენტის სისუფთავე ირჩევა.

ქინძისთავის თავუკების ზომა არ უნდა აღემატებოდეს 3 მმ-ს.

პირველი ექსპერიმენტები

„რისიმას არის საჭირო რაზი იყალები“

პიოლოგის
ექსპერიმენტები

„როგორ

ვიკოვოთ

ბრეა

ლაქა“


ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი გვიჩვენებს იმ ადგილს თვალის ბადურაზე სადაც არ არის რეცეპტორები და ის „ბრმაა“. ეს ის ადგილია თვალში საიდანაც გამოდის მსედველობის ნერვი.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
შეგრძნება, თვალი, მსედველობა, ბრმა ლაქა, მსედველობის ნერვი, ბადურა, სინათლემგრძნობიარე რეცეპტორები.

საჭირო მასალა

უჯრედებიანი ქაღალდის ფურცელი,
ფანჯარი,
სახაზავი.



განხორციელება

უჯრედებიან ქაღალდზე ერთმანეთისგან 10 სმ დაცილებით (პორიზონტალურად) დასვით ორი წერტილი. აიფარეთ სელი მარცხენა თვალზე, მარჯვენათი კი დააკვირდით მარცხენა წერტილს. ნელნელა გაწიეთ უკან ქაღალდი. გარკველ მანძილზე დაცილებისას თქვენ შეამჩნევთ, რომ მარჯვენა წერტილს ვეღარ სედავთ.

გამოიყენეთ იგივე მარჯვენა თვალისთვის. ქაღალდის რა მანძილზე დაცილებისას აღარ სედავთ მეორე წერტილს? ეს იგივე მანძილია, რაც იყო მარცხენა თვალის შემთხვევაში? შეამოწმეთ როგორ წარიმართება ეს ცდა სათვალებიანი ცდის პირის შემთხვევაში (ცდა სათვალების გარეშე ჩაატარეთ)

განმარტება

თვალის ის ნაწილი რომელიც იღებს გამოსახულებას (ბადურა) დაფარულია სინათლემგრძნობიარე რეცეპტორებით – ჩსირებით და კოლბებით. თითოეულ მათგანზე განთავსებულია ნერვული დაბოლოება, რომლის აქტივაციას იწვევს რეცეპტორის აგზნება. ყველა ჩსირიდან და კოლბიდან ნერვული „მავთულები“ თაგს იყრის ბადურის ერთ უბანში სადაც იქმნება ერთი მსხვილი ნერვული „მავთული“ – მსედველობის ნერვი. ბადურიდან ამ ნერვის გამოსვლის ადგილი თავისუფალია სინათლემგრძნობიარე რეცეპტორებისგან – ამიტომ არის „ბრძანი“. მაგრამ ადამიანი ვერ აღიძგამს ბრძანებას არსებობას მანამ, სანამ არ გამოიყენებს აღწერილ მეთოდს, ეს იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ადამიანის თვალი მუდამ მოძრაობაშია (გარემოცვის გამუდმებული სკანირება ხდება), უმთავრესი კი ის არის, რომ თავის ტვინში წარმოქმნილი გამოსახულების დეფექტების კორექცია ხდება მეორე თვალიდან შემოსული სიგნალების მეშვეობით.

მსედველობის ნერვის გამოსვლის უბანი თდესდაც თვალის ყველაზე მგრძნობიარე წერტილად მიიჩნეოდა. პირველი მითითებები ბრძანების თაობაზე უკვე 1660 წელს გააკეთა ფრანგმა ფიზიკოსმა (და მღვდელმა) ედმე მარიოტმა.

ალტერნატიული გარიანტები

შეიძლება ჩავატაროთ ტესტი იმაზე თუ რა მაქსიმალური ზომის შეიძლება იყოს „გაქრობადი“ წერტილი.

გასათვალისწინებელი მომენტები

ცდის პირმა შესაძლოა უნებლიერ უყუროს იმ წერტილს, რომელიც უნდა გაქრეს. უნდა ვთხოვთ მას, რომ ყურადღება გაამახვილოს იმ წერტილზე, რომელიც არ უნდა გაქრეს.

„საჭუარის
სიცოცხლის-
უნარიანობა“

ექსპერიმენტის არსი
ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ საფუარი ცოცხალი თრგანიზმია.
მტკიცებულება – სუნთქვის დროს წარმოქმნილი აირი.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐

ბიოლოგია, საფუარის სიცოცხლისუნარიანობა, სუნთქვა,
ფერმენტაცია (გაფუება), სოკოები, ცოცხალი თრგანიზმების
სასიცოცხლო ფუნქციები

საჭირო მასალა

საფუარი

წყალი

შაქარი

მარილი

ფეილი

გასაბერი ბუშტები

მცირე ზომის ბოთლები (მინის ან პლასტმასის)

კათხა

სანთელი

განსაკუთრებული პირობები

გამათბობელი ან ჯამი თბილი წყლით დააჩქარებს რეაქციას.
წყლის ტემპერატურა $30-40^{\circ}\text{C}$ ფარგლებში უნდა იყოს. უფრო მაღალი ტემპერატურა მოკლავს უჯრედებს.

განსორციელება

გავხსნათ საფუარი წყლის მცირე მოცულობაში. ბოთლებში, რომლებზეც წინასწარ გაკეთებულია წარწერები: შაქ., მარ., ფქვ. შესაბამისად ვყრით შაქარს, მარილს და ფქვილს, მეოთხე ბოთლს (საკონტროლოს) ვტოვებთ ცარიელს. ბოთლებში წყალში გასხნილ საფუარს ვასხამთ. შემდეგ ვამატებთ წყალს და ბოთლების თავებზე ვაცვამთ გასაბერ ბუშტებს. ვაკვირდებით მიმდინარე ცვლილებებს.

ბოთლში, რომელშიც შაქარი იყო ჩაყრილი, ცოტა სანში აირი გროვდება და ბუშტი იბერება. შემდეგ, ბოთლიდან ვაძრობთ ბუშტს ისე, რომ არ ჩაიჩუტოს. შემდევ ბუშტს „ვცლით“ კათხაში, კათხა მიგვაქვს ანთებულ სანთელთან და გადმოვაპირქვავებთ მას სანთლის აღზე. სანთელი ქრება.

განმარტება

ცდის მხვდლელობაში საფუარი წარმოქმნის აირს, რაც ამტიკცებს, რომ ის ცოცხალი არსება. წარმოქმნილი აირის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე თუ სასიცოცხლო ენერგიისთვის საჭირო საკვების რა კომპონენტებს იღებს საფუარი. რაც უფრო მეტი აირი წარმოიქმნა მით უფრო კარგ საკვებს წარმოადგენს საფუარისთვის მოცემული ნივთიერება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ, რომ რეაქციის სუსტრატი, რომელიც აირის სასით იძლევა ეფექტს, არის შაქარი და არა მარილი ან ფქვილი. საფუარი ასდენს შაქრის მეტაბოლიზებას. წარმოქმნილი აირი არის ნახშირორჟანგი. ამას ამტკიცებს ის, რომ

„საფუარის სიცოცხლის უნარიანობა“

პილუაში ექავესმენტები

იგი პაერზე მძიმეა (შეიძლება მისი კათხაში „ჩასხმა“) და ხელს არ უწყობს წვას (სანთელი ქრება).

ექსპერიმენტი შეიძლება საწყის წერტილად იქცეს საფუარის როლის განსილვისთვის საკვებ მრეწველობაში (პურსაცსობები, რძის ქარსნები, ყველის, კეფირის, ლუდის, ღვინის და ალკოჰოლური სასმელების წარმოება) და შესაბამისად, ადამიანის ყოველდღიურ არსებობაში.

შეიძლება აგრეთვე ვაჩვენოთ, რომ საფუარი მოიხმარს უანგბადს და განვასხვავოთ აერობული და ანაერობული სუნთქვა. ამ მიკროორგანიზმების განმასხვავებული თვისება არის აგრეთვე ის, რომ მათ შეუძლიათ სუნთქვა, როგორც აერობულ (უანგბადით), ისე ანაერობულ (უუანგბადო) პირობებში.

ალტერნატიული ვარიანტები

საფუარის აქტივობის დამოკიდებულება შაქრის კონცენტრაციაზე: ექსპერიმენტი იგივე სქემით ტარდება, ოღონდ სხვაობა იმაშია, რომ ბოთლებში შაქრის სხვადასხვა რაოდენობა უნდა ჩაიყაროს, დაემატოს საფუარის და წყლის იდენტური რაოდენობა. 10-20 წუთის შემდეგ ვადარებთ ერთმანეთს გაბერილი ბუშტების ზომებს.

ექსპერიმენტის ასეთი ფორმით ჩატარება საშუალებას იძლევა გავარკვიოთ თუ რა გავლენას ახდენს საფუარის სუნთქვაზე შაქრის კონცენტრაცია. უკიდურეს პირობებში (ძალიან ცოტა ან ძალიან ბევრი შაქარი) უაღრესად ცოტა არი წარმოიქმნება.

ნახშირორჟანგის არსებობა წყალში გასხნილი კირით მოწმდება (იმღვრევა ნახშირორჟანგის შერევისას) და წითელი კომბოსტოს ექსტრაქტით (სუსტი ნახშირმჟავა ცვლის მისი ნახარშის ფერს).

სხვა სახის ექსპერიმენტში შეიძლება აერობული და ანაერობული სუნთქვის ეფექტურობის შედარება. ერთ ჭურჭელში, რომელშიც მოთავსებულია საფუარის და შაქრის ნარევი, ვათავსებთ კოქტეილის საწრუპავ მიღავს, რომელშიც ჩადებულია პერკიდროლით

გაფლენთილი ბამბა. ამ ბოთლის თავზე დამაგრებული გასაბერი ბუშტი უფრო დიდად იბერება, ვიდრე იმ ბოთლზე, რომელშიც მხოლოდ საფუარი და შაქარია. აერობული სუნთქვა ბეგრად უფრო ეფექტური პროცესია, ვიდრე ანაერობული.

გასათვალისწინებელი მომენტები

საფუარი ასალი უნდა იყოს, სოლო წყალი, რომელშიც მას ვაზებთ – არც ძალიან ციფი და არც ძალიან თბილი, უკეთესია მინერალური წყლის გამოყენება.

სანამ ბოთლის თავებზე ბუშტებს დავამაგრებთ კარგია თუ მათ წინასწარ გავხერავთ და მერე ჩაგრუტავთ. უკვე გაწელილი ბუშტები ბოთლში გაზრდილი წნევის შედეგად უფრო იოლად იბერება.

უშაქრო ბოთლების თავზე დამაგრებული ბუშტები აირის მცირე რეოდენობით იქსება.

საფუარიან პრეპარატებში შაქრის მცირე რაოდენობა რჩება და როგორც კი პრეპარატი სელსაფრელ პირობებში მოხვდება (წყალი, სითბო) საფუარი სუნთქვას იწყებს, რაც ტიპიურია ამ სახის მიკროორგანიზმებისთვის – მეტაბოლური თვლემის პირობებიდან სახიცოცხლო ფუნქციების მკვეთრი გააქტიურების მზადყოფნა, მაგრამ საჭირო საკვები ნივთიერების არარსებობისას პროცესები ჩერდება.

„საფუარის სიცოცხლის უნარიანობა“

პოლონეთის ეკავშირნიანები

პიოლოგის
ექსპერიმენტები

„რბილი

კვერცხი“

ექსპერიმენტის არსი
ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ მმარი შლის კვერცხის ნაჭუჭჭს.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ბიოლოგია, კვერცხის აგებულება, ფრინველების გამრავლება.

საჭირო მასალა

ფრინველის, მაგალითად, ქათმის კვერცხი
მმარი
ქილა
ჯიბის ფანარი

უსაფრთხოება

ექსპერიმენტი უსაფრთხოა.

განსაკუთრებული პირობები

კვერცხის დარბილებისთვის საჭიროა რამდენიმე დღე.


განხორციელება

ქათმის უმ კვერცხს ვდებთ ქილაში და ვფარავთ მმრით. ვხედავთ, რომ კვერცხის ნაჭუჭჭიდან გამოიყოფა აირის ბუშტუკები. გარკვეული დროის შემდეგ კვერცხის ნაჭუჭჭი რბილდება, შემდეგ კი საერთოდ ქრება, იმ ზომამდე, რომ შესაძლებელია სანთელით ან ფანრით გა-

ნათებით დავინახოთ კვერცხის შიგთავსი. თუ კვერცხს ქილაში ფაქტურად შევატრიალებთ დავინახავთ თუ რა ხდება მის შიგნით.

განმარტება

შემარით არის მმარმჟავა (CH_3COOH), რომელიც ხსნის ნაჭუჭქის კომპონენტს – ნახშირმჟავა კალციუმის კარბონატს – CaCO_3). სწორედ ნახშირმჟავა კალციუმი აძლევს ნაჭუჭქს სიმაგრეს. ნახშირმჟავა კალციუმის გამორეცხვის შედეგად ნაჭუჭქი ჯერ რბილდება, ხოლო შემდეგ საერთოდ უხილავი ხდება. ქილაში შემდეგი რეაქცია მიმდინარეობს:



წყალბადის ორჟანგი არის ის არი, რომლის ბუშტუკებს ჩვენ გხედავთ კვერცხის ზედაპირზე.

ექსპერიმენტი არის კარგი საწყისი წერტილი კვერცხის ცალქეული კომპონენტების როლის განსახილეველად ფრინველის კვერცხის აგებულების თავისებურების და ჩანასახის სიცოცხლისუნარუანობის შენარჩუნების თვალთანედვით. ექსპერიმენტი ეხება აგრეთვე ფრინველების და ქვერცხმავლების გამრავლების საკითხს და სხვაობას სხვადასხვა ცხოველების კვერცხებს შორის.

„რძილი კვერცხი“

პირველი ექსპერიმენტი

გასაბთვალისწინებელი მომენტები

კვერცხის მდგომარეობაზე ყოველდღიური დაკვირვებაა საჭირო.

ზოგი კვერცხი უკვე 24 საათის შემდეგ რბილდება.

კვერცხის სანგრძლივი ინკუბაცია მმარში სპობს კვერცხის აგებულებას და გადააქცევს მას ამორფულ მასად.

პიოლოგის
ექსპერიმენტები

„თვალის
ბრუნვი,
როგორც
ლუკა“

ექსპერიმენტის არსი
თვალის მოქმედების პრინციპების პრეზენტაცია ლუპის მეშვეობით. თვალი, როგორც ოპტიკური სისტემა.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
ადამიანის ფიზიოლოგია, ბროლი, თვალი,
გამოსახულება, ბადურა.

საჭირო მასალა
ლუპა ან ამოზნექილი ლინზა.
თეთრი ქაღალდის ფურცელი.
ნათელი ფანჯარა ან ლამპა და დაკვირვების ობიექტი.

განსაკუთრებული პირობები
კარგად განათებული ობიექტი ან ნათელი ფანჯარა.

განხორციელება

გაბნელებთ თთას ერთი ფანჯრის გამორიცხვით, რომელიც ჯობს ღიად დაგტოვოთ. ფანჯრიდან გარკვეულ მანძილზე ვათავსებთ ლუპას (ის შეიძლება მოსწავლეს ეკავოს ხელში). ლუპის უკან დავდოთ თეთრი ქაღალდი. მოსწავლე, რომელსაც ლუპა უკავია, ცდილობს, რომ გამოსახულება ქაღალდზე ნათელი იყოს, ამ მიზნით ის ცვლის მანძილს ლუპასა და ქაღალდს შორის იმ მომენტამდე. სანამ ქაღალდზე არ მივიღებთ ფანჯრის ან მის გარეთ არსებულ

გარემოს გამოსახულებას. **ყურადღება** – გამოსახულება გადაბრუნებული იქნება.

განმარტება

ექსპერიმენტში აღწერილია თვალზე გამოსახულების წარმოქმნის მეთოდი. თვალში არის ლინზა (ბროლი), რომელიც ფუნქციონირებს როგორც ლუპა. სინათლის სსივები მინაში გასვლისას გარდიტეხება და ერთმანეთსაც კვეთენ იმ ადგილში, რომელსაც ჩვენ ლინზის ფოკუსს ვეძახით. შემდეგ სსივები მიემართება ბადურასკენ (ჩვენ შემთხვევაში - ქაღალდი) და იქმნება გადაბრუნებული ე.წ. რეალური გამოსახულება. გამოსახულება იყითხება სინათლემგრძნობიარე რეცეპტორებით, რომელთა სიგნალები მნიშვნელობის ნერვის მეშვეობით გადაიცემა თავის ტვინში. საყურადღებოა, რომ ადამიანი გამოსახულებას სედავს ნორმალურ მდგომარეობაში (არა გადაბრუნებულს), კორექციის პროცესი თავის ტვინში მიმდინარეობს. რომელიც ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და აბრუნებს გამოსახულებას ნორმალურ მდგომარეობაში. გამოსახულების აღქმა რეალურად თავის ტვინში ხდება, სოლო თვალი – მნიშვნელოვნების ინსტრუმენტია.

ექსპერიმენტი კარგი შესაგალია ადამიანის თვალის აგებულების და მისი ფუნქციონირების გასაგებად.

ალტერნატიული გარიანტები

თუ ნათელი ფანჯარა არ გაგაჩნიათ, გამოიყენეთ ელექტრო ლამპით ან ანთებული სანთლით განათებული საგანი. გამოსახულების გაშვება კედელზეც არის შესაძლებელი, სანტერესოა ის შემთხვევაც. როდესაც განათებული საგანი ან მისი ელემენტი მოძრაობს.

გასათვალისწინებული მომენტები

ექსპერიმენტი ყოველთვის გამოდის.

„იმავლის პროცესი, რომილი დაუკავშირდება

პირული ექსპერიმენტები

პიოლოგის
ექსპერიმენტები

„თვალის
გუგის
რეაქცია
სინათლეზე“

ექსპერიმენტის არსი
დაკვირვება თვალის გუგის რეაქციაზე სინათლის ინტენსივობის
ცვლილებისას

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
ადამიანის ფიზიოლოგია, თვალი, გუგა, მსედველობა,
სინათლის შეგრძნება, ფერადი გარსი.

საჭირო მასალაპატარია სარკე
ნათურა ან ნათელი ფანჯარა.

უსაფრთხოება
ექსპერიმენტი უსაფრთხოა, დაუშვებელია ზედმეტად ძლიერი ნა-
თურის გამოყენება.

განსაკუთრებული პირობები
საჭიროა სინათლე.

განხორციელება

ცდისპენსი მოთავსებულია ბუნებრივად ნათელ, ან ნათურით გა-
ნათებულ ოთახში. ერთი თვალი გახელილი აქვს, ხოლო მეორე –
დახუჭული, ან მასზე სეღი აქვს აფარებული. თავისუფალ სეღში
ცდისპენს პატარა სარკე უკავია და, დაახლოებით, 30 წამის გან-

მავლობაში უყურებს განელილი თვალის გუგას. შემდეგ ასელს მე-ორე თვალს და ასლა მისი გუგის ცვლილებას აკვირდება.

განმარტება

თუ განათების პირობები არ იცვლება, თვალში მოხვედრილი სინათლის რაოდენობა გუგის ფართობის პროპორციულია. განთების მომატებაზე ან დაკლებაზე გუგი შესაბამისად შევიწროებით ან გაფართოებით რეაგირებს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი რეფლექტორული მექანიზმი თვალის ბადურაზე (სინათლისადმი მგრძნობიარე თვალის ნაწილი) გუგიდან მოსვედრილი სინათლის რაოდენობის რეგულირებას ასორციელებს. ფაქტურად გუგი არის სვრელი, რომელიც გარემოცულია ფერადი გარსით, რომლის კუნთების შევუმშვით ან მოდუნებით ხდება გუგის შევიწროება ან გაფართოება. ადაპტაციის ამ რეფლექტორული მექანიზმის არსი გამარტივებულად შემდეგში მდგომარეობს: (1) გუგის დიამეტრის მექანიკური ცვლილება და (2) სინათლის ნაკადის რეგულირებით მსედველობის რეცეპტორებში (ჩსირები და კოლბები) არსებული ქიმიური შენაერთების, პიგმენტების ცვლილება (სინათლის მოქმედების შედეგად პიგმენტები იცვლება, სოლო სიბნელეში აღდღება მათი საწყისი მდგომარეობა). თვალის ადაპტაციის აღწერილ მექანიზმს დამცავი ფუნქციაც გააჩნია – სინათლის ძლიერი ნაკადის ზემოქმედებისგან იცავს თვალს, სოლო სინათლის უაღრესი სიჭარბის დროს დამატებით ირთვება თვალის დასუჭვის რეაქციაც.

თვალის ბადურაში ორი ტიპის რეცეპტორია განთავსებული – ჩსირები და კოლბები. ჩსირების რაოდენობა ბევრად სჭარბობს კოლბებისას და მათი სინათლისადმი მგრძნობელობა უფრო მაღალია, მანგრამ ჩსირები ასორციელებს მსოლოდ შავ-თეთრ ხედვას. ამიტომ არის, რომ შებინდებისას ყველა ფერი „ქრება“ – სინათლის ინტენსივობა ძალიან დაბალია და ადამიანის თვალი მოქმედებს

„იმავეს გეგის რეაქცია სინაილეები“

პილურის ექსპერიმენტები

მსოლოდ იმ სიგნალების მიხედვით, რომლებიც გადაიცემა სუპერ-მგრძნობიარე ჩსირების მიერ.

ვინაიდან თვალის ფერადი გარსის კუნთების შეკუმშვა ან მოდუნება საკმარისად ნელა ხდება, თვალის გუგის დიამეტრის ცვლილების დაკვირვება შესაძლებელია სარკეში. ეს პროცესი არ ხორციელდება ფოტოპარატის ნათურის გაელვების სისწრაფით და სწორედ ამიტომ არის. რომ ფოტოსურათებზე ხშირად ვიღებთ „წითელი თვალების ეფექტს“, რაც განპირობებულია თვალის ძირზე არსებული სისხლძარღვებიდან შექის არყველით.

თვალის გუგის შევიწროება არის ერთ-ერთი ძირითადი უპირობო რეფლექსი, ამიტომ, უგონოდ მყოფ ადამიანს სწორედ ამ რეფლექსს უმოწმებენ (ბევრ კინოფილმში გვინახავს, რომ გონებაწასულ ადამიანს თვალებში ჯიბის ფანარს ანათებენ).

ეს ექსპერიმენტი კარგი შესაფალია ადამიანის თვალის აგებულების და ფუნქციონირების ასახსნელად

ალტერნატიული ვარიანტები

შესაძლებელია აგრეთვე უკუპროცესის დაკვირვებაც – ნათურის გამორთვის შედეგად თვალის გუგის გაფართოების დაკვირვება.

ექსპერიმენტის არსი
წყლის წვეთი მინაზე წარმოადგენს ამოზნექილ ლინზას – ის
გამადიდებელია.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
ლინზა, ლუპა, თვალი. ოპტიკა

„წყლის

წვეთი

ერქოვებებს

როგორც

ლინზა“

საჭირო მასალა
მინის ან გამჭვირვალე პლასტმასის ნაჭერი
წყალი
წვრილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტი

განსორციელება

წყლის წვეთი მინის ან პლასტმასის გამჭვირვალე ფირფიტაზე
მოათავსეთ. შეეცადეთ, რომ წვეთს პქონდეს ჩვეულებრივი. მორ-
გვალებული ფორმა. დადგით ასეთი წესით დამზადებული „ლუპა“
წვრილშრიფტიან ტექსტზე და დააკვირდით მას წყლის წვეთიდან.


შედეგი – გადიდება, რომელიც მით უფრო მეტია, რაც უფრო
დაგაცილებთ „ლუპას“ ობიექტს, სოლო თვალს კი – ლუპას.

განმარტება

მინაზე მოთავსებულ წყლის წვეთს ლუპის მსგავსი თვისებები გა-
აჩნია. წყლის წვეთში გასული მზის სხივი გარდატეხას განიცდის.
აյ შესაძლოა ადამიანის თვალთან გავატაროთ ანალოგია. თვალს
დაახლოებით სფეროს ფორმა აქვს, მასში მოთავსებულია ე.წ. მინი-

„ფყლი ტვეთი მოქადაგებას როგორც ლინგა“

სებრი სხეული, რომელიც უპირველესად წყლისგან (99%) შედგება. ეს წყლით შევსებული სფერო, რომელიც აგრეთვე შეიცავს ბროლს, განთავსებულს უშეალოდ ფერადი გარსის და რქოვანას (თვალის წინა კედლის ამოზნექილი ნაწილი) ქვეშ, ქმნის ოპტიკურ სისტემას, რომელიც მზის სხივებს ლინზისმაგრად გარდატექს. გარდატენის ძირითადი პროცენტი (70) მოდის რქოვანას ხარჯზე, მის შემდეგ ბროლია, ხოლო მინისებრი სხეული ყველაზე მცირედ ახდენს რეფრაქციას (ანუ გარდატებას). ეს უკანასკნელი სხივის გარდატენის გარდა, თვალს ფორმას უნარჩენებს, ხელს უწყობს ბადურის განლაგებას ფუძეზე და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბადურის შეტაბოლიზმის და თვალსშიდა წნევის რეგულაციაში.



მსედველობის ორგანოს აგებულება: A – რქოვანა, B – ფერადი გარსი, C – თვალის შუა კამერა, D – გუგა, E – ბროლი, F – ყვითელი ლიქა, G – თვალის კაკლის კუნთური აპარატი, H – მსედველობის ნერვი, I – ბრძან ლიქა, J – მინისებრი სხეული, K – სისხლძარღვოვანი გარსი, L – ბადური

გასათვალისწინებელი მომენტები

წვეთი შეიძლება გაიშალოს. ამიტომ შეიძლება წყალში ცოტა გლიცეროლის დამატება ან ფირფიტის ზედაპირზე რაიმე ცნიმის წახმა.

ექსპერიმენტის არსი

ბოთლის, რეზინის საცობის, სოდის და ძმრის მეშვეობით მარტივ რაკეტას ვაკეთებთ.

„ძმრიანი

რაპეტა“

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
რაკეტა, ნახშირორუანგი, წნევა.

საჭირო მასალა

ძმარი,

გასუფთავებული (საჭმელი) სოდა – NaHCO_3 .

ბოთლი საცობით,

ჯამი.

უსაფრთხოება

აუდიტორია საჭმაოდ შორს უნდა იდგეს, რათა რაკეტა ვინმეს არ მოხვდეს.

განსაკუთრებული პირობები

სათავსო, სადაც ცდა ჩატარდება საჭმაოდ მაღალი უნდა იყოს. დაბინძურების თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია ექსპერიმენტი ჩატარდეს დად ჯამში ან აბაზანაში.

განსორციელება

ბოთლში ვყრით საჭმელი სოდის მცირე დოზას და ვასხამთ ძმარს (რამდენიმე მილილიტრს). ბოთლს მჭიდროდ ვასურავთ სა-

ცობს და ვდგამთ ძირით მაღლა. საცობი სწრაფად გამოვარდება, ბოთლი კი მაღლა აფრინდება.


ყურადღება: „რაკეტა“ შეიძლება აფრინდეს საჭმაოდ მაღლა (3-4 გ). სოდის და ძმრის შეფეხბმა შეიძლება ყველაფერი (ჭერის ჩათვლით) მოთხვაროს ირგვლივ.

განმარტება

ძმარი – CH_3COOH ძმარმჟავას წყალსწნარია.


სოდა – მარილია, ნატრიუმის ბიკარბონატი (NaHCO_3)

როცა ძმარი სოდის ზედაპირს შეეხება, მიმდინარეობს რეაქცია: ძმარმჟავა + სოდა (ბიკარბონატი) = ნატრიუმის აცეტატი + ნახშირმჟავა, ანუ:



ძლიერი ძმარმჟავა მარილიდან აძეგებს უფრო სუსტ ნახშირმჟავას.

სწარში ნახშირმჟავა უსწრაფესად იშლება:



სოდასთან ძმრის რეაქციით წარმოიქმნება ნახშირბადის (IV) ოქსიდი, რომელიც გროვდება დახურულ ბოთლში. წნევა ბოთლის შიგნით იზრდება და გარკვეული ზღვრის შემდეგ გაისვრის საცობს, სოლო ბოთლი რეაქტიული ძალით მაღლა გაფრინდება.

გასათვალისწინებელი მომენტები

რეაქცია სდება ელვისებურად. საჭიროა ბოთლზე საცობის სწრაფი მორგება. რეაქციის შესაყოვნებლად საჭიროა ბოთლში ჯერ ძმარი ჩავასხათ, სოლო შემდეგ ქაღალდის სელსანცში შესვეული სოდის მცირე რაოდენობა დავამატოთ.

ექსპერიმენტის არსი

აღუმინის ფოლგა ძლიერი ტუტის სსნარში იხსნება წყალბადის გამოყოფით, რომელიც უფერო და უსუნო აირია და აფეთქებებით იწვის.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
აღუმინი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი, წყალბადი

„აღუმინის

ზოღვის

რჩაპციის

აირ ული

პროდუქტის

პელევა“

საჭირო მასალა

ძმრის ბოთლი (იგულისხმება სქელი ბოთლი)

საცობი ნახვრეტით და მასში ჩაშვებული რეზინის მილით
ჭურჭელი (ორი ჯამი)

ნატრიუმის ჰიდროქსიდის კონცენტრირებული სსნარი (მილგაყვა-
ნილობათა გასასუფთავებელი საშუალება)

აღუმინის ფოლგის პატარა ნაგლეჯები

სქელი სელთათმანი (თერმოზოლაციისთვის)

ჭურჭლის სარეცხი საშუალება

ასანთი

სასურველია, მაგრამ აუცილებელი არ არის აგრეთვე: „ბენგა-
ლური ცეცხლი“. ორი გრძელი ჯოსი, საპაერო ბუშტები, საშლელი.

უსაფრთხოება

ნატრიუმის ჰიდროქსიდი მწვავე ნივთიერებაა. უნდა ვისმაროთ
სელთათმანები და სათვალე. რეაქციის დროს გამოყოფილი წყალ-
ბადი ადვილად ააღებადია. მინის ბოთლი ექსპერიმენტის დროს

ძლიერ სურდება – ამიტომ თერმოსაიზოლაციო სელთათმანებით უნდა გვეჭიროს.

განსაკუთრებული პირობები

არ ჩავატაროთ ექსპერიმენტი ადვილადაალებადი მასალების სიახლოეს.

განსორციელება




ძმრის ბოთლში ვასსამთ NaOH -ის კონცენტრირებულ სინარს (დაასლოებით სიმაღლის 1/5-მდე). ბოთლს ვდგამთ ჭურჭელში ცივი წყლით. სინარში ალუმინის ფოლგის დახვეულ ნაჭრებს ვყრით. ბოთლს ვახურავთ საცობს ნახვრებით. რომელშიც წინასწარ რეზინის შლანგია მოთავსებული. ვიცვამთ სელთათმანებს (ბოთლის ყელი თანდათან ცხელდება!), როცა შეგატყობთ, რომ აირი ინტენსიურად გამოიყოფა. შლანგის ბოლოს ვათავსებთ ჭურჭელში, რომელშიც ჩასხმულია წყალში გახსნილი ჭურჭლის სარეცხი საშუალება. რამდენიმე წარმოქმნილ ბუშტეულს დავიდებთ სელთათმანიან სელისგულზე. გადავიტანთ ბოთლს მორეაგირე ნივთიერებებით უსაფრთხო მანძილზე. ცდის მეორე მონაწილე ანთებულ სანთელს მოუახლოებს ბუშტეულებს.

განმარტება

საცდელი ჭურჭლის გახურება წყალში ნაოპ-ის გახსნისას, პროცესის ეგზოთერმულობაზე მიუთითებს. კონცენტრირებულ ჰიდროქსიდების სინარებთან პირველ რიგში არამეტალები და მათი ნაერთები რეაგირებენ. როცა ლითონი რეაგირებს ტუტესთან, ის ამფოტერულ სასიათს ავლენს (ანუ მჟავა არეში ეს ლითონი რეაგირებს როგორც ლითონი, სოლო ტუტე გარემოში როგორც არალითონი).

ზემოთ აღწერილ ცდაში რეაქცია მიმდინარეობს ასეთი განტოლებით:

$2\text{Al} + 2\text{NaOH} + 6\text{H}_2\text{O} \rightarrow 2\text{Na}[\text{Al}(\text{OH})_4] + 3\text{H}_2 \uparrow$ (როცა NaOH არასაგამარისია)



$2\text{Na}[\text{Al}(\text{OH})_4]$ – ნატრიუმის ალუმინატია

აირი, რომელიც რეაქციის დროს გამოიყოფა – წყალბადია. ის ადვილადაალებადია. რადგან ის ჰაერზე მსუბუქია, შეუძლებელია მისი ბოთლში „გაჩერება“, მაგრამ თუ მას მოვათავსებთ წყალში გახსნილი ჭურჭლის სარეცხი საშუალებით წარმოქმნილ ბუშტუკში – მაშინ ვეღარ გაფრინდება.

ალტერნატიული გარიანტები

წყალბადს ვიღებთ ისე, როგორც ზემოთაა აღწერილი, ანუ ვას-სამო ბოთლში ძმარს და ნატრიუმის ჰიდროოქსიდს. ბოთლს ვათავ-სებთ ცივ წყლიან ჭურჭელში. სხნარში ვყრით ალუმინის ფოლგის დახვეულ ნაგლეჯებს. ბოთლის თავზე წამოვაცმევთ რეზინის გასა-ბერ ბუშტს. მისი გაბერვის შემდეგ მოვუკრავთ თავს და ბოთლიდან მოვსწით. მის მაგიერ ბოთლის თავზე წამოვაცმევთ მეორე ბუშტს და და ა.შ. პირველ ბუშტს მივაბამთ გრძელ ჯოხზე, ხოლო მე-ორე ჯოხის ბოლოზე ვამაგრებთ ბენგალის ცეცხლს (ან პატარა სანთელს) აფანთებთ მას (ან სანთელს) ასანთით და პირველ ბუშტს მივუასლოებთ – ხდება აფეთქება.

გასათვალისწინებელი მომენტები

თუ რეაქცია არ ხდება. ცდის გამეორებამდე საჭიროა ალუმინის ფოლგის გასუფთავება ზუმფარის (შკურკა) ქაღალდით.

„ჩაი“

როგორც

pH-ინდიკატორი“

ექსპერიმენტის არსი

შავი ჩაი ფერს გარემოზე დამოკიდებულებით იცვლის.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
ჩაი, pH, pH-ინდიკატორი.

საჭირო მასალა

3 ჭიქა; ჩაი; ლიმონის მჟავა;

NaOH (საშუალება მიღებაყვანილობათა გასასუფთავებლად)

უსაფრთხოება

NaOH-თან მუშაობისას საჭიროა სელთათმანების და სათვალის გამოყენება.

განხორციელება

ჩაი საკმაოდ მუქი ფერის მიღებამდე დავაყენოთ და ის 3 ჭიქაში გადავაწილოთ.

№1 ჭიქაში 1 ჩაის კოვზი ლიმონის მჟავის ფხვნილი ჩავყაროთ.

№2 ჭიქა უცვლელად (1 და მე-3 ჭიქებთან შესადარებლად) დავტოვოთ.

№3 ჭიქაში 1 ჩაის კოვზი სოდა ჩავყაროთ.

№1 ჭიქაში ჩაი ქარვის ფერს (მოყვითალო-ნარინჯისფერი შეფერილობა) მიიღებს.

№3 ჭიქაში ჩაი მუქი წაბლისფერი. ჩაის ძალზე მაგარი ნაყენის დამახასიათებული ფერის გახდება.

განმარტება


ჩაი შეიცავს ტანინების წარმოებულებს, რომლეთა ფერზე სსნა-რის pH-ის ცვლილება ასდენს გავლენას. ტანინი (ყვითელი ფე-რის ფხვნილი) მრავალმოლეკულური ორგანული ნაერთია. შეიცავს გალმეუგას და D-გლუკოზას. ჩაის გარდა გვხვდება მცენარეთა ფენებისა და ქერქში. ტანინის მიაკუთვნებენ სათრიმლავ ნივთიერება-თა ჯგუფს, რომელთაც იყენებენ ცხოველთა ტყავის გამოყვანისას, გამოიყენება აგრეთვე მედიცინაშიც – როგორც ანთების საწინააღ-მდეგო საშუალება.

ჩაიზე დამატებული NaHCO_3 ადგილად განიცდის ჰიდროლიზის (ეს სუსტი მჟავის და ძლიერი ტუტის მარილია):



ეს იწვევს სსნარში ჰიდროქსილური იონების (OH^-) კონცენტრაცი-ის მატებას და, შესაბამისად, სსნარის pH-ის ზრდას. სსნარს აქვთ ტუტე რეაქცია.

ლიმონმჟავის დამატება, თავის მხრივ სსნარში წყალბადის იონე-ბის კონცენტრაციის ზრდას იწვევს (წყალში ლიმონმჟავის გახსნის და ნაწილობრივი დისოციაციის შედეგად):



წყალბადის იონების კონცენტრაციის ზრდა სსნარის pH-ის შემ-ცირკებას იწვევს და სსნარი მჟავე რეაქცის მატარებელი სდება.

ალტერნატიული გარიანტები

ლიმონმჟავის მაგივრად შეიძლება გამოვიყენოთ ძმარი (ძმარმჟა-ვის სსნარი) ან ლიმონის წვენი.

გასუფთავებული სოდის (NaHCO_3) მაგიერ შეიძლება ვისმართ და NaOH (საშუალება მიღვანილობათა გასასუფთავებლად)

„ჩაიდნის
გაფენდა“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ მინადული, რომელიც ჩაიდანის კედლებსა და ფსკერზე ლექის სასით წარმოიქმნება იოლად შეიძლება მოვაცილოთ.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
მინადული, ლექის გახსნა, ძმარი, ლიმონის მჟავა.

საჭირო მასალა

ჩაიდანი მინადულით,

ძმარი

ლიმონის მჟავა

წყალი

განსაკუთრებული პირობები

ჩაიდნის კედლებზე მინადული წინასწარ უნდა „დამუშავდეს“.

განხორციელება

მინადულიან კედლებს ვასხამთ ძმარს ან ლიმონის მჟავის წყალ-სსნარს. ზედაპირზე წარმოიქმნება აირის ბუშტუკები და მინადული ისსნება.

განმარტება

ჩაიდანში მინადულს სისტი წყალი წარმოიქმნის. წყლის სისისტე კი დაკავშირებულია მასში მარილთა იონების, უპირველეს ყოვლი-

სა კალციუმის და მაგნიუმის იონების შემცველობასთან. ასსვავებენ მუდმივ და დროებით სისისტეს. მუდმივი წარმოიქმნება ქლორიდებით, სულფატებით, ნიტრატებით, ხოლო დროებითი - ჰიდროკარბონატებით. დროებითი სისისტის აღმოფხვრა შესაძლებელია წყლის ადუდებით, მაგრამ ამ პროცესის შედეგად ჩაიდანში მინადული ჩნდება.

ნახშირმჟავა კალციუმი და ნახშირმჟავა მაგნიუმი ძალზე ძნელად იხსნება წყალში, სამაგიეროდ ადვილად იხსნება მჟავებში, რაც შემდეგი განტოლების მიხედვით ხდება:



სადაც M არის Mg ან Ca.

მმარი მმარმჟავას წყალსხნარია. ჩაიდანის მინადულის გახსნა მმარმჟავათი და ლიმონმჟავათი ზემოთ მითითებული განტოლების თანახმად წარმართება.

ალტერნატიული გარიანტები

ჩაიდნის მაგიერად შეიძლება გავასუფთაოთ საინი. რომელზეც წყლის აორთქლების შემდეგ ნალექი არის წარმოქმნილი.

გასათვალისწინებელი მომენტები

რეაქცია დოლში ნელა მიმდინარეობს, ზოგჯერ შედეგის მისაღებად ათეული წუთებია საჭიროა.

რაც მეტია მჟავის კონცენტრაცია, მით უფრო სწრაფად წარმართება პროცესი.

კარგი იქნება, თუ მჟავის სსნარს ჩაიდანში ავადულებთ.

ცდის მერე ჩაიდან კარგად უნდა გაირეცხოს, რათა შემდეგ მჟავე ჩაი არ მივითვათ.

პირის

ექსპერიმენტები

„ცეცხლ-
მოპირებაული
განკრიტი“

ექსპერიმენტის არსი
ექსპერიმენტი – „ფოკუსი“. ნაჩვენებია, რომ ყველაფერი როდი
იწვის, რახაც ცეცხლი უციდია

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
წვა.

საჭირო მასალა

ბანკნოტი, ან ქაღალდის ნაჭერი
მაკრატელი, ან მაშა
ასანთი
არაყი (ეთანოლის წყალხსნარი)
ჯამი წყლით

უსაფრთხოება

ქაღალდს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ არყიანი ჭურჭლისგან მო-
შორებით, რადგან არსებობს რისკი, რომ ჭურჭლიდან ამოსულ
ალკოჰოლის ორთქლს ცეცხლი მოედოს. ამ დროს წარმოიქმნება
„ცეცხლმოდებული პაერი“, რაც ძალზე სახიფათოა. ამიტომ ექსპე-
რიმენტი, შეძლებისდაგვარად, ცარიელ თოახში უნდა ჩატარდეს,
რათა არაფერი გადავწერ.

თუ ექსპერიმენტი არ გამოვიდა და ბანკნოტს აღი მოედო, ის
უნდა ჩავდოთ წყლიან ჯამში, რომელიც იქვე ასლოს იდება (მაშა
ცეცხლმოდებული ქაღალდით არავითარ შემთხვევაში იატაკზე არ
უნდა დავაგდოთ!)

განსაკუთრებული პირობები


ექსპერიმენტი სახითათოა. აუცილებელია დიდი მოცულობის სა-
თავსო. ექსპერიმენტის ჩატარება შესაძლებელია სააბაზანოში ან
გარეთ – დაა სივრცეში.

განსორციელება

ბანკოტს ნახევრამდე ჩავყოფთ ეთანოლის სსნარში, ამ ნაწილში
სსნარი უნდა შეიწოვოს. შემდეგ ბანკოტს (მშრალი ნაწილით) ავი-
ღებთ მაშით, ხოლო სველ ნაწილს – ცეცხლს ვუკიდებთ. საჭმალ
ინტენსიური ცეცხლი რამდენიმე სის მერე ქრება. ქაღალდი კი არ
იწვის.

განმარტება

არაყო ეთილის სპირტის (C_2H_5OH) წყალსსნარია. თვით ეთილის
სპირტი წვადი ნივთიერებაა და უანგბადის საკმარისი რაოდენობის
პირობებში სრულად და სწრაფად იწვის. რაც გამოისახება შემდე-
გი განტოლებით:



გარდა ამისა, წყალთან შედარებით, ეთანოლი უფრო მეტად
აქროლადი ნივთიერებაა. ამიტომ ქაღალდის ზედაპირზე მხოლოდ
მისი ორთქლის წვა სდება. წყალი არ ორთქლდება, ქაღალდი ტუ-
ნიანი რჩება და არ იწვის.

ალტერნატიული გარიანტები

თუ ალკოჰოლის სსნარს დავამატებთ სუფრის მარილს და ავან-
თებთ ასეთ „ჩამარილებულ“ ქაღალდს, ალი მიიღებს ყვითელ ფერს,
რაც წვად ნივთიერებაში ნატრიუმის არსებობას ადასტურებს.

„ცეცხლ-არაიდებული ბანკოტი“

მიმის ექსპერიმენტები

„დაჩქარება ული

ქანგვა“

ექსპერიმენტის არსი

რკინის ლურსმანი სუფრის მარილის წყალსსნარის და ჰერკიდოლის (H_2O_2) მოქმედების შედეგად ძალზე სწრაფად იუანგება.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
უანგი, რკინა, უანგვა.

საჭირო მასალა

ჭიქა

სუფრის მარილი

ჰერკიდოლი (H_2O_2 -ის 30% წყალსსნარი)

რკინის ლურსმანი

საწვეთარი

ზუმფარა

უსაფრთხოება

ჰერკიდოლთან მუშაობა ძალზე სასიფათოა, საჭიროა დამცავი სათვალის და ხელთათმანების გამოყენება.

განხორციელება

უნდა მომზადდეს სუფრის მარილის წყალსსნარი – წყლით ნა-სევრად ავსებულ ჭიქაში ორ კოვზ მარილს ვხსნით. შემდეგ ხსნარ-ში რკინის ლურსმანს ვათავსებთ, რომელიც წინასწარ ზუმფარას (შკურკა) ქაღალდით უნდა გაიხსნოს. ხსნარში ვამატებთ ცოტაო-დენ ჰერკიდოლს. – იწყება მძაფრი რეაქცია და დიდი რაოდენო-

ბით არის გამოთავისუფლდება. ლურსმანი იფარება მოყავისფერო ლაქებით.

განმარტება

ქიმიური კოროზია არის ნებტიან გარემოში ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული კოროზია, იმ პირობით თუ რეაქციას თან არ სდევს ელექტროქიმიური პროცესი (მაგალითად, მეტალის რეაქცია აირთან).

უანგი არის რკინის და მისი შენადნობების კოროზიის პროდუქტი. ის არ წარმოადგენს რამე ზუსტად განსაზღვრულ ნივთიერებას, არამედ არის რკინის, უანგბადის და წყალბადის სხვადასხვა ნაერთებისა ნარევი.

რკინის საგნებზე უანგის წარმოქმნა მათი ზედაპირის უანგბადით უანგვის შედეგია (წყლის თანაარსებობის პირობებში). რკინისა და უანგბადის რეაქცია წარმოადგენს უანგვა-ალდგენით (რედოქს) რეაქციას. ის მიმდინარეობს რეაგნტებს შორის ელექტრონების გაცვლის გზით (რკინის ატომები გასცემენ, ხოლო უანგბადის ატომები იღებენ ელექტრონებს). პირველ სტადიაზე მიიღება წყალში ძნელად სხნადი რკინის (II) ჰიდროჯანგი, რომელიც ჰაერის უანგბადით შემდგომ უანგვას განიცდის და მიიღება წაბლისფერი რკინის (III) ჰიდროჯანგი:



სუფრის მარილის წყალსხნარში რეაქცია გაცილებით ითლად მიმდინარეობს. ისეთი ძლიერი მჟანგველის დამატება, როგორიც წყალბადის ზეუანგის 30%-ანი წყალსხნარია, რკინის ზედაპირის სწრაფ უანგვას და რკინის (III) ჰიდროჯიდის წარმოქმნას განაპირობებს.

ალტერნატიული ვარიანტები

ექსპერიმენტი შეიძლება გაფართოვდეს. უნდა მომზადდეს სამი ჭურჭელი წყლით და სამივეში ჩავდოთ რკინის ლურსმანი. მეორე და მესამე ჭურჭელში შესაბამისად ჩავამატოთ სუფრის მარილი და ლიმონის მჟავა. რამდენიმე დღის განმავლობაში ვაკვირდებით სამი-ე ჭურჭელში მიმდინარე ცვლილებებს.

„დაჩვირებული გეგმები უნდა არის ეფექტური“

ექსპერიმენტის არსი:

კალიუმის პერმანგანატი (KMnO₄) გლიცერინთან კონტაქტისას, მცირე დროის შემდეგ, თვითაბლდება.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
კალიუმის პერმანგანატი, გლიცერინი, თვითაბლება.

„გლიცერინის

თვითაბლება“

საჭირო მასალა

კერამიკული ჯამი

გლიცერინი

კალიუმის პერმანგანატი – მანგანუმმჟავა (VII), კალიუმი, საწ-
ვეთარი (პიპეტი)

უსაფრთხოება

ძალზე სასიფათოა ღია ცეცხლი! კალიუმის პერმანგანატზე და
რეაქციის პროდუქტებზე მუშაობისას. საჭიროა დამცველი წელთათ-
მანების და სათვალის გამოყენება.

განსაკუთრებული პირობები


ცდა არ უნდა ჩატარდეს ადვილად აალებადი საგნების სის-
ლოვეს.

განხორციელება

დააწერილეთ მანგანუმჟავა კალიუმის (KMnO₄) კრისტალები და ჯამზე კონუსის ფორმით დაყარეთ. საწვეთარის მეშვეობით მანგანუმჟავა კალიუმის კონუსის წვერზე დააწვეთეთ 3 წვეთი გლიცერინი. ერთი წუთის შემდეგ წარმოიქმნება ლილისფერი ალი და ბეგრი ნაპერწკალი.

განმარტება

დასაწყისში, გვეჩვენება, რომ სისტემაში არაფითარი ცვლილება არ ხდება, სინამდვილეში შედარებით ნელი პროცესი მიმდინარეობს – მანგანუმჟავა კალიუმით გლიცერინის უანგვა. რეაქციის დროს გამოყოფილი სითბოს რაოდენობის ზრდის პარალელურად ეს პროცესი ჩქარდება, რაც ბოლოს სუბსტრატის წვით მთავრდება. ისეთი ძლიერი მუანგველის ზეგავლენით, როგორიც მანგანუმჟავა კალიუმია, გლიცერინი ნახშირბადის ორჟანგად და წყლად იუანგება. ეს რეაქცია განტოლების სახით შემდეგნაირად გამოისახება:



მანგანუმ (VII)-ის მანგანუმ (VI)-ში რედუქციის შედეგად Mn_2O_3 -თან ერთად, შესაძლებელია რეაქციის შედეგად წარმოიქმნას არა KMnO_4 , არამედ კალიუმმანგანატი (VI) – K_2MnO_4 (მუქი მწვანე ფსვნილი).

„KMnO₄

და

H₂O₂“

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
KMnO₄, წყალბადის ზეჟანგი.

საჭირო მასალა

3 ჭიქა

KMnO₄

გასუფთავებული საჭმელი სოდა,

NaOH (საშუალება მიღვაყვანილობათა გასასუფთავებლად),

ლიმონის მჟავა,

წყალბადის ზეჟანგი,

დაცავი ხელთათმანები.

უსაფრთხოება

სიფრთხილეა საჭირო NaOH გამოყენებისას. ისმარეთ სელთათმანები და სათვალე. შესაძლოა აგრეთვე დაისვაროთ KMnO₄-ით.

განსორციელება

ყოველ ჭიქაში KMnO₄ ფხვნილის მცირე რაოდენობას ვათავსებთ
და ვასხამთ წყალს (ჭიქის დაახლოებით 1/3-ს). №1 ჭიქაში ვყრით
1 ჩაის კოვზს ლიმონის მჟავას, №3-ში მცირე რაოდენობის NaOH-ს

გამატებთ. №2 რჩება ისე, როგორც იყო. ყოველ ჭიქაში წყალბა-
დის ზეჟანგის რამდენიმე წვეთს ვასხამთ და სამივე ჭიქაში ფერების
ცვლას ვაკვირდებითდღ

№1 ჭიქაში სსნარი ღია ვარდისფერი ან უფერული გახდება.


№2 ჭიქაში წარმოიქმნება მუქი ფერის ნალექი, სსნარი კი ყავის-
ფერს მიიღებს.

№3 ჭიქაში სსნარი მწვანე ფერს მიიღებს.

განმარტება


გარემოზე დამოკიდებულებით მანგანუმმჟავა (VII) კალიუმის
წყალბადის ზეჟანგთან რეაქციისას სხვადასხვა პროდუქტი წარმო-
იქმნება.

– №1 ჭიქაში, სადაც სსნარს მჟავა რეაქცია აქვს, pH < 7 მანგანუ-
მის იონების რედუქცია (შემცირება – გარდაქმნა) შემდეგი რეაქციის
მიხედვით მიმდინარეობს:




წარმოიქმნება Mn²⁺ ღია ვარდისფერი (ზოგჯერ უფერო) იონები.

– №2 ჭიქაში სსნარს ნეიტრალური რეაქცია აქვს (pH დაახლო-
ებით 7); ნეიტრალურ ან სუსტ ტუტე გარემოში მანგანუმის იონების
რედუქცია (შემცირება), შემდეგი რეაქციის მიხედვით ხდება:



– №3 ჭიქაში სსნარს ძლიერი ტუტე რეაქცია აქვს pH >> 7, მან-
განუმის (VII) იონების რედუქცია აქ შემდეგი რეაქციის მიხედვით
ხდება:



ამ რეაქციის შედეგად წარმოქმნილმა მანგანუმის (VI) იონებმა
სსნარი მწვანე ფერად შეღებეს.

ყოველ ამ რეაქციაში მანგანუმის (VII) იონი განიცდის რედუქცი-
ას (შემცირებას), ანუ ის მჟანგველია.

ალტერნატიული გარიანტები

NaOH მაგივრად შესაძლებელია გასუფთავებული სოდა (NaHCO_3) გამოვიყენოთ (რომელიც სუსტ ტუტე გარემოს ქმნის) და გნახოთ რეაქციის შედეგი.

„ KMnO_4 და H_2O_2 “

პირის

ექსპერიმენტები

„პრაქტიკალის

აღმოჩენა

კვების

პროცესები“

ექსპერიმენტის არსი

კვების პროცესებში სახამებლის (კრახმალი) აღმოჩენა ითდის დახმარებით შეგვიძლია.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ითდის ნაყენი (ითდი), კრახმალი.

საჭირო მასალა

ჭიქა

თევზი

იოლი

კარტოფილის ფენილი, კარტოფილი

პური

ბრინჯი

მაკარონი

პიპეტი

NaOH (მიღგაყვანილობათა გასასუფთავებელი საშუალება)

უსაფრთხოება

საჭიროა სიფრთხილე NaOH-ის სმარების დროს და დამცველი სათვალისა და სელოთათმანების გამოყენება. შესაძლებელია ითდით დასვრა.

განსორციელება

ჭიქაში ვამზადებთ იოდის განზავებულ წყალსხნარს წითელი ფერის მიღებამდე. პიპეტის დასმარებით ვასხამთ იოდის სსნარის რამდენიმე წვეთს თევზზე. რომელზეც კარტოფილის ფქვილია მოთავსებული. ჩვენ დავინახავთ როგორ იცვლება იოდის სსნარის ფერი წითელიდან მუქ-ლურჯამდე. იდენტურ პროცედურას ვასორციელებთ პურზე, ბრინჯზე და ა.შ.

განმარტება

სახამებელი (კრახმალი) ნახშირწყალია, მცენარეული პოლისა-ქარიდი, რომელიც გლუკოზის მოლეკულის ექვსწევრიანი ციკლური ფორმის ნარჩენების რგოლებისგან შედგება. ეს უკანასკნელი მცენარეებში ენერგიის საწყობის როლს ასრულებს.

იოდის ნაყენი ალკოჰოლში (ან ეთანოლის სპირტში) განზავებული იოდის სსნარს წარმოადგენს



საკვლევ სინჯში იოდი სახამებლის (კრახმალის) არსებობას ამჟღავნებს. კრახმალის გავლენით იოდი მუქ ლურჯ ფერს იღებს. დამტკიცებულია, რომ ამ ეფექტს მხოლოდ თავისუფალი, მოლეკულური იოდი ახდენს, რომელიც გახვდება იოდის ნაერთერთებში იოდ-ანიონების |2-| ან |3- * ფორმით, ქმნის სახამებელთან ბროწეულისებრ კომპლექსს, სამაგიეროდ იოდის შენაერთები (იოდიდ-ანიონები, იოდან-ანიონები, ორგანული იოდწარმოებულები) ამ თვისებას არ ავლენებს.

აღნიშნულის დასამტკიცებლად შესაძლოა ჩავატაროთ მარტივი ექსპერიმენტი, უნდა აღვადგინოთ იოდი იოდიდამდე და დავუანგოთ იოდანამდე (დისპროპორციონება) და მათზე ჩავატაროთ სახამებლის (კრახმალის) ტესტი. ამ მიზნით კალიუმის ჰიდროჟანგს იოდის მცირე რაოდენობას წვეთობით ვუმატებთ იმ მომენტამდე, ვიდრე დამასასიათებელი ნარინჯისფერი არ გაქრება. სახამებლის (კრახმალის)

დამატებით ამ სსნარზე რეაქცია, რომლის დროსაც წარმოიქმნება მუქი ლურჯი კომპლექსი, არ სდება.

(რეაქცია შეიძლება სსგანაირადაც ჩავატაროთ. იოდის ყვითელ სსნარს ვამატებთ კრახმალის კოლოიდურ ნაერთს. სსნარი მუქ ლურჯად შეიძებება. თუ ამ სსნარს კალიუმის ჰიდროფანგს დაგამატებთ მუქი ლურჯი შეფერილობა გაქრება).

მოლებულური იოდის გადასვლა ნაერთებში (ორივე ცდის შემთხვევაში) მიმდინარეობს შემდეგი რეაქციით:



ალტერნატიული ვარიანტები

NaOH-ის მაგივრად შეიძლება KOH გამოვიყენოთ. დისპროპორცირების რეაქცია შეიძლება ნატრიუმის თიოსულფატის $Na_2S_2O_3$ გამოყენებითაც ჩავატაროთ.

„ორთქლებავალი“

ექსპერიმენტის არსი

პერკიდროლში, რომელიც კოლბაში ან ქიმიურ ჭიქაშია ჩასხმული, ჩავყაროთ მანგანუმეუვავა კალიუმი. განვითარებული რეაქციის და წყალბადის ზეჟანგის დაშლის შედეგად კოლბიდან ამოდის ჟანგბადის და წყლის ორთქლის „სვეტი“, რაც ორთქმავლის მიღს გვაგონებს.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ქიმია, წყალი, პერკიდროლი, ბოლი.

საჭირო მასალა

კალიუმის პერმანგანატი (VII) ჰაელი სასელწოდება მანგანუმეუვად კალიუმი (KMnO₄).

2 ან 5-ლიტრიანი კონუსის ფორმის კოლბა, ან ქიმიური ჭიქა კოვზი

პერკიდროლი – წყალბადის ზეჟანგის (H_2O_2) 30%-ანი სსნარი.

უსაფრთხოება

დამცავი სათვალე – მთელი ცდის დროს.

დამცავი ხელთათმანები პერკიდროლთან მუშაობისას.

ცდის დემონსტრირება უნდა ჩატარდეს მოსწავლეებისგან მინი-მუმ 1,5მ დაშორებით, რადგან კოლბიდან ცხელი აირები და მასთან ერთად პერკიდროლის წვეთები და მანგანატის რეაქციაში შეუსვლელი მოღვაცულები გამოიყოფა.

რეაქციის შედეგად კოლბა ძლიერ ხურდება და დამწერობის თავიდან ასაცილებლად სიფრთხილეა საჭირო. არ უნდა დაგვეღვაროს რეაქტივები. თუკი ასეთი რამ მოხდა, საჭიროა მათი სწრაფად გატანა.

განსაკუთრებული პირობები

მინიმუმ მეტრნასევარი მანძილის დაცვა ცდის ჩამტარებლის მაგიდასა და მაყურებელს შორის.


განსორციელება

კონუსის ფორმის კოლბაში გასხამთ 100მლ პერკიდროლს, შემდეგ სწრაფად გყრით 1გრ. კალიუმის პერმანგანატს (KMnO₄). აღნიშნული რეაქტივის უქონლობისას შეიძლება 5გრ. მანგანუმის (IV) ოქსიდის გამოყენება, თუმცა გაცილებით უკეთესია ვიზმაროთ კალიუმის პერმანგანატი.

შედეგი – კოლბაში რეაქტივის ჩაყრის შემდეგ მანგანუმის ნაერთის და პერკიდროლის მძაფრი რეაქცია მიმდინარეობს. კოლბიდან ამოდის კვამლის მაღალი სვეტი. რეაქციის მასშტაბის შემცირება შესაძლებელია რეაქტივების დოზის შემცირებით.

განმარტება

უანგვის მაღალი სარისხის მქონე (KMnO₄-სთვის +7, სოლო MnO₂-სთვის – +4) მანგანუმის ნაერთების დამატებით პერკიდროლზე უანგვა-აღდგენის მძაფრი რეაქცია სდება შემდეგი განტოლების მიხედვით:



რეაქციის შედეგად გამოიყოფა დიდალი სითბო, იზრდება რეაქციის ტემპერატურა. რაც რეაქციის პროდუქტების აიროვან მდგო-

მარეობაში გადასვლას იწვევს. რადგან აირი დიდ მოცულობას იკავებს, ის თეთრი ფერის კვამლის სვეტის სახით გამოიყოფა. რეაქცია იმდენად ძლიერ ეგზოთერმულია, რომ წყალი, რომელიც კოლბაში რჩება შეიძლება აღუღდეს და ამ დროს საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე. თვალყური უნდა მიგადევნოთ, რომ კოლბა არ გადმოვარდეს და არავინ დაიმდებულოთ.

ალტერნატიული გარიანტები

მანგანუმის ოქსიდის გამოყენება

გასათვალისწინებელი მომენტები

თუ მოსწავლე იკითხავს, რა არის პერპიდროლი, ჩვენ შეგვიძლია იოლად ავეხსნათ, რომ ეს იგივე წყალბადის ჴეჟანგიდა (H_2O_2), რომლის 3%-ანი სხნარი შეიძლება სახლშიც ჰქონდეს, მხოლოდ ცდაში ჩვენ 10-ჯერ უფრო კონცენტრირებულს, ანუ 30%-იან სხნარს ვიყენებთ. წყალბადის ჴეჟანგი რაკეტების თხევად საწვავშიც შედის, ოღონდ ამ შემთხვევაში ის 98%-ანია. ამ ექსპერიმენტის ეფექტი ასევე წყალქვეშა ნაღმებშიც გამოიყენება.

„(რეიქლუმანალი“
მიმის ექსპერიმენტები

„პირური
იო-იო“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტს მივყავართ სიტუაციაში, როდესაც შეფერილი ძმის წვეთები ზეთიან ჭურჭელში ზევით-ქვევით დაცურავს. ეს იოლად განსახორციელებელი ექსპერიმენტი ძალიან მოსწონთ დაბალი კლისების მოსწავლეებს.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐

ძმარი, სოდა, იო-იო.

საჭირო მასალა

ძმარი

ზეთი

სოდა

კოქტეილის საწრუპავი მიღი

საღებავი

მაღალი ჭიქა ან მინის ქილა

განხორციელება

მინის ჭურჭლის ფსკერზე სოდის 1 სმ სისქის ფენას ვათავსებთ. სოდა არ უნდა ეხებოდეს ჭურჭლის კედლებს. შემდეგ ჭურჭელში ზეთს ვასხამთ, ძალზე ფრთხილად, ჭურჭლის კედლებზე გაყოლებით ისე, რომ არ შეერიოს სოდას. ჭურჭლს თითქმის სრულად ვავსებთ.

მეორე ჭურჭელში ძმარს ვღებავთ, მაგალითად, წითლად. საწრუპავი მიღის საშუალებით ზეთში ჩაფუშვებთ ძმრის რამოდენიმე

წვეთს. მიღის ბოლო ჭურჭელში ბოლომდე უნდა ჩავუშვათ. (ძმარს მიღმი შემდეგნაირად ვაგროვებთ: ჩავყოფთ მას ძმარში, მიღის ზედა ბოლოს ვაფარებთ საჩვენებელ თითს და ამ მდგომარეობაში ამოვიღებთ. როგორც კი ავწევთ საჩვენებელ თითს, „დაჭერილი“ ძმარი მიღიდან ჩამოიღვრება).



ძმრის წვეთები ჭურჭლის ფსკერზე ეცემა და სოდასთან შეხების შედეგად მათ გარშემო წარმოიქმნება აირის ბუშტუკები. რომლებიც მაღლა ადის და თან მიაქვთ ძმრის წვეთებიც. ზეთის ზედაპირზე ბუშტუკები სკდება და ცილდება წვეთებს, ისინი კვლავ ფსკერს უბრუნდებიან და ასე მოძრაობენ ზევით და ქმევით, როგორც „ით-ით“.

განმარტება


ძმარი – ძმარმჟავას (CH_3COOH) წყალსნარია.

სოდა – ბიკარბონატი (NaHCO_3), მარილია

ძმრის სიმკერვე ზეთის სიმკერივეზე მეტია, ამიტომ მისი წვეთები ჭურჭლის ფსკერზე ეშვება. როცა ძმარი ეხება სოდის ზედაპირს, სდება შემდეგი რეაქცია:



წყალსნარში ნატშირმჟავა მყისიერად იშლება:



სოდასთან ძმრის რეაქციით წარმოიქმნება ნატშირბადის (IV) ოქსიდი – ნატშირორჟანგი. ეს აირი ზეთზე მსუბუქია და მაღლა ამოდის. აირი ისე დიდი რაოდენობით წარმოიქმნება, რომ თან მოაქს ძმრის წვეთები. ეს ტრანსპორტირება თავდება ზეთის ზედაპირზე, რადგან პაერში „ასვლა“ მხოლოდ ბუშტუკებს ძალუბთ. აირგამოცლილი ძმრის წვეთები კი ისევ ჭურჭლის ფსკერზე ეშვება და ასალრეაქციას იწვევს.

„კიბიური ით-ით“
მიმის ესაკადიმენტები

გარკვეული დროის შემდეგ (სოდასთან მრავალჯერადი შეხების შედეგად), ძმარი სიძლიერეს კარგავს. რეაქცია ჩერდება და ძმრის წვეთები ჭურჭლის ფსკერზე რჩება.

გასათვალისწინებელი მომენტები

ძალზე დიდი წვეთები, შეიძლება ისე მძიმე იყოს, რომ ნახშირორჟანგმა ისინი ვერ აიტანოს ზეთის ზედაპირამდე. ეს უნდა გვანსოვდეს, როცა მონაწილეები ძმარს ასხამენ.

ძმრის ზოგიერთი წვეთი შეიძლება ზეთის ზედაპირს მიეწებოს. მათი განცალკევება შესაძლებელია ზედაპირის დაჭიმულობის შემცირებით. მაგალითად, თუ მათ შევენებით კბილის საწმენდი ჩსირით, რომელიც მანამდე ჭურჭლის სარეცხ საშუალებაში იყო მოთავსებული.

„რბილი

კვერცხი“

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
კვერცხი, ნაჭუჭი.

საჭირო მასალა

კვერცხი,
ძმარი (ძმარმეაგას 10% წყალსნარი)

უსაფრთხოება

ექსპერიმენტი სრულიად უსაფრთხოა

განსაკუთრებული პირობები


არ არის საჭირო

განსორციელება

ექსპერიმენტის მოსამზადებლად რამდენიმე დღე არის საჭირო. მინის ქილაში ვასხამთ ძმარს და მასში კვერცხს ვათავსებთ. 2-3 დღის შემდეგ ნაჭუჭი უნდა დარბილდეს, შემდგომი ორი დღის შემდეგ კი – გაქრეს. ასე დამუშავებული კვერცხი მსუბუქია და კაუჩუჭის ბურთივით დასტის.

განმარტება

ნახშირმჟავა კალციუმის (კალციუმის კარბონატი CaCO_3), რომელიც განაპირობებს ნაჭუჭვის სიმაგრეს სუსტ მჟავებში იხსნება, მაგალითად ძმარმჟავაში. წარმოიქმნება წყალში სსნადი მარილი - კალციუმის აცეტატი $\text{Ca}(\text{CH}_3\text{COO})_2$, ნახშირბადის (IV) ოქსიდი და წყალი:



ნახშირბადის (IV) ოქსიდი ბუშტუკების სასით წარმოიქმნება ნაჭუჭზე და შემდეგ სსნარიდან ჰაერში გადადის.

ალტერნატიული ვარიანტები

ექსპერიმენტი შეიძლება გამოვიყენოთ კბილების კარიესთან დაკავშირებულ პოპულარულ ლექციაში.

გასათვალისწინებელი მომენტები

კვერცხი თანაბრად უნდა იყოს ძმარში დაძირული. მისი ნაწილი, რომელიც სსნარს ზემოთ დარჩება, მიმდინარე პროცესში მონაწილეობს კერ მიიღებს.

ექსპერიმენტის არსი

სოდასა და ძმარს შორის რეაქციის შედეგად გამოყოფილი ნახ-შიროვებანგით (CO₂), ვავსებთ ბუშტს. ნახშიროვებანგი წვას ხელს არ უწყობს, მისი საშუალებით შესაძლოა სანთლის ჩაქრობა.

„საჰაერო

გუმტი

CO₂-ით“

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ნახშიროვებანგი, სანთლის ჩაქრობა.

საჭირო მასალა

პატარა ბოთლი

2 გასაბერი ბუშტი

ძმარი

სოდა

სანთელი

ასანთი

ძაბრი

ჭიქა

უსაფრთხოება

შესაძლოა ბუშტის გასკდომა და წყლით გაწერვა.

განსორციელება

ბოთლში ძმარი ჩავასხათ. ბუშტში ძაბრის მეშვეობით სოდა ჩავყაროთ. რაოდენობა ექსპერიმენტული გზით უნდა დაგადგინოთ. ბოთლის თავზე ბუშტი ჩამოვაცვათ და სოდა ბუშტიდან ბოთლში

ჩავყაროთ. რეაქცია ძმარსა და სოდას შორის სწრაფად მიღის, ამიტომ საჭიროა ბუშტის დაჭერა. გარკვეული დროის შემდეგ ბუშტი დაგსება აირით.

ასეთი ბუშტით შესაძლოა სხვადასხვა ექსპერიმენტის ჩატარება. მაგალითად:

ვავსებთ მეორე ბუშტს ჰაერით (დაახლოებით იმავე ზომაზე), და ვადარებთ, რომელი უფრო სწრაფად ვარდება (შედარებით სწრაფად ვარდება ის, რომელი CO_2 -ითა ავსებული)


CO_2 -ით სავსე ბუშტი ჩავცალოთ ჭიქაში, დავხაროთ ჭიქა ანთებულ სანთელზე და ნახშირორჟანგი აღს ჩააქრობს.

განმარტება

ძმარი ძმარმჟავას წყალსნარია CH_3COOH . გაწმენდილი სოდა NaHCO_3 მარილია – ბიკარბონატი. ძმრისა და სოდის შერევით სდება რეაქცია, რის შედეგად წარმოიქმნება ნატრიუმის აცეტატი და ნახშირორჟანგი.


ძმარმჟავა + სოდის ბიკარბონატი – ნატრიუმის აცეტატი + ნახშირმჟავა

ანუ:



შედარებით ძლიერი ძმარმჟავა საკუთარი მარილიდან ნახშირმჟავას გამოაძევებს.

წყალსნარში ნახშირმჟავა მყისიერად იშლება



ნახშირორჟანგი (ნახშირბადის IV ოქსიდი) CO_2 – ჰაერზე მძიმე აირია, არააღებადია (არ იწვის) და ამიტომ მისი დახმარებით შესაძლოა ჩავაქროთ ცეცხლი, როდესაც ჭიქიდან მას ანთებულ სანთელს „დავასხამთ“.

გასათვალისწინებელი მომენტები

სანთლის ჩაქრობა თუ ვერ მოხერხდა ბუშტის შიგთავსით, შეგვიძლია დავხაროთ სანთელზე ბოთლი. მასში მოთავსებული ნახშირორჟანგი „დაესხმება“ და ჩააქრობს ცეცხლს.

კიმის ექსპლიმენტები

„საპარტ გუატი CO₂-00“

„ვერცხლის

ელექტროქიმიური

გასუჟითავება“

ექსპერიმენტის არსი

ოქსიდური ნაფიფქით დაბინძურებული ვერცხლი შეიძლება ადგილად გასუჟითავდეს აღუმინის ფოლგის და მარილიანი წყლის დასმარებით.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
ელექტროქიმია, ქიმიური გალვანური ელემენტი.

საჭირო მასალა

მინის ჯამი

ალუმინის ფოლგა

მარილი

ოქსიდური ნაფიფქით დაფარული ვერცხლი

ზუმფარას ქაღალდი (შკურკა) – ფოლგის გასაწენდად

განხორციელება


ჯამში ვასხამთ წყალს და გამატებთ ორ კოვჭ მარილს. ჯამის ძირზე ვდებთ ზუმფარას ქაღალდით წინასწარ გაწმენდილ ალუმინის ფოლგას. ფოლგას ზემოდან ვადებთ ვერცხლის ნებისმიერ საგანს (ოქსიდური ნაფიფქით გამწვანებულ ჩაის კოვჭს, მონეტას, საყურეს ან სხვ.).

რამდენიმე სხის შემდეგ შევამჩნევთ ვერცხლიდან ნაფიფქის გაქრობას და აირის ბუშტუკების გამოყოფას.

განმარტება

თუ ორ ლითონს ერთმანეთს მივადებთ, მათ შორის სპონტანურად დაიწყება ელექტრონების მიმოცვლა. უფრო აქტიური ლითონი ელექტრონებს გასცემს და იქანგება. შედარებით ნაკლებად აქტიური – ამ ელექტრონებს იერთებს. ასეთ სისტემას, რომელიც სპონტანურად ხდება ელექტრონების გაცვლის პროცესი (ქიმიური რეაქციები) ელექტროქიმიური (გალვანური) ელემენტი ეწოდება.


მუქი ნაფიქტი ვერცხლის საგნებზე – ეს ვერცხლის სულფიდია – Ag_2S , რომელიც ჰაერის ჟანგბადის არსებობის პირობებში ვერცხლის და გოგირდწალბადის (H_2S) ნარჩენების კონტაქტის შედეგად წარმოიქმნება.



სსნართან აღუმინის კონტაქტის შედეგად თავისუფლდება ორი ელექტრონი:



ეს ვერცხლის სულფიდიდან ვერცხლის აღდგენის საშუალებას იძლევა, იმავდროულად გოგირდწალბადი აირის სასით გამოიყოფა:



აღწერილი რეაქციების განხორციელების საშუალებას იძლევა ის, რომ ვერცხლთან შედარებით აღუმინი უფრო აქტიური ლითონია და ჟანგვას განიცდის, ამის შედეგად ვერცხლის სულფიდში (Ag_2S) არსებული ვერცხლის აღდგენა ხდება.

გასუფთავების პროცესის დროს ზოგჯერ ჩვენ გოგირდწალბადის (აირის, რომელიც ლაპყ კვერცხის არასასიამოგნო სუნის მიზეზია) სუსტ სუნს ვგრძნობთ.

გასუფთავების დადებითი შედეგის მიღებისათვის აუცილებელია ორივე ლითონის (ვერცხლი და აღუმინი) საგნის მჭიდრო ელექტრული კონტაქტი.

ნატრიუმის ქლორიდის სსნარი ელექტროქიმიური რეაქციის დროს მხოლოდ იონების წონასწორობას აითლებს. ელექტროქიმიური მე-

„ვერცხლის ელექტროქიმიური გასუფთავება“

ქამიის ექსპერიმენტები

თოდი არ იწვევს ვერცხლის რაოდენობის შემცირებას, იმ ქიმიური მეთოდებისაგან განსხვავებით, რომელთაც ნაფიფქის მოსაშორებლად იყენებენ.

ალტერნატიული ვარიანტები

ვერცხლის სამკაულების გასუფთავებისას პრობლემას ქმნის კარგი ელექტრული კონტაქტის უზრუნველყოფის სირთულე. უმჯობესი შედეგი მიიღება, თუ ნაკეთობას კბილის ჯაგრისით დავამუშავებთ, მსოლოდ მას შემდეგ, რაც მას წინასწარ მოვათავსებთ მარილის ან ნატრიუმის ოქსიდის ჰიდრატის სსნარში და ცინკის მტვერს დავაყრით (ალუმინის მტვერი ნაკლებ შედეგს იძლევა, რადგან ალუმინის ზედაპირი უანგის ფენით იფარება და პასიური ხდება)

გასათვალისწინებელი მომენტები

რამ შეიძლება დააჩქაროს პროცესი:
NaOH-ის (საშუალება მიღვაყვანილობათა გასასუფთავებლად) მცირე თდენობის დამატება სსნარზე,
ალუმინის ფოლგის ზუმფარის ქალალდით დამუშავება უშუალოდ სსნარში ჩადების წინ,
სისტემის შეთბობა.

„ხილის
ბატარეა“

ექსპერიმენტის არსი

როგორ „გამოვადინოთ“ ელექტრული დენი ლიმონს? როგორ შევქმნათ ბატარეა კარტოფილისგან? შეიძლება თუ არა დამჟავებულმა კიტრმა კვებოს დიოდი? ყველა ამ შეკითხვაზე პასუხს იძოვით ამ ცდაში.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ელექტრული დენი, დენის წყარო.

საჭირო მასალა

ლიმონი – 6 ცალი (ან უმი კარტოფილი, მებავე კიტრი, ვაშლი, კივი)

მოთუთიავებული მავთულის პატარა ღერო ან ლურსმანი (მინი-მუქ 6 ცალი)

სპილენძის მავთულის პატარა ღერო ან ლურსმანი (მინიმუქ 6 ცალი)

მავთულების დამჭერი პატარა მაშები (მინიმუქ 12 ცალი).

მავთული იზოლაციით

მარტივი ვოლტმეტრი

მუსიკალური ღია ბარათი

განსორციელება

ჩავარქოთ ლიმონში (ან სხვა სილსა ან ბოსტნეულში) ერთი სპილენძის და ერთი მოთუთიავებული ლურსმანი. მივუერთოთ ლურსმნები ვოლტმეტრს. უნდა წარმოიქმნას ძაბვა. ასლა ჩვენ შევქმუ-

ნით სილის გაღვანური ელემენტი. თუ გვინდა, რომ მივაგნოთ ისეთ სისტემას, რომელიც წარმოქმნის ყველაზე მაღალ ძაბვას, ცდა სხვადასხვა სილის ან ბოსტნეულის და სხვადასხვა ლითონის ლურსნების გამოყენებით უნდა ჩავატაროთ. დასაშვები ლითონებიდან ყველაზე კარგ შედეგს იძლევა წყვილი: სპილენძი – თუთია. სხვადასხვა სილის შემთხვევაში შედეგიც სხვადასხვაა.

იმისთვის, რომ მიღებული ძაბვა გავზიარდოთ, შეგვიძლია სილის „ელემენტები“ პატარა მაშებით ერთმანეთთან ბატარეის სახით შეგაერთოთ (ისე, როგორც ნახატზეა).

განმარტება

როგორ ხდება, რომ მავთულში ელექტრული დენი გადის? ეს არის ელექტრონების ნები დრეიფი იმ ადგილიდან, სადაც ისინი „მეტისმეტად ბევრია. ერთ ლურსმანზე წარმოიქმნება ელექტრონების სიჭარბე (უარყოფითი ელექტრული პოტენციალი), რომელიც მავთულში მიედინება მეორე ლურსმანთან (დადებითი ელექტრული პოტენციალი). მოდით, ვცადოთ და ვუპასუხოთ კითხვას, თუ რომელ ლურსმანზე (სპილენძისაზე თუ მოთუთიავებულზე) და რატომ წარმოიქმნება ელექტრონების სიჭარბე. წარმოიდგინეთ, რომ გოგირდმჟავათი (H_2SO_4) სავსე ქილა გვაქვს. თუ ჩვენ მასში თუთიის მავთულს მოვათაგსებთ, ძლიერი მუავი სწრაფად დაიწყებს მის „შეჭმას“. წარმოიქმნება წყალბადის ბუშტუკები, რომლებიც თავს მოიყრის თუთიის ზედაპირზე. აი, როგორ ხდება ეს:

მჟავის მოლეკულები იყოფა სამ იონად: H^+ H^+ და SO_4^{2-}

თუთიის ატომები მავთულის ზედაპირზე კარგავს ორ ელექტრონს ($2e^-$) და გადაიქცევა თუთიის იონებად Zn^{2+} (დაუანგვის რეაქცია – ასეთ ელექტროდს ჩვენ ვუწოდებთ „ანოდს“)

თუთიის იონები Zn^{2+} უერთდება SO_4^{2-} იონებს და წარმოიქმნება $ZnSO_4$, რომელიც ისნება მჟავაში.

თუთის ატომებიდან ელექტრონები უერთდება H^+ -ს იონებს და H_2 მოლეკულები (აიროვანი წყალბადი).

შართალია, სილში არ არის გოგირდმჟავა, მაგრამ მასში არის არანაკლებ ძლიერი სხვა ორგანული მჟავები და პროცესი ანალოგური სქემით მიმდინარეობს. თუ რეაქციათა ზემოთ მოყვანილ რიგს დავაკვირდებით, მივალთ დასკვნამდე რომ, ეს არის წყალბადის ორ იონზე H^+ თუთის ატომიდან მნ თრი ელექტრონის გადატანის მექანიზმი. ენერგეტიკული თვალსაზრისით, ასეთი გადაადგილება სისტემისთვის სასარგებლობა. აღმოჩნდა, რომ სპილენძი ასეთივე პირობებში ელექტრონებს ძნელად გასცემს. ელექტრონების გადატანას სპილენძის Cu ატომიდან წყალბადის იონებზე დასჭირდებოდა მთელი სისტემის ენერგიის მოხმარება. ასე რომ, ეს ვარიანტი ენერგეტიკულად ნეგატიურია. უფრო მეტიც, თუკი სპილენძის ელექტრონის სიახლოებებს სპონტანურად სპილენძის იონები Cu^{2+} წარმოიქმნება, ისინი უფრო სწრაფად მიიღებენ რომელიმე დაკარგულ ელექტრონს, ვიდრე მიუერთებენ მას SO_{42^-} -ს მჟავურ ნაშთს. რა მოხდება, თუკი ჩვენ შეგაერთებთ Zn და Cu ელექტროდებს მავთულით (ანუ ელექტრონებს მარტივ გზას შეგუქმნით ელექტროდებს შორის)? ელექტრონები „იგრძნობენ“ შემდეგ ვითარებას: თუთის ელექტროდის მხრიდან ელექტრონებს „მოუხმობენ“ გარკვეული ძალით H^+ იონები, მაგარამ სპილენძის ელექტროდის მხრიდანაც მათ ასევე „მოუხმობენ“ H^+ იონები და, გარდა ამისა, მათი კარგად მიმდები Cu^{+} იონები. აქედან გამომდინარე, ელექტრონებს ექნებათ მეტი კავშირი სპილენძის ელექტროდის მხრიდან და ისინი დაიწყებენ ამ უკანასკნელისკენ გადაადგილებას! ჩვენ მივიღებთ ელექტრულ დენს. წყალბადის ბუშტუკები უპირველესად სპილენძის ელექტროდზე წარმოიქმნება იმიტომ, რომ პირველად იქ „მიფრინდებიან“ ელექტრონები თუთის ელექტროდიდან. გამოდის, რომ თითოეულ მეტალს აქვს ბუნებრივი მიდრეკილება H^+ იონების გარემოში ელექტრონები გასცეს; სწორედ ამ უნარს გამოხატავს ელექტროქიმიური პოტენციალი. რაც უფრო

უარყოფითია ეს პოტენციალი, მით უფრო ადგილად გადასცემს მეტალი ელექტრონებს H^+ ითნებს. რაც უფრო დადგებითია პოტენციალი, მით უფრო ადგილად იღებს ელექტრონებს მეტალი. მეტალები მათი ელექტროქიმიური პოტენციალის სიდიდის მიხედვით (ყველაზე დაბალიდან ყველაზე მაღალ მნიშვნელობამდე) შეგვიძლია მწკრივში განვალაგოთ. ამას ეწოდება ელექტროქიმიური რიგი (ცხრილში შეტანილია მსოლოდ შერჩეული მეტალები). ელექტრონები ყოველთვის მიედინება უფრო დაბალი პოტენციალის მქონე მეტალიდან უფრო მაღალი პოტენციალის მქონე მეტალისკენ და ამას მით უფრო სწრაფად ასორციელებენ, რაც უფრო დიდია სხვაობა ამ მეტალების პოტენციალებს შორის.

„ნილის ბატარეა“

ელემენტის დასახელება	ელემენტის სიმბოლო	პოტენციალი [V]
კალიუმი	K	-2,92
კალციუმი	Ca	-2,84
ნატრიუმი	Na	-2,71
მაგნიუმი	Mg	-2,38
ალუმინი	Al	-1,66
თუთად	Zn	-0,76
ქრომი	Cr	-0,71
რკინა	Fe	-0,44
ნიკელი	Ni	-0,24
ტყვია	Pb	-0,13
წყალბადი	H	0
სპილენდი	Cu	+0,37
ვერცხლი	Ag	+0,8
ვერცხლის წყალი	Hg	+0,85
პლატინა	Pt	+1,2
თქრი	Au	+1,42

ზემოთმოცვანილი ცხრილის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატარეა, რომელიც ჩვენ თუთისა და სპილენძის გამოყენებით შევქმნით – კარგია, მაგრამ ბატარეა, რომელშიც გამოყენებული იქნება თუთია და ოქრო, იქნება გაცილებით უკეთესი (იგი უფრო მაღალ ელექტრულ ძაბჭას შექმნის). მაგრამ როგორ შეგვლიოთ საკუთარ იუგელირულ ნაკეთობებს მხოლოდ იმისათვის, რომ ყოველივე ეს დავადასტუროთ?

გასათვალისწინებელი მომენტები

კიტრის მწნილი ყველაზე ეფუქტურ ბატარეას წარმოქმნის (იმისათვის რომ საკამარისი იყოს მუსიკალური დია ბარათის სათანადო რაოდენობის დანით კვების უზრუნველყოფა, არანაკლებ სამი ცალი კიტრი არის აუცილებელია. ლიმონის შემთხვევაში – არანაკლებ ექვსი ცალისა).

თუკი დია ბარათის ნაცვლად დიოდს ვიყენებთ, არ დაგვავიწყდეს რომ დიოდი მხოლოდ სწორი შეერთების შემთხვევაში გაანათებს (ბატარეას „+“ უნდა შეგაერთოთ დიოდის გრძელ ბოლოსთან – დიოდს შემთხვევით არ აქვს სხვადასხვა ზომის ბოლოება).

ექსპერიმენტის ჩატარების შედეგ ლურსმნები გარეცხეთ და გაამრალეთ (ამგვარად თქვენ მათ მრავალჯერად გამოყენებას შეძლებთ).

როდესაც ცდას სხვადასხვა სილზე ჩავატარებთ და ლურსმნებს ერთი სილიდან მეორეზე გადავიტანთ. არ უნდა დაგვავიწყდეს ლურსმნების გარეცხვა, რათა მეტალის ზედაპირზე წინა გამოყენებული სილის წვენი არ დარჩეს (წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი ყალბი იქნება).

„ხილის ბატარეა“
ვიზუალის ექსპერიმენტები

„ამონგდები

ქალა –

მოცულობა“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი ესება ამომგდებ ძალას. იგი ამომგდებ ძალასა და მოცულობას შორის დამოკიდებულების შესწავლის საშუალებას გვაძლევს..

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ამომგდები ძალა.

საჭირო მასალა

ჭირა ან სხვა რაიმე ჭურჭელი
პლასტილინი

განხორციელება

წყლით სავსე ჭურჭელში ვაგდებთ პლასტილინისგან დამზადებულ ბურთულას. დავინახავთ. რომ ბურთულა ჩაიძირება. შემდეგ პლასტილინის იმავე ბურთულის მივცემთ ჯამის ფორმას იმგვარად, რომ მის მიერ გამოდევნილი სითხის მოცულობა ბურთულით გამოდევნილ სითხის მოცულობაზე მეტი იყოს. როდესაც ამ ჯამს მოვათავსებთ წყლის ზედაპირზე. ვნახავთ, რომ იგი აღარ ჩაიძირება, თუმცა პლასტილინის ნაჭრის მასა არ შეგვიცვლია.

განმარტება

ამომგდები ძალა გამოითვლება ფორმულით:
 $F=ρgV$

სადაც:

ρ – სითხის სიმკვრივეა;

გ – გრავიტაციული მუდმივა (აჩქარება);

V – სითხის მოცულობა.

სითხეში სხეულის ცურვის პირობების მიხედვით ამომგდები ძალა ამ სხეულზე მოქმედი გრავიტაციის ძალას უნდა აღემატებოდეს. ეს ნიშანები, რომ სხეულის საშუალო სიმკვრივე (სრული მასა გაყოფილი სრულ მოცულობაზე) იმ სითხის საშუალო სიმკვრივეზე ნაკლები უნდა იყოს, რომელშიც აღნიშნულმა სხეულმა უნდა იცუროს.

ჩვენი ცდის პირველ ეტაპზე ამომგდები ძალა ძალიან მცირებიმისათვის, რომ ბურთულა წყლის ზედაპირზე შეაჩეროს. მისი ფორმის შეცვლის შემდეგ ამომგდები ძალა იზრდება, და იგი პლასტილინს წყლის ზედაპირზე აკავებს.

„არამდები ძალა – გთცექლობა“

ვიზიტის ექსპლიანაციები

„ამონგლები
ქალა“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი ასახავს ამონგლები ძალის მოქმედებას. იგი ამონგლებ ძალასა და სითხის სიმკვრივეს შორის ურთიერთკავშირის დავაკვირვების საშუალებას გვაძლევს.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ამონგლები ძალა.

საჭირო მასალა

ორი მაღალი და ფართო ჭიქა (საკმარისად ფართო იმისათვის,
რომ მასში მოთავსდეს კვერცხი)
მარილი
ორი კვერცხი

განხორციელება

ცდის დაწყების წინ ორივე ჭიქაში გასხამთ წყალს (სასურველია
თბილი წყალი). ერთ-ერთ ჭიქაში ვყრით მარილს. მარილი წყალში
ბოლომდე უნდა გავსხნათ, ისე, რომ წყალი სრულიად გამჭვირვა-
ლე დარჩეს. ვუხმობთ ერთ-ერთ მოსწავლეს და ვთხოვთ მას, რომ
ჭიქებში თითო კვერცხი ჩაუშვას. სუფთა წყლით სავსე ჭიქაში კვერ-
ცხი ჩაიძირება; სოლო იმ ჭიქაში, რომელშიც მარილი გავსხნით,
კვერცხი დარჩება წყლის ზედაპირზე. ჩვენ ვთხოვთ მოსწავლეს,
რომ შეუცვალოს კვერცხებს ადგილები – შედეგი იქნება იგივე.

ჩვენ ვთხოვთ მოსწავლეს, რომ მან გემო გაუსინჯოს ორივე ჭი-
ქის წყალს, სოლო შემდეგ ჩაყაროს მარილი მტკნარი წყლით სავსე

ჭიქაში. მარილის ჩაყრისა და გახსნის შემდეგ, კვერცხი მეორე ჭიქაშიც წყლის ზედაპირზე უნდა ამოვიდეს.

განმარტება

ამომგდები ძალა გამოითვლება ფორმულით:

$$F = \rho g V$$

სადაც:

ρ – სითხის სიმკვრივეა;

g – გრავიტაციული მუდმივა (აჩქარება);

V – გამოდევნილი სითხის მოცულობა.

სხეული მხოლოდ მაშინ ცურავს წყალში, როდესაც ამომგდები ძალა სხეულზე მოქმედ გრავიტაციულ ძალაზე მეტია. ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ სხეულის საშუალო სიმკვრივე (სრული მასა გაყოფილი სრულ მოცულობაზე) იმ სითხის საშუალო სიმკვრივეზე ნაკლები უნდა იყოს, რომელშიც აღნიშნული სხეული ცურავს.

როდესაც ჩვენ წყალში მარილს ვყრით, ამით წყლის სიმკვრივეს ვზრდით და, შესაბამისად, იმ ამომგდები ძალის სიდიდეს ვზრდით, რომელიც კვერცხზე მოქმედებს.

ვიზიტის ექსპლიმენტები
„ავთენა ექსპლორაცია“

„დეპარტეს
მყვითავი“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი ჩატარება შესაძლებელია სახლის პირობებშიც, თუმცა გარკვეულ მომზადებას მოითხოვს. ამ ცდით შესაძლებელი განდება შევამოწმოთ, თუ როგორ მოქმედებს ამომგდები ძალა მოცურავე „მყვინთავზე“.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
ფიზიკა, წნევა, წყალი, წყალტევადობა, პასკალის კანონი,
არქიმედეს კანონი, ჰიდროდინამიკა.

საჭირო მასალა

დიდი, გამჭვირვალე პლასტმასის ბოთლი (2 ლიტრი ტევადობის
მაინც) ჰერმეტული სახურავით

სამედიცინო პიპეტი

ჭიქა

წყალი

განხორციელება

პლასტიკურ ჭურჭელში გასხამთ წყალს, ოღონდ ბოლომდე არ
გავსებთ. წყალს ვასხამთ ჭიქაშიც. შემდეგ პიპეტში, რომელიც
მყვინთავის როლს შეასრულებს, შევიწოვთ იმდენ წყალს, რომ
წყლიან ჭიქაში ჩადებისას (გამოსავალი სვრელი ქვევით უნდა იყოს
მიმართული) პიპეტი ტივტივებდეს ისე. რომ მისი ბოლო წყლის
ზედაპირიდან 2-3 მმ-ით იყოს ამოწეული. ამის დარეგულირება შე-
საძლებელია პიპეტში ჩასხმული წყლის მოცულობის შერჩევით.

ამის შემდეგ, მყვინთავი პიპეტი გადაგვაქვს პლასტიკურ ჭურჭელში, რომელსაც მჭიდროდ ვწუფავთ. ჭურჭელს ვუჭერთ ორივე ხელს და ვაკვირდებით თუ რა მოხდის „მყვინთავს..“ – მოქერისას პიპეტი იძირება წყალში, ხოლო გაშვებისას კვლავ ზევით ამოდის..

განმარტება

როდესაც ჭურჭელს ხელს ვუჭერთ და ამით ვზრდით მასში არ-სებულ წნევას – ბოთლში არსებული ჰაერი იკუმშება და წყალი პიპეტში შედის, ამის შედეგად ტივტივა პიპეტის „მოცულობა“ მცირდება – უფრო ზუსტად კი მცირდება პიპეტში ჰაერის მოცულობა (ფაქტიურად ჩვენ გვაქვს . . . ჰაერით დამზადებული ტივტივი). ამის შედეგად პიპეტი ჩაიძირება წყალში, რაც უფრო მეტად მოვუჭერთ ხელს ჭურჭელს – მით უფრო ღრმად ჩაიგა „მყვინთავი“ წყალში. შევამცირებთ მოქერას და ისევ ზევით დაიწყებს ამოხვლას.

შენიშვნა: მყვინთავი ტივტივას ავტორობას დეკარტეს მიაწერენ, ამიტომაც შეარქებეს მას „დეკარტეს მყვინთავი“.

„დეკარტეს მყვინთავი“
ვიზიტის ექსპერიმენტები

საინტერესო ცნობა

ბატისკაფი – ეს არის ოკეანის დიდი ზომის ჯგუფური მყვინთავი. წარსულში მომხდარი ისე, რომ ბატისკაფი სწრაფად წასულა ფსკერისკენ. საბედნიეროდ, მის შიგნით არ ყოფილან ადამიანები. წყალმა მსუბუქად, შეუმჩნევლად შეკუმშა ბატისკაფი და შეამცირა მისი მოცულობა და ბატისკაფი ჩაიძირა. რაც უფრო ღრმად ჩადიოდა იგი წყლის სიღრმეში. მით უფრო მცირდებოდა მისი წყალტევადობა და მით უფრო სწრაფად იძირებოდა იგი. რატომდაც ვერავინ ვერ გათვალა ასეთი მოსალოდნელი შედეგი. თანამედროვე ბატისკაფები აღჭურვილია ტივტივებით, რომლებიც ავსებულია მსუბუქი ბენზინით. და არა ჰაერით. ჰაერის შემთხვევაში, ბატისკაფს დაემართება იგივე, რაც მოუვიდა „დეკარტეს მყვინთავს“ და იგი ვერ შეასრულებს დაგალებას.

„გაჭყლეთილი
ქილა“

ექსპერიმენტის არსი

ატმოსფერული წნევის ზემოქმედებით გამაგრილებელი სასმელის ალუმინის ცარიელი ქილა ხმაურით გაიჭყლიტება. ცდა შთამბეჭდავია.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ფიზიკა, თერმოდინამიკა, აირის გარღავება,
კლაპეირონის განტოლება

საჭირო მასალა

სანთურა: გაზის, სპირტის, ან სულაც სანთებელა

ქილა: გამაგრილებელი სასმელის ცარიელი ალუმინის ქილა (მაგალითად: 0.33 ან 0.5 ლიტრი)

მაშები

ჭურჭელი: ჯამი ან სხვა ჭურჭელი, რომელშიც მოთავსდება სულ ცოტა ორი დაწვენილი ქილა (მუშაობის პროცესის კომფორტულობისთვის ჭურჭლის ზომას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა), საინტერესო იქნებოდა ცდის ჩატარება გამჭვირვალე ქილით.

უსაფრთხოება

სანთურათი ან სანთებელათი მუშაობის დროს საჭიროა სიფრთხილე, რომ არაფერი დავიწვათ.

განსორციელება

დიდ ჭურჭელში (დიდ ჯამში) წყალს ვასხამთ ისე, რომ წყლის დონე ალებინის ქილის სიმაღლეზე მეტი იყოს. ცოტაოდენ წყალს ქილაშიც ვასხამთ (წყლის სვეტის მაქსიმალური სიმაღლე 0,5 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს).

ქილას მაშებით ვიღებთ და სანთურაზე მის ძირს ვაცხელებთ. წყალი ქილაში დუღილამდე უნდა მივიყვანოთ და დაველოდოთ, ვიდრე ორთქლი ქილიდან არ დაიწყებს ძლიერი ნაკადით გამოსვლას (ისე, როგორც ჩაიდნიდან). ქილა უნდა გვეკავოს ისე, რომ შეფერხების გარეშე შევძლოთ მისი მოთავსება წყლიან ჯამში. აუცილებელია, რომ ქილის შემავალი ხვრელი მოუქცეს წყლის დონის ქვევით და ქილა მეტ-ნაკლებად გერტიკალურ მდგომარეობაში იყოს. ასეთ შემთხვევაში ჰაერი ქილაში არ მოხვდება. დაუშვებელია ჯამში ქილის ჰორიზონტალურ ჩადება. ცდის წარმატებით ჩატარებისთვის აუცილებელია ქილის რაც შეიძლება სწრაფი გადატანა სანთურიდან წყლიან ჯამში (ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს). უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ წყალი ჭურჭელში მაქსიმალურად ცივი უნდა იყოს, სოლო ქილაში – ჰირიქით, მაქსიმალურად ცხელი.

განმარტება

როდესაც ქილას, მასში არსებული ცოტაოდენი წყლით, ვათავსებთ სანთურაზე. წყალი ცხელდება, აღწევს დუღილს და იწყებს აორთქლებას. ინტენსიური აორთქლების შედეგად ქილის მთელი მოცულობა ივება ორთქლით და, შესაბამისად, მასში ჰაერი აღარ იქნება. თუკი ამ დროს ჩვენ დავიწყებთ ქილის ნელნელა გაცივებას, ორთქლის მოცულობა შემცირდება, იგი კონდენსირდება და ქილაში ჰაერისთვის ადგილი თავისუფლდება. მაგრამ თუ ქილას საკმაოდ სწრაფად გაფაცივებთ და ამავე დროს დაფუქშობთ მას ჰაერის მიწოდების გზას, ქილაში წნევა სწრაფად დაუცემა და იგი ატმოს-

ფერულ წნევაზე ნაკლები გახდება. ატმოსფერული წნევის ზემოქმედებით ქილა ჩაიჭყლიტება. კლაპეირონის განტოლების მიხედვით, აირის წნევა ქილაში უდრის:

$$p = nRT/V$$

საფაც:

p – წნევა

V – მოცულობა

T – ტემპერატურა

n – აირის უნივერსალური მუდმივა

n – მოლების რაოდენობა

ქილის გაცივება მასში არსებული აირის ტემპერატურის დაცემას იწვევს, ხოლო კონდენსირების შედეგად აირის მოლებულების რაოდენობა მცირდება (ი-კლებულობა). როგორც განტოლებიდან ჩანს, ამ პროცესების შედეგად ქილის შიგნით წნევა დაეცემა და ატმოსფერულზე ნაკლები გახდება. გარე წნევის ზემოქმედებით ქილა ჩაიჭყლიტება.

გასათვალისწინებელი მომენტები

როგორც ცნობილია, წნევა (p) არის ზეწოლის ძალა (F), რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ ზედაპირზე (S):

$$p = F/S$$

ძალა შეგვიძლია გამოვსახოთ კილოგრამებში: 1 კილოგრამი (კგ)

– 10 ნიუტონი (ნ).

ძალა, რომლითაც ჩვენზე მოქმედებს ატმოსფერული წნევა, მიახლოებით შეესაბამება 1 კგ-ს კვადრატულ სანტიმეტრზე. ვინაიდან მოზრდილი ადამიანის სხეული ზედაპირის ფართობი მიახლოებით შეადგენს 2 კვადრატულ მეტრს, ადამიანზე მუდმივად მოქმედებს ძალა, რომელიც 20000 კგ-ს ტოლია; მაში, რატომ არ „გვჭმუჭნის“ ჩვენ ატმოსფერული წნევა? ეს იმიტომ სდება, რომ ჩვენს შიგნით არსებული წნევაც ატმოსფერული წნევის შესაბამისია.

ვინაიდან ადამიანის შიგა წნევა უცვლელია, გარე წნევის მქონეთ-რი რეაცია უარყოფით შედეგებს იწვევს. აღპინისტები, რომლებიც დიდ სიმაღლეებზე ადიან, ანუ იქ, სადაც ატმოსფერული წნევა ნორ-მალურზე ნაკლებია, ავადდებიან სიმაღლის დაავადებით, რომელიც სასიათდება ყურებიდან და ცნობილიდან სისხლდებით და სისხლჩაქ-ცევების განვითარებით. ასეთი გართულებების მიზეზი არის ის ფაქტი, რომ აღპინისტების შიგა წნევა მეტია გარემოს წნევაზე.

საწინააღმდეგო მოვლენას ადგილი აქვს მყვინთავების შემთხვევაში. მათი სუნთქვის პრობლემების მიზეზი ის ფაქტია, რომ წყლის სიღრმეში მყვინთავების შიგა წნევა გარემოს წნევაზე ნაკლებია.

გასათვალისწინებელი მომენტები

თუ ქილა არ ჩაიჭყლიტა, ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

მასში წყლის სიჭარბე ან ნაკლებობა.

ქილის გადატანა სანთურიდან წყლიან ჭურჭელში საჭიროზე უფრო ხელა განსორციელდა.

ქილის შემავალი ხვრელი აღმოჩნდა წყლის დონის ზევით და გაცივების შემდეგ ქილა კვლავ ჰაერით აიგსო.

„გაჭყლეთილი ქილი“
ვიზიტის ექსპლიმენტები

„კარგი

ლივლივი“

ექსპერიმენტის არსი

ბურთულას ჰაერის ნაკადით ვალივლივებთ

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐

აერიდინამიკა

საჭირო მასალა

ძირითადი ვერსია:

კოქტეილის საწრუპავი მილი (რომლის ერთი ბოლო მოხსილია)
მაგიდის ჩოგბურთის ბურთი

თმის საშრობი ელექტროფენი ციგი ჰაერის მოწოდებით და
მრგვალი ბოლოსართით.

განხორციელება

ძირითადი ვერსია: მაგიდის ჩოგბურთის ბურთი გვიჭირავს კოქტეილის საწრუპავი მილის სანათურთან (სანათური მიმართულია გერტიკალურად ზევით). ვიწყებთ მილში მძლავრად ჩაბერვას და სელს ვუშვებთ ბურთს. ბურთი ილივლივებს მილის სანათურის თავზე მანამ, სანამ ჩვენ ვუბერავთ.

განმარტება

ალბათ არაფერია განსაკუთრებული იმაში, რომ ბურთი, რომელიც მოთავსებულია ჰაერის ნაკადში, იწყებს ლივლივს. ჰაერის ნაკადი ბურთის ზედაპირზე ზეწოლას ახდენს და მის წონას აწინასწორებს. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ჩნდება შეკითხვა

- რატომ არ გადის ბურთი განზე? იგი განუწყვეტლივ მოძრაობს პაერის ნაკადში, მაგრამ მის ფარგლებს გარეთ არ გადის! რატომ ხდება ასე? ამაზე შემდეგი პასუხი არსებობს: როდესაც ბურთი მოთავსებულია ზუსტად ნაკადის შიგნით, პაერი მას ქვემოდან აწვება, უკლის ბურთს თანაბრად ყველა მხრიდან და შემდეგ, ბურთის ზევით ნაკადი კვლავ ერთდება და ბურთს ისე ტოვებს. ქვემოდან მიმწოლ და ბურთის ზევით გაერთიანებულ ნაკადს სიჩქარის (იმპულსის) იდენტური ვექტორი გააჩნია, რომელიც მიმართულია ვერტიკალურად ზევით. შეიძლება ითქვას, რომ საწყის ნაკადს არ გააჩნდა იმპულსის განვითარებული კომპონენტი, სოლო საბოლოო ნაკადსაც ეს მასასიათებელი შეუნარჩუნდა. იმპულსის მუდმივობის კანონი ძალაშია.

თუ ბურთი შეიცვლის ცენტრალურ მდგბარეობას, ჩვენ დავინახავთ შემდეგს (ანლიზისთვის ჩავთვალოთ, რომ ბურთმა გადაინაცვლა მარჯვნივ): მიმწოლი ნაკადი მიმართულია ვერტიკალურად ზევით, ნაკადის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები შემოვლება ბურთს ირგვლივ, თანაც ისე, რომ მარცხენა ნაწილი შემოხაზავს უფრო დიდ რკალს, ვიდრე მარჯვენა. ეს ორი ნაკადი (მარცხენა და მარჯვენა) ერთდება და ქმნის ნაკადს, რომელიც შორდება ბურთს. თუკი ჩვენ დავაკვირდებით საბოლოო ნაკადს, შევამჩნევთ, რომ იგი საწყის ნაკადთან შედარებით მარჯვნივ არის გადახრილი. საწყის ნაკადს განვითარებენ ეჭვენ არ გააჩნდა (მარჯვნივ მიმართული), მაშინ როცა საბოლოო ნაკადს იგი აქვს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმპულსის მუდმივობის კანონში ეჭვენ შეტანის საფუძველი გაჩნდა. მაგრამ თუკი სისტემას „ნაკადი + ბურთი“ განვითარდა, როგორც ერთიან სისტემას უმაღლ აღმოვაჩენთ, რომ იმპულსის მუდმივობის კანონი ისევ ძალაშია (სხვაგვარად არც იქნებოდა!).

საბოლოო ნაკადმა შეიძინა იმპულსი მარჯვნივ, თუმცა ზუსტად ამ დროს ბურთი მარცხნივ გადაინაცვლებს (ნაკადის ცენტრისკენ, ანუ გადახრის საწინააღმდეგო მიმართულებით). სისტემის (ნაკადი

„პარაზი ლიკვიდი“
ვიზიტი ექსპერიმენტები

+ ბურთი) ჯამური განივი იმპულსი ნოლის ტოლია, ანუ პაერის საწყისი ნაკადის იდენტურია. სისტემის სრული იმპულსი შენარჩუნებულია, სოლო ბურთის ცენტრალურ პოზიციაზე დაბრუნება რეაქტიული ძალის ზემოქმედების შედეგია. ჩვენ კი ვიცით, რომ რეაქტიული რეაქცია იმპულსის მუდმივობის კანონის მოქმედების ტიპური მაგალია.

აღტერნატიული ვარიანტები

ცდა, სხვაგვარადაც შეგვიძლია განვახორციელოთ: კოქტეილის მიღწი ჩაბერვის ნაცვლად ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ თმის საშრობი ელექტროფენი და ბურთი მისგან შექმნილ პაერის ნაკადში გალივლივოთ.

ასევე შეგვიძლია მსგავსი ცდა განვახორციელოთ ძაფზე ჩამოკიდებული ბურთით, რომელიც წყლის ნაკადშია (მაგალითად, ონკანის წყალი) მოთავსებული ისე. რომ წყალი თანაბრად შემოერტყას გარეშემო. შემდეგ, ძაფი მსუბუქად მოქმედოთ და ბურთი განივი მიმართულებით გადავანაცვლოთ. ამავდროულად დაგაეკვირდეთ წყლის ნაკადის გადახრას და იმ ნაკადის ძალა შევიგრძნოთ, რომელიც ძაფზე მოქმედებს.

„ინერციის
მოძრავი“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი საშუალებას გვაძლევს, ბრუნვითი მოძრაობის დროს თვალსაჩინო გავხადოთ ინერციის მომენტი და იმპულსის მუდმივობის კანონი.

საჭირო მასალა

იატაკზე მყარად დამაგრებული მბრუნავი სავარძელი;
ჰანტელები ან სხვა სიმძიმე (მაგალითად, წყლით სავსე ორი ბოთლი).

უსაფრთხოება

ექსპერიმენტი უსაფრთხოა.

განსორციელება

ცდის პირი თავსდება მბრუნავ სავარძელში ისე, რომ ფეხებით იატაკს არ ეხბა. ვაძლევთ მას ტვირთს, რომელიც უნდა დაიკავოს ორივე სელში (მაგალითად ჰანტელები ან წყლით სავსე ბოთლები). ვთხოვთ, რომ დატვირთული სელები რაც შეიძლება ფართოდ გაშალოს. ვატრიალებთ სავარძელს და ახლა სელების გულმკერდთან მიტანას ვთხოვთ. ამის შედეგად სავარძელმა ტრიალი უფრო სწრაფად უნდა დაიწყოს.

თუკი ცდის პირი კვლავ გაშლის სელებს განზე, ბრუნვითი მოძრაობა შენელდება.

განმარტება

ინერციის მომენტი (I) დამოკიდებული სხეულის მასაზე (M) და მის მდებარეობაზე ბრუნვის დერძის მიმართ (r).

I=rM

რაც მეტია დაშორება ბრუნვის დერძიდან, მით მეტია ინერციის მომენტი.

იმპულსის მომენტი ბრუნვითი მოძრაობის იმპულსს შეესაბამება:
L=Iw

იმპულსის მომენტი ინერციის მომენტის და სხეულის კუთხური სიჩქარის ნამრავლის ტოლია. როდესაც ცდის პირი ექსპერიმენტის მსვლელობისას ბრუნვის დერძის მიმართ ცვლის სელების მდებარეობას, ამით ის ინერციის მომენტს ცვლის.

ვინაიდან ბრუნვითი მოძრაობისას იმპულსის მუდმივობის კანონი უნდა იყოს დაცული, (იმპულსის საწყისი მომენტი საბოლოო მომენტს უნდა შეესაბამებოდეს), იმ დროისთვის, როდესაც ინერციის მომენტი მცირდება, ბრუნვის სიჩქარემ უნდა მოიმატოს, რათა იმპულსის მომენტის იგივე მნიშვნელობა იყოს შენარჩუნებული.

ინერციის მომენტის მატება და შემცირება და მასთან დაკავშირებული ბრუნვის მოძრაობის სიჩქარის ცვლილებას ხშირად სპორტსმენებიც იყენებენ. მაგალითად, იმისათვის, რომ შევასრულოთ სალტო, ჩვენ ჯერ უნდა მივიზიდოთ მუსლები სხეულთან და ვიტრიალოთ უფრო სწრაფად, სოლო მიწაზე დაშვებისას უნდა გავმართოთ ფეხები და სელები, რათა ამით ჩვენი სიჩქარე შევამციროთ და უფრო სტაბილურები გავწდეთ.

ასეთივე ეფექტი გამოიყენება ფიგურულ სრიალში პირუეტების შესრულებისას.

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი საშუალებას გვაძლევს. თვალი ვადევნოთ იმპულსის მუდმივობის კანონს ბრუნვითი მოძრაობის დროს.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ბრუნვითი მოძრაობა, იმპულსი, იმპულსის მომენტი.

„ინერციის
მომენტი 2“

საჭირო მასალა

მბრუნვი საგარმელი:

ველოსიპედის ბორბალი მასზე დამაგრებული სახელურებით.

განსორციელება

ექსპერიმენტი შედგება სამი ნაწილისგან:

1. პირველ ნაწილში ჩვენ ვთხოვთ ცდის პირს მოთავსდეს სავარძელში ისე, რომ ფეხებით იატაქს არ შეესოს. უკავია რა მას ერთ სელში ველოსიპედის ბორბალი, რომლის ღერძი ვერტიკალურ მდგომარეობაშია, მეორე სელით. ბორბლის ტრიალს იწყებს. იმ შემთხვევაში, თუ ბორბალს საათის ისრის მიმართულებით დაატრიალებს, თვითონ ის სავარძლიანად საწინააღმდეგო მიმართულებით დაიწყებს ბრუნვას.
2. შემდეგ საგარმელში შვედომ ცდის პირს ველოსიპედის უკვე დატრიალებულ ბორბალს ვაძლევთ, რომლის ღერძი ვერტიკალურ მდგომარეობაშია. ვთხოვთ ცდის პირს, რომ ბორბლის ბრუნვა სელით გააჩეროს, რის შემდეგაც თვით მან სავარძლი-

ანად უნდა დაიწყოს ბრუნვა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ბრუნავდა ბორბალი.

3. შემდეგ სავარძელში მჯდომ ცდის პირს კვლავ მბრუნავ ბორბალს ვაძლევთ. (ამ შემთხვევაშიც ღერძი ვერტიკალურ მდგომარეობაშია) და ვთხოვთ, რომ ბორბალი 180 გრადუსით შემთაბრუნოს. შედეგად, ცდის პირმა (სავარძელთან ერთად) ბრუნვა იმ მიმართულებით უნდა დაიწყოს, რომელიც მიმართული იქნება ბორბლის ბრუნვის გექტორის საწინააღმდეგოდ.

განმარტება

სამივე შემთხვევაში იმპულსის მუდმივობის კანონის დაცვა სდება, რაც გულისხმობს იმას, რომ საწყისი და საბოლოო იმპულსის მომენტების მნიშვნელობები ტოლი უნდა იყოს.

1. იმპულსის მუდმივობის კანონი შეგვიძლია გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$0 = L_1 + L_2$$

$$L_1 = -L_2$$

მთელი სისტემის იმპულსის საწყისი მომენტი შეადგენს 0-ს. როდესაც ცდის პირი ბორბალს დაატრიალებს და მიანიჭებს მას იმპულსის მომენტს (რომელიც შეესაბამება L_1 -ს), თვითონ იგი იღებს იმპულსის მომენტს L_2 -ს, რომელიც სიდიდით L_1 -ს ტოლია, მაგრამ მიმართულია საწინააღმდეგო მხარეს.

2. იმპულსის მუდმივობის კანონი შემდეგნაირადაც შეიძლება გამოიხატოს

$$L_1 + 0 = 0 + L_2$$

$$L_1 = L_2$$

თავდაპირველად ბორბალს აქვს საწყისი იმპულსის მომენტი L_1 , სოლო ცდის პირის იმპულსის მომენტი შეადგენს 0-ს. როდესაც ის

ბორბალს აჩერებს. იმპულსის მომენტი შეადგენს 0-ს, ხოლო შემდეგ მას ენიჭება ბორბლის იმპულსის მომენტი და იმპულსის მომენტი L_2 -ით იწყებს ბრუნვას, რომელიც მნიშვნელობით და ვექტორით ბორბლის იმპულსის მომენტის იდენტურია.

3. იმპულსის მუდმივობის კანონი ასეც შეგვიძლია გამოვსახოთ:

$$L_1 + 0 = -L_1 + L_2$$

$$L_2 = 2L_1$$

თავდაპირველად მხოლოდ ბორბალს ჰქონდა იმპულსის მომენტი L_1 , 180 გრადუსით ღერძის შემობრუნების შედეგად იმპულსის მომენტის ნიშანი იცვლება და საერთო ცვლილება გამოიხატება ასე:

$$\Delta L = -2L_1$$

იმპულსის მომენტის მუდმივობის კანონიდან გამომდინარეობს, რომ ცდის პირს უნდა მიენიჭოს იმპულსის მომენტი, რომელიც მომდინარი ცვლილების ტოლია, მაგრმ საწინაარმდევო მხარეს არის მიმართული:

$$L_2 = -2L_1$$

შენიშვნა:

იმპულსის მომენტების ტოლობა არ ნიშნავს ბრუნვის სიჩქარეების ტოლობას:

$$L = I\omega$$

I – იმპულსის მომენტია

ω – კუთხური სიჩქარეა

ვინაიდან სისტემის „ცდის პირი – საფარმელი“ ინერციის მომენტი გაცილებით მეტია ვიდრე ბორბლის, იმპულსის მომენტის იდენტური რიცხვითი მნიშვნელობის დროს იგი იტრიალებს ბევრად უფრო ნელა.

„ჯიუტი

ბურთულა“

ექსპერიმენტის არსი

ამ ცდის შედეგად ვლინდება აეროდინამიკური პარადოქსი, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: ბოთლში ჩაბერვისას ქაღალდის ბურთულა ბოთლიდან გარეთ გამოფრინდება

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☐
ფიზიკა, აეროდინამიკა, წნევა, ატმოსფერული წნევა, ჰაერი.

საჭირო მასალა

ქაღალდის პატარა ბურთულა
გამჭვირვალე ბოთლი (მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს გრძელი ყელი)

განხორციელება

ქაღალდის ბურთულას ვათავსებთ ბოთლის ყელში. ბოთლი პორიზონტალურად გიჭირავს და თვალს ვადევნებთ, რომ არ დავსაროთ. ბოთლში ჩაბერვით ვცდილობთ ბურთულა რაც შეიძლება ღრმად შევაგდოთ. შედეგად კი ბურთულა გარეთ გამოგარდება!

განმარტება

ამ მოვლენის ყველაზე მარტივ და სახუმარო ახსნას ცნობილი ანდაზა გვაძლევს: „პირამდე სავსე ჭურჭელში თვით სოლომონ ბრძენიც კი ვერ ჩაასხამს რაიმეს“. მოუხედავად იმისა, რომ ბოთლი, ერთი შესედვით, ცარიელი გვეჩვენება, იგი სავსეა ჰაერით. იმ დროს, როდესაც ჩვენ მასში ჩავბერავთ ჰაერს, ამით ვცდილობთ „ჩავასხათ“

მასში კიდევ უფრო მეტი ჰაერი. ზედმეტი ჰაერი „გადმოიღვრება“ ბოთლიდან და წამოიყოლებს ბურთულასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩაბერვის დროს ჩვენ ვზრდით აირის წნევას ბოთლის მოცულობის შიგნით. მომატებული წნევის დროს ჰაერს „სურს, რომ გამოვიდეს გარეთ“, ხოლო მის ერთადერთ გამოსასვლელ გზას წარმოადგენს ბოთლის ყელი. ბურთულა ჰაერთან ერთად გამოფრინდება გარეთ, მიუხედავად იმისა, რომ პირის ღრუდან გამოსული ჰაერის ნაკადი მიმართულია მისი მოძრაობის საწინააღმდეგოდ.

განსაკუთრებული პირობები

თუკი ბურთულა მაინც შევარდება ბოთლში, ამის შესაძლო მიზეზი ბოთლის დასრა იქნება.

„**ჯიგის ექსპერიმენტი**
„ჯიგის გურიასა“

„ლინზა“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტის საშუალებით ფოტოაპარატში გამოსახულების შექმნის პრინციპის გაგება შეგვიძლია.

საჭირო მასალა

ლინზა, უფრო ზუსტად კი ამოზნექილი ლინზა, ფოკუსის მცირვა.
3-4 სანტიმეტრიანი მანძილით (30-40 დიოპტრი);

პრეზენტაციის დროს შეიძლება აგრეთვე ობიექტივის გამოყენებაც.

განსაკუთრებული პირობები

ექსპერიმენტი დღისით უნდა ჩატარდეს.

განხორციელება

ჩაბნელებულ ოთახში თეთრ კედელს ან სხვა ზედაპირს, რომელიც შეასრულებს ეკრანის როლს, მიზუანლოვებთ ლინზას, რომელიც მიმრთულია ერთადერთი ნათელი ფანჯრის მხარეს. კედლიდან ლინზის დაშორებით ან მასთან მიახლოებით ჩვენ შეგვიძლია კედელზე ფანჯრის მკვეთრი გამოსახულება მივიღოთ.

განმარტება

შემქრები ლინზა მზის სხივებს იმგვარად ხრის, რომ ყველა პარალელური სხივი, რომელიც ლინზის ზედაპირზე ეცემა, თავს მის ფოკუსში იყრის. ამის შედეგად ეკრანზე წარმოიქმნება მკვეთრი გა-

მოსახულება. გამოსახულება იქმნება „თავდაყირა“ (ასეთია ყველა რეალური გამოსახულება).

ფოტოპაპრატში გამოსახულების წარმოქმნა ამავე პრინციპს ემყარება.

ჩვენი თვალებიც ამზნექილი ლინზებია, რომლებიც გამოსახულებას თვალის ბადურაზე ამგვარადვე წარმოქმნაან. მაგრამ გამოსახულება, რომელსაც ჩვენ საერთოდ „ვხედავთ“, არ არის „თავდაყირა“, ვინაიდან თავის ტვინში მისი გადამუშავება და პელავ გადმობრუნება სდება.

ალტერნატიული ვარიანტები

ქაღალდის ფურცელზე შეგვიძლია დაგსატოთ ისარი და ნელა დაგაცილოთ მას ლინზა; დაგაკვირდეთ, თუ რა მოსდის ისარს.

„ლინზა“

ვიზიონის ექსპერიმენტები

ექსპერიმენტის არსი

ამ ექსპერიმენტში ჩვენ ფოტოგამერას ვქმნით ისეთივე პრინციპით, როგორითაც ის თავდაპირველად შეიქმნა.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
ობსკურის კამერა, გამოსახულების წარმოქმნა.

საჭირო მასალა

ყუთი
შავი საღებავი
ალუმინის ფოლგა

განსაკუთრებული პირობები

სელსაწყოს პრეზენტაცია მზიან დღეს ან სინათლის ძალიან ძლიერი წყაროს გამოყენებით უნდა მოვახდინოთ.

განხორციელება

ყუთის შიგნითა ნაწილს, რომლითაც ჩვენ ვქმნით ობსკურის კამერას, ვღებავთ შავი საღებავით; შემდეგ ყუთის იმ კედელზე, რომელიც ეკრანის მაგივრობას გაგვიწევს, თეთრ ქაღალდს ვაკრავთ. მოპირდაპირე კედელზე კი ორ სვრელს ვაკეთებთ – ერთში ჩავისედავთ, მეორე კი იქნება ჩვენი „ობიექტიფი“. სვრელის ზომა ყუთში ჩახდვის საშუალებას უნდა იძლეოდეს. „ობიექტიფის“ დაასლოებითი ზომებია $0,5 \times 0,5$ სმ. ობიექტიფის სვრელს ვაწებებთ ალუმინის ფოლგას. სოლო შემდეგ ფოლგაში ნემსით ვქმნით პატარა სვრელს.

ყუთში არ უნდა იყოს დროქოები, საიდანაც მასში სინათლე შეიპარება.

ამრიგად, ჩვენ უკვე მზად გვაქვს ობსკურის კამერა.

შემდგომში, ვიხედებით რა ხვრელში, „ობიექტივს“ განათებული ფანჯრის ან სხვა მნათი საგნისებრ მივმართავთ.

კედელზე, რომელიც წარმოადგენს კამერის უკრანს, ჩვენ უნდა შევძლოთ წარმოქმნილი გამოსახულების დანახვა. ცუდი განათების დროს გამოსახულება იქნება შავ-თეთრი, სოლო კარგი განათების შემთხვევაში – ფერადი.

წარმოქმნილი გამოსახულება იქნება ამოყირავებული, ანუ იგი ნამდვილი გამოსახულებაა.


განმარტება

სინამდვილეში, გამოსახულება სინათლის ნებისმიერ ნაპრალში გავლისას იქნება, მაგალითად, ფანჯრის ღიობში. თუმცა გამოსახულება, რომელიც იქნება დიდ ღიობში გავლისას, იძდენად არის გადღაბნილი, რომ ჩვენ მხოლოდ სინათლის ღაქების ვწედავთ. თუკი ჩვენ შევეცდებით ღიობის ზომების შემცირებას, ამით გავზრდით სიმკეროის სიღრმეს და გამოსახულება მეტ-ნაკლებად მკვეთრი გახდება.

როგორ ხდება ეს?

ჩვენ ვწედავთ საგნებს იმ სინათლის წყალობით, რომელიც ამ საგნებიდან აირკვლება. მაგრამ სინათლე თითოეული წერტილიდან ერთდროულად აირკვლება არა ერთი, არამედ რამდენიმე მიმართულებით და ამიტომ წერტილის გამოსახულება იქნება ყველგან, სადაც კი ეცემა არეკლილი სხივი (ის. მარცხენა ნახატი). თუკი ჩვენ ღიობის ზომას თანმიმდევრულად შევამცირებთ, მივალთ იმ იდეალურ ზომამდე, როდესაც მასში საგნის ყველა წერტილიდან მომავალი მხოლოდ ერთი სხივი გაივლის (ის. მარჯვენა ნახატი, სადაც მხოლოდ ერთი ახეთი სხივია ნაჩვენები).

„განმარტება სინამდვილეში
„განმარტება სინამდვილეში“



სიმკვეთრის სიღრმე – ეს არის პარამეტრი, რომელიც ოპტიკასა და ფოტოგრაფირებაში გამოიყენება იმ დიაპაზონის განსაზღვრისათვის, რომლის ფარგლებშიც საგნების გამოსახულება მკვეთრი იქნება. ობსკურის კამერის, იმ სვრელის ძალიან პატარა ზომის გამო, რომელშიც გადის სინათლე (და აქედან გამომდინარე, ერთი წერტილიდან წამოსული სინათლის სხივებს შორის ძალიან მცირე აცდების გამო) სიმკვეთრის უსასრულო სიღრმე გააჩნია, ანუ მთელი გამოსახულება, მიუხედავად კამერიდან დაშორების მანძილისა, იქნება მკვეთრი.

გასათვალისწინებელი მომენტები

აუცილებელია უზრუნველვყოთ, რომ სვრელში, რომლის საშუალებითაც ჩვენ გისედებით კოლოფში, სინათლე არ მოხვდეს.

ექსპერიმენტის არსი

ამ ცდის დროს ჩვენ თრ ჩანგალს კბილის ერთ საწმენდ ჩსირზე ვკიდებთ.

„ტრნასტრობა“

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
ფიზიკა, სიმძიმის ცენტრი.

საჭირო მასალა

ორი ჩანგალი

კბილის საწმენდი ჩსირი

ასანთი

ჭიქა

განსორციელება

ორ ჩანგალს კბილებით ერთმანეთში ვუყრით და მათი შეერთების ადგილში კბილის საწმენდ ჩსირს (ან ასანთის დეროს) ვარკობთ. ამ ჩსირს, დაახლოებით შუა ნაწილით ჩამოვდებთ მაღალი ჭიქის ძვი-დეზე, რომელზეც მთელი ეს სისტემა მყარად ეკიდება. შემდეგ ცე-ცხლს ვუკიდებთ ჩსირის იმ ბოლოს, რომელზეც ჩანგლები არ არის. ჩსირი დაიწვება მხოლოდ იმ წერტილამდე, რომლითაც ის ჭიქას ეყრდნობა. მთელი ეს სისტემა იმდენად სტაბილურია, რომ ჭიქის ადგილმდებარეობის შეცვლით ჩანგლების წონასწორობა არ ირ-ღვევა და ნახევრად დამწვარი ჩსირით ისინი ჭიქის ძვიდეზე რჩება.

განმარტება

ასეთი სისტემა, რომელიც ერთი შესვებით საკმაოდ არასტაბილურად და არასიმეტრიულად გვეჩვენება, სინამდვილეში კი, ვინაიდან ამ სისტემის სიმძიმის ცენტრი მოთავსებულია სწორედ იქ. სადაც კბილის საწმენდი ჩნირი ესება ჭიქას. სოლო გრავიტაციული ძალა, რომელიც მოქმედებს აღნიშნულ სისტემაზე მოდებულია მის სიმძიმის ცენტრზე, იგი სავსებით სტაბილურია.

ალტერნატიული ვარიანტები

ჩანგლების ჩამოვიდება შეგვიძლია არა მხოლოდ ჭიქაზე, არსებული პირობების მიხედვით შეგვიძლია სხვა საგნების გამოყენებაც.

გასათვალისწინებელი მომენტები

თუკი პირველ ჯერზე ცდა არ გამოგვივა, უნდა წავივარჯიშოთ. აუცილებელია მოთმინება და ფაქტი მიღვომა.

ექსპერიმენტის არსი
მარტივი ცდა, რომლის დროს ამოყირავებულ ჭიქიდან წყალი
არ იღვრება.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
წნევა, წყალი, ატმოსფერული წნევა, ჰიდროსტატიკური წნევა.

„წყალი“
პირ უპა“

საჭირო მასალა

ჭიქა

წყალი

ქაღალდის ნაჭერი (ან მუყაოს, პლასტმასის და ა.შ. ფირფიტა),
რომლის დიამეტრი ოდნავ აღემატება გამოსაყენებელი ჭიქის დი-
ამეტრს.

განსორციელება

ჭიქას წყლით ვავსებთ. ვახურავთ მას მუყაოს ნაჭერს. გვიჭირავს
რა მუყაო სელით, ამოვაყირავთ ჭიქა და მუყაოს სელი გავუშვათ.

განმარტება

სიმბოლოები, რომლებიც გამოყენებულია ტექსტში:

d – წყლის სიმკვრივე

g – გრავიტაციული აჩქარება

V – წყლის მოცულობა

h – წყლის სვეტის სიმაღლე


S – ჭიქის პირის დიამეტრი

$m_{\text{წ}} -$ წყლის მასა
 $m_{\text{ფრ}}$ – ფირფიტის მასა
 $p_{\text{ატ}}$ – ატმოსფერული წნევა

I. წყალი ჭიქაში (შებრუნებული პოზიცია – გაუწონასწორებელი მდგომარეობა)

$$P_{\text{ჟღა}} = P_{\text{ატ}}$$

$$P_{\text{ქვეღა}} = P_{\text{ატ}}$$



ძალები, რომლებიც მოქმედებენ „წყალი + ფირფიტაზე“ ჩვევით:

 $F\uparrow = p_{\text{ჟღა}} \cdot S$

ძალები, რომლებიც მოქმედებენ „წყალი + ფირფიტაზე“ ქვევით:

 $F\downarrow = (m_{\text{წ}} + m_{\text{ფრ}}) \cdot g + p_{\text{ატ}} \cdot S$

ჯამური ძალა ძალა მიმართული იქნება ქვევით:

$$F\uparrow - F\downarrow = (m_{\text{წ}} + m_{\text{ფრ}}) \cdot g$$

სისტემაზე „წყალი + ფირფიტა“ მოქმედებს შემდეგი ძალები:

1. ატმოსფერული წნევის ძალა ზევიდან (იმ პარას მსრიდან, რომელიც მოქცეულია ჭიქაში წყლის სვეტის ზევით).
2. ატმოსფერული წნევის ძალა, რომელიც ჭიქის გარე ზედაპირზე ქვევიდან მოქმედებს.
3. გრავიტაციის (მიზიდულობა) ძალა, რომელიც წყალს და ფირფიტას ქვევით ექაჩება.


თავდაპირველად, წყლის სვეტის ზევით არსებულ ჰაერს აქვს ატ-მოსფერული წნევა (იმიტომ რომ იგი ასეთი წნევის მქონე ჰაერისგან არის წარმოქმნილი); აქედან გამომდინარე, ზედა და ქვედა წნევები იღენტურია, მაგრამ მიმართულია ურთიერთსაწინააღმდეგოდ. ამ-რიგად, ჯამური ძალა, რომელიც მოქმედებს სისტემაზე „წყალი + ფირფიტა“, სინამდვილეში არის უბრალოდ წყლისა და ფირფიტის წონა. ასეთ სიტუაციაში წყალი და ფირფიტა თავისუფალ ვარდნას იწყებს, რაც სდება მყისიერად. წყლისათვის გასავალი წარმოიქმნება, წყალი ფირფიტაზე იღვრება და იქვე რჩება*. წყლის რაოდენობა მცირდება და ამგვარად ჩვენ „ვჭიმავთ“ იმ ჰაერის მოცულობას, რომელიც მოქცეულია წყლის სვეტის ზევით. ამის გამო მისი წნევა დროი მცირდება. წყლის სვეტის სიმაღლე ძალით მცირდება. ვინაიდან ზედა წნევა ვარდნას იწყებს, ზედა და ქვედა წნევებს შორის წონასწორობა ირღვევა, რის გამოც წარმოიქმნება ძალა, რომელიც მიმართულია ზევით და რომელიც თითოეული გადმოსულია წყლის წვეთის შესაბამისად იზრდება. ეს ზრდა გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე ჯამური ძალა, რომელიც მიმართულია ზევით, არ გაუტლოლდება მიზიდულობის ძალის, რომელიც მიმართულია ქვევით. ამ მომენტში წყლის და ფირფიტის ვარდნა შეწყდება.

* პლასტმასის ფირფიტის გამოყენებისას წყალი ფირფიტაზე იღვრება. ქაღალდის ფურცლის შემთხვევაში წყალი, უბრალოდ, ქაღალდის მიერ შეიწოვება. ორივე შემთხვევაში იგი გამოდის ჭიდან, რისი მიზეზი ჭიქაში მოქცეული ჰაერის წნევაა.

II. წყალი ჭიქაში (შებრუნებული პოზიცია – გაწონასწორებული მდგომარეობა)

$$P_{\text{ტენ}} = P_{\text{ატ}} - \Delta p$$

$$P_{\text{ჭიქ}} = P_{\text{ატ}}$$



$$F_{\uparrow} = p_{\text{ატ}} \cdot S$$

$$F_{\downarrow} = (m_{\text{წყ}} + m_{\text{ფარფ}})g + (p_{\text{ატ}} - p)S$$

წყალი არ იღვრება, ე.ი. ჯამური ძალა = 0:

$$F_{\uparrow} - F_{\downarrow} = 0$$

$$\Delta pS = (m_{\text{წყ}} + m_{\text{ფარფ}}) \cdot g$$

თუ ფირფიტის მასა უმნიშვნელოა, მაშინ:

$$\Delta pS = m_{\text{წყ}} \cdot g$$

$$\Delta pS = dVg = dShg$$

$$\Delta p = dhg$$

აირის გაფართოება ზედა ნაწილში – იზოთერმული გარდაქმნა:

$$\Delta p = p_{\text{ატ}} \cdot \Delta V / (V + \Delta V) = p_{\text{ატ}} \cdot \Delta h / (h + \Delta h)$$

აქედან გამომდინარე:

$$dhg = p_{\text{ატ}} \cdot \Delta h / (h + \Delta h) \Rightarrow \Delta h = h^2 / (p_{\text{ატ}} / dg - h)$$

წყლისათვის (h გამოითვლება სანტიმეტრებში).

გაწონასწორებულ მდგომარეობაში ჯამური ძალა, რომელიც მოქმედებს სისტემაზე წყალი + ფირფიტა შეადგენს 0-ს. ასეთ დროს, როგორც წყალი, ასევე ფირფიტა არ გადაადგილდება არც ზევით, არც ქვევით. თუკი ამას გამოვსახვთ ძალთა ტოლობით და იდეალური აირის განტოლებით ვისარგებლებთ (ყ გამოოფლის მიზნით, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ წყლის სვეტის „თავდაყირა“ შენარჩუნებისთვის საკმარისია, რომ წყლის დონემ ჭიქაში დაიწიოს 1მმ-ით! თითქოს გაუგებარია, მაგრამ ფორმულები ამას გვიჩვენებს. ეს დაწევა იძლენად უმნიშვნელოა, რომ ადამიანის თვალი ამას ვერ ამჩნევს, თუმცა საკმარისად ბევრია იმისათვის, რომ უკუღმა („თავდაყირა“) გააჩეროს სითხის 10 სმ-იანი სვეტი. თუკი ჩვენ გვხურს გავიგოთ, თუ სადამდე უნდა დავწიოთ წყლის დონე (რომლის სიმაღლე შეადგენს h -ს) იმისათვის, რომ ჭიქის გადაბრუნებისას წყალი არ გადმოიღვაროს ჭიქიდან, ვსარგებლობთ ფორმულით (სადაც სიმაღლე გამოითვლება სმ-ში):


$$\Delta h = \frac{h^2}{1000 - h}$$

შეგასწენებთ, რომ სიღიდე 1000 არის იმის შედეგი, რომ ცდაში გამოსაყენებულ სითხედ წყალი ავირჩიეთ. სხვა სითხეებისთვის გვექნებოდა სხვა რიცხვი (ნაკლები – უფრო მეტი სიმკვრივის მქონე სითხეებისთვის).

ანალოგიური ცდა – დავკიდოთ ტერიტორია გასავალდაცშული შპრიცის დგუშზე.

„წყალი პირუეტი“

დახშული გასაფალი



წყლის და ქაღალდის მასა

ალტერნატიული ვარიანტები

არ არის საფალდებულო, რომ ჭიქა ბოლომდე იყოს სითხით ავსებული.

გასათვალისწინებელი მოძრვები

იმისათვის, რომ ჭიქიდან წყლის გადმოღვრისას რაიმე ღირებული არ დაფასველოთ, ექსპერიმენტის ჩატარება უმჯობესია დიდი ჭურჭლის თავზე.

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტის არსია წყლით საფსე ბოთლის – „რაკეტის“ გასროლა მასში ჰატუმბვის გზით. გასროლა სორციელდება წნევის მომატებისას ბოთლზე დამაგრებული საცობის და მასში არსებული წყლის უკუგდების სარჯზე.

„წყლის
რაკეტა“

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები
წნევა, რაკეტა, წყალი.

საჭირო მასალა

პლასტმასის ბოთლი – 1.5 ლ მოცულობის

წყალი

კაუჩუკის საცობი

ტუმბო ბურთის გასაბერი ნემსით

უსაფრთხოება

პრეზენტაციამდე უნდა უზრუნველვყოთ, რომ გასროლილი ბოთლი არავის მოხვდეს ან დაეცეს.

განსაკუთრებული პირობები

დიდი ღია სიგრცე;

წინასწარ უნდა შევამოწმოთ, კარგად ერგება თუ არა საცობი ბოთლის:

წინასწარ უნდა შევამოწმოთ, კარგად მუშაობს თუ არა ტუმბო და შევძლებთ თუ არა ბოთლში ჰაერის ჩატუმბვით საცობის. ამოგდებას.

განსორციელება

ბოთლში ვასხამთ წყალს (ბოთლის მოცულობის 1/3-დან 1/2-მდე), ვასურავთ მჭიდროდ საცობს, რომელშიც გაყრილია ტუმბოს შლანგის ბოლოზე დამაგრებული ბურთის გასაბერი ნემსი. შემდეგ მთელ ამ კონსტრუქციას სასტარტო მდგომარეობაში მოვიყვანთ და ბოთლში ჰაერის ენერგიულ ჩაბერვას ვიწყებთ „რაკეტის სტარტის..“ (ვაშვების) მომენტამდე.

შედეგი – ჰაერის ჩატუმბვის გზით, ჩვენ ბოთლში წნევას ვზრდით იმ მომენტამდე, ვიდრე საცობი არ ამოვარდება და „რაკეტა..“ არ გაფრინდება რექტიული ძალის ზემოქმედებით. ბოთლი, რომელსაც მჭიდროდ აქვს თავი დახშული, შეიძლება 10 მეტრის სიმაღლეზეც კი აფრინდეს.

ცდის ჩატარება შესაძლებელია წყლის გამოყენების გარეშეც. თუმცა ასეთ შემთხვევაში ეფექტური ნაკლები იქნება.

განშარტება

ჩვენს მიერ შექმნილი „რაკეტა..“ ნამდვილი რაკეტის მოქმედების პრინციპით. მუშაობს.

ასენის გასაღები არის იმპულსის მუდმივობის კანონი (მოძრაობის რაოდენობის მუდმივობის კანონი), ანუ ის, რომ სისტემის საბოლოო იმპულსი საწყისი იმპულსის ტოლია.

დასაწყისში, რაკეტის და საწვავის იმპულსი შეადგენს 0-ს იმის გამო, რომ ისინი იმყოფებიან უძრაობის მდგომარეობაში.

$$p_o = 0$$

თავდაპირველად, როდესაც საცობი ამოვარდება, რაკეტის (ბოთლის) ხვრელიდან წყალი გამოსვლას დაიწყებს იმპულსით:

$$p_{\text{ხარჯის}} = m \cdot vp$$

იმპულსის მუდმივობის კანონიდან გამომდინარე ჩვენ ვიცით, რომ საწყისი იმპულსების ჯამი ტოლია საბოლოო იმპულსების ჯამისა.

$$\sum_i p_H^i = \sum_i p_K^i$$

H – საწყისი

K – საბოლოო

$$P_o = P_{\text{საწყის}} + P_{\text{რაკეტის}}$$

$$O = P_{\text{საწყის}} + p_{\text{რაკეტის}}$$

$$P_{\text{რაკეტის}} = -P_{\text{საწყის}}$$

ამგვარად, რაკეტას ენიჭება იმპულსი, რომელიც გამოტყორცნილი საწყისის იმპულსის ტოლია, მაგრამ საწინააღმდეგო ვექტორი გააჩნია.

ალტერნატიული გარიანტები

ექსპერიმენტი შეიძლება ჩავატაროთ წყლის გამოყენების გარეშეც, ჩავბერავთ რა პარს ცარიელ ბოთლში. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, რაკეტა ძალიან მცირე სიმაღლეზე აფრინდება იმის გამო, რომ საწყისის მასა (და ამასთან ერთად მისი იმპულსიც) მნიშვნელოვნად შეზღუდული იქნება.

„ტექნიკური ექსპერიმენტები
„ტექნიკური ექსპერიმენტები

გასათვალისწინებელი მომენტები
ბოთლიდან გამოტყორცნილმა წყალმა შეიძლება დაასველოს
ცდის მონაწილე.

თუკი რაღაც დროის განმავლობაში ბოთლში ჩაბერვა გარკვეულ
შედეგს არ იძლევა, საჭიროა ბოთლის ყელში ჩამაგრებული საცო-
ბის ოდნავ მოხუსტება.

“**მომენტის ეფექტურობა**
„ტყელის რაგოტა“

ექსპერიმენტის არსი
ბოთლი, მასში მოთავსებული სანთელით, წყალს შეიწოვს

„წყლის

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები ☒
თერმოდინამიკა, ჰიდროსტატიკური წნევა.

შეცოვა“

საჭირო მასალა

ლიტრიანი ბოთლი ფართო ყელით,
სანთელი,
პლასტმასის ბოთლის საცობი ან სხვა მსგავსი ნივთი, რომელიც
შეასრულებს „ნავის“ ფუნქციას,
დიდი ღრმა თევზი ბრტყელი ფსკერით.


განსაკუთრებული პირობები
წყლის სათანადო რაოდენობა.

განსორციელება

დავამაგროთ სანთელი ბოთლის სახურავზე. თევზი დავასხათ
დაახლოებით 0,5 ლ წყალი და თევზის შუაგულში ჩვენი სანთლია-
ნი ნავი მოვათავსოთ. ავანთოთ სანთელი და ჩამოვაცვათ მას ფარ-
თოყელიანი ბოთლი. გათბობის შედეგად ბოთლში პაერის წნევა
გაიზრდება, პაერი ბოთლიდან, გამოსვლას დაიწყებს, ხოლო მის
ადგილს წყალი დაიკავებს. სანთელის ჩაქრობისთანავე, ტემპერა-
ტურა ბოთლის შიგნით სწრაფად დაიწყებს დაცემას, ხოლო წყალი
თევზიდან ბოთლის შიგნით შეიწოვება.

განმარტება

ექსპერიმენტში უჩვეულოდ გვეჩვენება ის, რომ წყალი ბოთლში შედინებას სანთლის ჩაქრობამდე იწყებს. ამის მიზეზია ბოთლში არსებული ჟანგბადის წვა. წვის შედეგად წარმოიქმნება ნახშირორჟანგი. მაგალითად, ეთილის სპირტის წვის დროს ჟანგბადის სამი მოლეკულის დაწვის შედეგად ვიღებთ ორ მოლეკულა ნახშირორჟანგს:



ანუ, გამოდის, რომ ჩვენ „ვკარგავთ“ აირის ერთ მოლეკულას. შედეგად ვიღებთ ბოთლში არსებული აირის მოცულობის შემცირებას (ამასთან, აუცილებელია იმის აღინიშნვაც, რომ აირის მოლეკულების რაოდენობის შემცირება ბოთლის შიგნით გამოიწვევს მისი წნევის შესაბამის შემცირდებას).

სანთლის, ჩაქრობასთან ერთად, ბოთლში პაერის ტემპერატურა დაცემა, რასაც შედეგად ასევე მოპყვება ბოთლშიდა წნევის დაცემა და წყლის „შეტყორცნა“ ბოთლში.

$$PV = NRT$$

სადაც:

P – წნევა;

V – მოცულობა;

T – ტემპერატურა;

R – აირის უნივერსალური მუდმივა;

N – აირის მოლების რაოდენობა ბოთლში

ბოთლში წნევის დაცემის მიზეზია ორი მოვლენა:

1. ბოთლში ტემპერატურის დაქვეითება;
2. ჟანგბადის წვა, ანუ ბოთლში აირის მოლების რაოდენობის შემცირება.

ყოველივე ამის შედეგად, ბოთლში ატმოსფერულზე დაბალი წნევა წარმოიქმნება, რაც ბოთლში წყლის შეწოვას განაპირობებს. შეწოვა იმ მოძენტამდე გრძელდება, ვიდრე ბოთლსშიდა წნევა არ გაუტოლდება ბოთლში დაგროვილი წყლის სვეტის ჰიდროსტატიკურ წნევას.

ჰიდროსტატიკური წნევა უდრის:

$$P = \rho \cdot g \cdot h$$

სადაც:

ρ – სითხის სიმკვრივეა;

P – წნევა;

g – გრავიტაციული მუდმივა (აჩქარება);

h – სითხის სვეტის სიმაღლე.

ალტერნატიული გარიანტები







სანთლის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ კბილის საწმენდი ჩხირები. ასეთ შემთხვევაში წყლის უფრო მეტი რაოდენობა შეიწოვება. ასევე შეიძლება დენატურატიანი საცობის გამოყენება.

წყალი ბოთლიდან შეგვიძლია გამოვდევნოთ, თუ ბოთლს გავათბობთ, მაგალითად, თბილი ჰაერით თმის ელექტროსაშრობიდან – თუმცა წყლის სრული რაოდენობის გამოდევნას ბოთლიდან მაინც ვერ შევძლებთ.

„წყლის გელია“
ვიზიტის ექსპლიმენტები



დაიბეჭდა „ქალთა პოლიგრაფიული სერვისში“



პოლიტიკური დაწმარება



პარტნერი - საქართველო



Fundacja Partners Polska



CENTRUM NAUKI
KOPERNIK





მუზეუმურია განვითარებისათვის

პროექტის პარტნიორები:

პოლონეთის პარტნიორების ფონდი

პარტნიორები – საქართველო

სამეცნიერო ცენტრი „კოპერნიკი“



მასალები შემუშავდა პროექტის „განათლება – ადგილობრივი განვითარების ინსტრუმენტი. განათლების დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა შიდა ქართლის რეგიონში“ ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონური დახმარების 2009 წლის პროგრამის დაფინანსებით